პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეათე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის — 1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 1[illegible] % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტის"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

## დღიური

- ფასიანი ქაღალდების კურსის ახალი დაცემა ნიუ-იორკის ბირჟაზე.
- კონსერვატორებს თემთა პალატაში შეაქვთ რეზოლუცია მაკდონალდის პოლიტიკის დაგმობით.
- გლეხთა მღელვარება პოლონეთში.
- ნანკინის მთავრობის მდგომარეობას ძლიერ შერყეულად სთვლიან.
- მუშების გამოსვლები სოციალური დაზღვევის ახალი კანონის წინააღმდეგ საფრანგეთში.

ხუთშაბათი, 10 ივლისი 1930 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 160 (2808)

# საკავშირო კომპარტიის (ბ) XVI ყრილობა

## მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესრულება

### ამხ. კუიბიშევის მოხსენება

ამხ. კუიბიშევი თავის მოხსენებას იწყებს იმის აღნიშვნით, რომ მე-15-დან მე-16 ყრილობამდე ჩვენი მრეწველობის პროდუქცია იმდენად გაიზარდა, რომ ორჯერ სჭარბობს ომის წინადროინდელ დონეს. 1930-31 წელს კი ჩვენი მრეწველობა თავის პროდუქციის რაოდენობით სამჯერ გადააჭარბებს ომის წინადროინდელ დონეს. ის, რისთვისაც მეფის რუსეთს სჭირდებოდა ათეული წლები, პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში მიღწეულია ერთ წელიწადში.

ამხ. კუიბიშევი მოაგონებს ყრილობას, თუ როგორ შეფასებას პოულობდა ჩვენი ხუთწლიანი გეგმა ჩვენი მტრების ბანაკში. მაგალითად, ერთი გერმანელი ეკონომისტი ამტკიცებდა, რომ თუგინდ 50 წლის განმავლობაში იქნას შესრულებული ხუთწლიანი გეგმა, „ისიც კი გრანდიოზული იქნებოდაო". იგი ჩვენს ხუთწლიან გეგმას აცხადებდა უტოპიად. მრავალი საბჭოთა სპეციალისტებიც ვერ თვლიდნენ შესაძლებლად ხუთწლიანი გეგმის შესრულებას 8-10 წელზე ნაკლებ ვადაში.

ზოგიერთი ოპორტუნისტები კი ხუთწლიან გეგმას უპირისპირებდენ თავის გეგმას — საბჭოთა კავშირის აგრარიზაციის ორწლედს.

სინამდვილემ საგრძნობლად გადააჭარბა ხუთწლიანი გეგმის ვარაუდს. პირველ წელს ხუთწლედი გადაჭარბებით იქნა შესრულებული. 1929-30 წელს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის ზრდა 21 პროცენტით, სინამდვილეში კი მოსალოდნელია ზრდა 32 პროცენტით, 1930-31 წელს კი პროდუქციის 22 პროცენტით ზრდის მაგიერ გათვალისწინებულია 47 პროცენტის მიღება.

ასევე იზრდება კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობაში, წინააღმდეგ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ციფრებისა. 1929-30 წელს, ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 2.300 მილიონი მანეთის ნაცვლად მრეწველობაში დაბანდებული იქნება 3.960 მილიონი მანეთი, 1930-31 წელს კი — 2800 მილიონის ნაცვლად 5.500 მილიონი მანეთი. საერთოდ, სამი წლის განმავლობაში ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 6,8 მილიარდი მანეთის ნაცვლად მრეწველობაში დაბანდებული იქნება 11 მილიარდი მანეთი.

ხუთწლიანი გეგმის შესრულების წარმატებები უდიდეს შიშს იწვევენ ჩვენი მტრების ბანაკში საზღვარგარეთ — უცხოეთის ბურჟუაზიაში. „კელნიშე ცეიტუნგ" სწერდა: „თუ ხუთწლიანი გეგმა განხორციელდა — ვაი ევროპას!" გაზეთი ალაპარაკდა „საბჭოთა კავშირის ეკონომიური ბლოკადის შესახებ".

ცნობილი რეაქციონერი არნოლდ რეხბერგი, ვითომდა „კაცთმოყვარეობის" საბაბით აცხადებს, რომ „საბჭოთა კავშირი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებით განადგურებას უმზადებს ევროპის 60 მილიონიან ზედმეტ მოსახლეობას"-ო. „კაცთმოყვარე" რეხბერგი ამ მოსაზრებებით ქადაგობს ომს საბჭ. კავშირის წინააღმდეგ. საერთაშორისო კაპიტალის მიერ ხუთწლიანი გეგმის გარშემო ატეხილი ღრიანცელი მოწმობს, რომ კლასობრივი მტერი ჩვენს ხუთწლიან გეგმაში ხედავს ძალას, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიო ბურჟუაზიის არსებობისათვის.

ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ ხუთწლიანი გეგმის განხორციელება ითვალისწინებს შემდეგ ამოცანების გადაჭრას:

1) მრეწველობის შემდგომ სწრაფ განვითარებას.
2) ელექტროფიკაციის გაშლას.
3) უპირატესობა მძიმე მრეწველობის განვითარებას მსუბუქის წინაშე.
4) საკუთარი მანქანათმშენებლობის განვითარებას.
5) ახალ საწარმოების დაჩქარებული გაშლას.
6) სამეცნიერო - გამოკვლევითი და გეოლოგიურ-საძიებელ სამუშაოების ფართოდ გაშლას.
7) სამრეწველო საწარმოების ყველაზე უფრო რაციონალური გეოგრაფიულ განაწილებას.
8) დაფარულ რეზერვების გამოყენებას წარმოების რაციონალიზაციისათვის, ბრძოლას დანაკარგებთან და სხვ.

მძიმე მრეწველობის დარგში ჩვენ გვექნება ხუთწლიანი გეგმის საგრძნობი გადაჭარბება. მსუბუქი მრეწველობის დარგში ხუთწლიანი გეგმის დავალებები, თავის უმეტეს ნაწილში, სრულდება. საერთოდ ხუთწლიან გეგმას ჩვენ შევასრულებთ 3 ნახ. — 4 წელიწადში, აქედან მძიმე მრეწველობის გეგმას — 3 წელიწადში.

ამხ. კუიბიშევს მოჰყავს ცნობები მრეწველობის ძირითადი ფონდების მდგომარეობის შესახებ:

1928 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის ეს ფონდები შეადგენენ 6,75 მილიარდ მანეთს, 1930 წლის 1-ლ ოქტომბერს — 10 მილიარდს, 1931 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის ისინი შეადგენენ — 13-14 მილიარდს.

მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონა ძირითად ფონდებში 57,5 პროცენტიდან გაიზრდება 72,8 პროცენტამდე სამწლედის დამლევისათვის.

ახალი მშენებლობის შესახებ ცნობების მოყვანის დროს ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არის ახლად დამთავრებული სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა, როსტოვის „სელმაშსტროი", „ელექტროქარხანა", მოსკოვში, ბალახნის ქაღალდის ფაბრიკა და სხვ. თავისი ტექნიკური მოწყობილობით არ ჩამოუვარდებიან უცხოეთის საუკეთესო საწარმოებს.

საერთოდ ღირებულება იმ საწარმოების, რომლებიც ამჟამად შენდება, 12 მილიარდს უდრის. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ახალი მშენებლობის მასშტაბი მეტად ფართოა. ახალი მშენებლობის ხვედრითი წონა კაპიტალური მშენებლობისათვის გადადებულ თანხებში წლიდან წლამდე მატულობს. 1926-27 წელს იგი უდრიდა 14 პროცენტს, 1927-28 წ. — 21,8 პროც., 1928-29 წ. — 29,6 პროც., და 1929-30 წ. — 37,8 პროც.

იზრდება აგრეთვე მუშათა შეიარაღება საწარმოო საშუალებებით.

მაგრამ ენერგეტიული შეიარაღება, რომელიც მოდის მუშა-ხელის ერთეულზე ჩვენში ძლიერ ჩამორჩება უცხოეთს, კერძოდ შეერთებულ შტატებს. ასე მაგალითად, თუ 1925-26 წ. ერთ მუშაზე ჩვენში მოდიოდა 2.320 კილოვატ-საათი ენერგია, შ. შტ. მოდიოდა 7.300 კილოვატ-ს., 1927-28 წ. კი შესაფერი ციფრები ჩვენში და შეერთებულ შტატებში შეადგენდა 3.200 და 8.800 კილოვატ-საათს. 1930-31 წელს ენერგო-შეიარაღება მუშა-ხელის ერთეულზე ჩვენში დაახლოვებით ვარაუდით მიაღწევს 5.250 კილოვატ-საათს. მუშების ენერგეტიული შეიარაღების მხრივ ჩვენ ძლიერ ჩამოვრჩით ამერიკას. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ მოგვეპოვება არა მარტო გამოუყენებელი, არამედ ჯერ კიდევ შეუსწავლელი ენერგეტიული რესურსები.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ცეკამ აიღო კურსი ელექტრომშენებლობის გაძლიერებულ განვითარებაზე.

თუ 1928-29 წელს ელექტრომშენებლობაში დაბანდებული იყო 217 მილიონი მანეთი, 1930-31 წელს დაბანდებული იქნება 826 მილიონი მანეთი (ამ წლის ფასებში). ამასთან შეფარდებით, ელექტრო-ენერგიის წარმოება, რომელიც 1928-29 წელს 6 მილიონ კილოვატ-საათს უდრიდა, 1929-30 წელს შეადგენს 8 მილიარდ კილოვატ-საათს, 1930-31 წელს კი — 23 მილიარდ კილოვატ-საათს.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება ელექტროტეხნიკური მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდაზე და ტურბინების მშენებლობის განვითარებაზე.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ჩვენი ნახშირის მრეწველობის მდგომარეობა. ქვანახშირის ამოღება 1927-28 წ. უდრიდა 35 მილიონ ტონას, 1929-30 წ. ქვანახშირის მოპოება განსაზღვრულია 52,5 მილიონ ტონით, 1930-31 წ. — 72,73 მილიონ ტონით. ამრიგად, ხუთწლიანი გეგმის შესრულების უკვე მესამე წლის დამლევისათვის მთლიანად იქნება შესრულებული ხუთწლედის უკანასკნელი წლის პროგრამა. მიუხედავად ამისა, ქვა-ნახშირის მრეწველობის განვითარების ტემპების გაძლიერების ამოცანა ჩვენს წინაშე დგას, როგორც უაღრესად აქტუალური საკითხი.

ნავთის მოპოებამ, რომლის პროგრამა 1929-30 წლისათვის შეადგენდა 17,2 მილიონ ტონას, 1930-31 წ. უნდა მიაღწიოს 23 მილიონ ტონამდე.

თუჯის მხრივ ხუთწლიანი გეგმის პროგრამა, ცეკას დადგენილებით, 10 მილიონ ტონიდან გადიდებულია 17 მილიონ ტონამდე ხუთწლედის დამლევისათვის. ამრიგად, 17 მილიონ ტონა თუჯის დამზადების განხორციელებით, საბჭოთა კავშირი ხუთწლედის დამლევს დაიკავებს პირველ ადგილს ევროპაში და მეორე ადგილს მსოფლიოში (შეერთებული შტატების შემდეგ) თუჯის მოპოების მხრივ.

შემდეგ მომხსენებელი ეხება საამშენებლო მასალების, ფერადი ლითონების, ქიმიურ და სხვ. მრეწველობას.

მომხსენებელი მიუთითებს მსუბუქი და მძიმე მრეწველობის საერთო პროდუქციის შეფარდების შეცვლაზე. თუ 1929-30 წ. მძიმე მრეწველობაზე მოდიოდა მთელი სამრეწველო პროდუქცია 48 პროცენტი, 1930-31 წ. მის წილად მოვა უკვე 52 პროცენტი. თავის ხუთწლიან გეგმას მძიმე მრეწველობა შეასრულებს სამ წელიწადში. ხუთწლედის დამლევისათვის მძიმე მრეწველობას უნდა მოეცა 14 მილიარდი მანეთის პროდუქცია, სინამდვილეში კი უკვე 1930-31 წლის დამლევისათვის მისი პროდუქცია მიაღწევს 16 მილიარდ მანეთს.

ჩერდება რა მსუბუქ მრეწველობაზე, ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ მისი განვითარება ახლა დაკავშირებულია ნედლეულის ბაზასთან. ასე, მაგალითად, ბამბეულის საფეიქრო მრეწველობის საწარმოო მოწყობილობა მის ახლანდელ მდგომარეობაში მხოლოდ სანახევროდ არის დატვირთული. მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ზრდამ, რომელიც 1927-28 წ. 27,5 პროც. და 1928-29 წ. — 19,3 პროც.-ს უდრიდა, 1929-30 წ. 7 თვის განმავლობაში 22,9 პროცენტს მიაღწია. ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ ჩვენ ახლა შესაძლებლობა გვაქვს მეტი ყურადღება მივაქციოთ მსუბუქ მრეწველობას და უზრუნველვყოთ მისთვის უფრო სწრაფი განვითარება.

მეტად მწვავედ სდგას საკუთარი მანქანათმშენებლობის ორგანიზაციის და განვითარების საკითხი. საბჭოთა მრეწველობის საჭიროება მოწყობილობაში, რომელიც 1927-28 წ. 450 მილიონ მანეთს უდრიდა, 1929-30 წ. უკვე 1500 მილიონ მანეთს უდრის. მოწყობილობის ზოგიერთი სახეების მიხედვით ჩვენს ბაზარს შეეძლო გაესაღებია მთელი მსოფლიო მანქანათ-მშენებლობის პროდუქცია.

საკუთარი მანქანათ-მშენებლობა 1929-30 წ. 4-ჯერ გადააჭარბებს ომის წინადროინდელ დონეს და მოგვცემს 1.3 მილიარდის პროდუქციას. ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ მანქანათ-მშენებლობა წარმოადგენს წარმოების იმ დარგს, რომელსაც ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ახალ წარმოებათა განვითარების შესახებ ცნობებს გვაძლევს იმ პროდუქციის რაოდენობა, რომელიც ამ ახალმა წარმოებებმა გამოუშვეს: 1927-28 წელს ახალი მანქანათმშენებელი საწარმოების პროდუქ. შეფასებული იყო 41,1 მილიონ მანეთად, 1930-31 წელს კი ეს პროდუქცია შეადგენს 55,2 მილიონ მანეთს. მოეწყო საწარმოები ტრაქტორების, საბურღავი მანქანების, რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების, პურისა და თამბაქოს მანქანების, საბურღავი დაზგების, ტურბინების, მძლავრი დიზელების და სხვ. საწარმოებლად.

სოფლის მეურნეობის უდიდესი ტემპები,— ამბობს ამხ. კუიბიშევი, — რომლებმაც შეგვაძლებიეს გადავსულიყავით კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციაზე, საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების განვითარება ახალ მოთხოვნებს უყენებენ ჩვენ მრეწველობას. ამასთან მარტო რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს არ მოითხოვენ. დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე მინერალურ სასუქზე, მავნებლებთან ბრძოლის საშუალებებზე, მიმოსვლის და ტრანსპორტის საშუალებებზე — საბარგო ავტომობილებზე, სათბობზე ტრანსპორტისა და ტარქტორებისათვის, ელექტრო-განათების საგნებზე, რადიო-მოწყობილობაზე და სხვ.

სოფლის მეურნეობის მაშინიზაციის საქმეში ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ. სასოფლო-სამეურნეო მანქანათ-მშენებლობის პროდუქცია ომამდე უდრიდა 7 მილიონ მანეთს, 1929-30 წ. კი მანქანათ-მშენებლობა გვაძლევს 400 მილიონ მანეთის პროდუქციას, ხოლო 1930-31 წელს მოგვცემს 845 მილიონ მანეთის პროდუქციას. დამახასიათებელია, რომ 1930-31 წელს ჩვენი სას.-სამ. მანქანათ-მშენებლობის პროდუქცია თავისი მოცულობით გადააჭარბებს ამერიკის შეერთებული შტატების სას.-სამ. მანქანათ-მშენებლობის პროდუქციას.

ბევრად ცუდათ არის სოფლის მეურნეობის დაკმაყოფილების საქმე წარმოების სხვა დარგების წარმოებით. მაგალითად, ხუთწლიანი გეგმის დავალება მინერალური სასუქების წარმოების ხაზით არ არის შესრულებული. საკმაო რაოდენობით არ მზადდება მოწყობილობა სარემონტო ბაზებისათვის, აგრეთვე სამგზავრო სამზარეულოები, კარვები, რადიო და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებამ წარმოების საშუალებებზე წელსვე შთანთქა საგრძნობი ნაწილი მთელი სოფლის მოთხოვნილებისა სამრეწველო საქონელზე.

იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლის მეურნეობა გადაყვანილ იქნა ახალ ტეხნიკურ ბაზაზე, ჩვენი სას.-სამ. მანქანათ-მშენებლობა იძულებული გახდა ძირიანად გადაქმნილიყო. ჯერ კიდევ ორი წლის წინად ჩვენმა სას.-სამეურნეო მანქანათ-მშენებლობამ ხელისა და ცხენის ინვენტარი გამოუშვა 97 პროცენტის რაოდენობით, სატრაქტორო მისაბმელი ინვენტარი კი — მხოლოდ 3 პროცენტის რაოდენობით. მიმდინარე წელს ხელისა და ცხენის ინვენტარის წილად სას.-სამეურნეო მანქანათ-მშენებლობის საერთო პროდუქციიდან მოდის 75 პროცენტამდე, ხოლო დანარჩენი, 25 პროცენტი — სატრაქტორო ინვენტარის წილად. მომავალ წელს შეფარდება უფრო მკვეთრად შეიცვლება და სატრაქტორო ინვენტარის წილად მოვა უკვე 60 პროცენტი და მეტიც.

შემდეგ ამხ. კუიბიშევი შეჩერდა სატრაქტორო ქარხნების მშენებლობაზე.

წელიწად-ნახევარში, — სთქვა მან, — ჩვენ უნდა ავაგოთ სატრაქტორო ქარხანა-გიგანტი ჩელიაბინსკში, რომელიც ყოველწლიურად მოგვცემს 40 ათასს ტრაქტორს. უფრო მოკლე ვადაში უნდა აიგოს ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, რომელიც წლიურად გამოუშვებს 50 ათას ტრაქტორს. შენდება კომბაინების ქარხნები სარატოვსა და ციმბირში. „კრასნი პუტილოვეც"-ს დაევალა 25 ათასი ცალით გაადიდოს ყოველწლიურად გამოსაშვებ ტრაქტორთა რიცხვი.

მაგრამ მარტო სოფლის მეურნეობა არ უდგენს მრეწველობას ახალ მოთხოვნებს. ტვირთბრუნვის გადიდება იმასთან შეფარდებით, რაც ხუთწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული, გადიდებულ მოთხოვნებს უდგენს მრეწველობას. ტრანსპორტი ახალ მოთხოვნებს უდგენს მას რელსებზე, ორთქლმავლებზე, ვაგონებზე და სხვ. ამასთან მარტო რიცხვობრივ გადიდებას არ მოითხოვენ, იცვლება თვით მოთხოვნების ხასიათიც. მაგალითად, საქონლის ჩვეულებრივი ვაგონების ნაცვლად მოითხოვენ დიდი ტვირთის დამტევ ვაგონებს, იცვლება სამუხრუჭო მეურნეობის მოთხოვნად და სხვ. მთელი სიგრძე-სიგანით ისმება ავტოტრანსპორტის საკითხი. საბარგო ავტომობილები დღეს ჩვენში ყველაზე დეფიციტიან საქონელს წარმოადგენენ. მრეწველობისადმი მოთხოვნის გადიდებას იწვევს აგრეთვე გაზრდილი ტვირთბრუნვა, რომელსაც სჭირია ახალი მაცივრები, ნავთსადგურების გაფართოება და მათი ახალი მოწყობილობა და სხვ. მასების კულტურულ მოთხოვნილებათა გაზრდამაც წაუყენა მრეწველობას ახალი მოთხოვნები (პოლიგრაფტრესტისა და ქაღალდის მრეწველობა, კინოწარმოება, სატელეგრაფო და სატელეფონო აპარატურა და სხვ.).

შემდეგ ამხ. კუიბიშევი შეეხო სამეცნიერო საგამოკვლევო მუშაობას მრეწველობაში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ტეხნიკური პროგრესის შემდგომი სერიოზული გაუმჯობესება, საჭირონი არიან ახალი ძალები, ნედლეულის ახალი წყაროები და სხვ. საზღვარ-გარეთ მრეწველობის სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობას საპატიო ადგილი აქვს დათმობილი. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ამერიკულ „ჯენერალ ელექტრიკ კამპანი"-ს აქვს საგამოკვლევო ლაბორატორია ლამპრების წარმოებისათვის, რომელზედაც წელიწადში 12 მილიონი დოლარი (24 მილიონ მანეთამდე იხარჯება).

მრეწველობაში ჩვენ შევქმენით 50-მდე ცენტრალური სამეცნიერო-საგამოკვლეო ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტები უკვე იძლევიან ნაყოფს. ასე, მაგალითად, თბოტეხნიკურმა ინსტიტუტმა შეიმუშავა მოსკოვის რაიონის სათბობის წვის საშუალება, რაც საგრძნობ ეკონომიას იძლევა. აღმოჩენილ იქნა ფრეზერის ტორფის წვის მეთოდი, რაც აგრძელებს ტორფის ამოღების სეზონს (80-დან 120 დღემდე წელიწადში). ტორფის ინსტიტუტის გამოკვლევები უზრუნველყოფენ ტორფის სათბობის ერთი - ორად გაიაფებას. გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტმა გამონახა გოგირდოვანი გაზისაგან გოგირდის სიმჟავეთა მიღების საშუალება. სასუქის ინსტიტუტმა თვალსაჩინო გაუმჯობესება შეიტანა სასუქის წარმოებაში და სხვ.

მაგრამ სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტები ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდენ მეტად თვალსაჩინო ნაკლთაგან.

წარმატებას მივაღწიეთ საგეოლოგო-საძიებელ საქმეშიაც. აღმოჩენილ იქნა ახალი მადნების საბადოები (ვოლფრამი, ნიკელი და სხვ.). ელექტრო - ქარხანა ამზადებს ამჟამად მყარ შენადნობს, „პობედიტ"-ად წოდებულს, რომელიც წარმატებულ კონკურენციას გაუწევს კრუპის „ვიდიემ"-ს.

სამეცნიერო-საგამოკვლეო და საგეოლოგო-საძიებელ სამუშაოთა განვითარებასთან და ნედლეულისა და სათბობის ახალი წყაროების აღმოჩენასთან დაკავშირებულია სამრეწველო დარგების და საწარმოთა რაციონალური განაწილება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იქმნებიან ახალი სამრეწველო რაიონები. დიდდება ახალი რაიონების (ურალის, ციმბირის და სხვ.) ხვედრითი წონა. ახალი რაიონების ხვედრითმა წონამ მათ მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობის მხრივ სამი წლის განმავლობაში აიწია 12-დან 27 პროცენტამდე. ეცემა ძველი სამრეწველო რაიონების კაპიტალური დაბანდებათა ხვედრითი წონა, თუმცა ამავე დროს იგი აბსოლიუტურად დიდდება, საერთო კაპიტალურ დაბანდებათა უდიდესი ზრდის გამო.

უაღრესად აქტუალური და უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხს ქვა-ნახშირისა და მეტალურგიული ბაზის შექმნის შესახებ ურალზე და ციმბირში.

ხუთწლედის დამლევისათვის ურალ-ციმბირის თუჯი მოგვცემს მთელი მოპოებული თუჯის 34,8 პროცენტს ან 5 მილიონ ტონას, ე. ი. ბევრად იმაზე მეტს, რაც მოგვცა საბჭოთა კავშირის მთელმა მეტალურგიულმა მრეწველობამ 1929 წელს.

სხვათა შორის ამხ. კუიბიშევმა აღნიშნა კაზაკსტანის სამრეწველო როლის მნიშვნელობა. კაზაკსტანის მრეწველობის პროდუქცია ხუთწლედის დამლევისათვის 15-ჯერ იქნება გადიდებული.

ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ ჩვენი მრეწველობის ხარისხობრივი მაჩვენებლები სისტემატიურად ჩამორჩებიან რიცხვობრივ მაჩვენებლებს. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ რიცხვობრივ მაჩვენებლებს სისტემატიურად ვაჭარბებთ, ხარისხობრივი მაჩვენებლები კი ჩამორჩებიან ნავარაუდევს. 1929-30 წლის პირველ ნახევარში, მაგალითად, თვითღირებულების შემცირება უდრიდა მხოლოდ 6 პროცენტს, პროექტით გათვალისწინებული 11 პროცენტის ნაცვლად. ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულების უდიდეს მნიშვნელობას.

მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში პროდუქციის ხარისხი უარესდება: მაგალითად უვარგისი სახურავი რკინის გამოშვება გაიზარდა 8 პროც.-ით, რელსების — 26 პრ.-დან 38 პროც.-მდე. ქვანახშირის ნაცრიანობის პროცენტი უაღრესად დიდია და აღწევს 14 პრ.-ს. ბევრად არადამაკმაყოფილებელია პროდუქციის ხარისხი საფეიქრო, ტყავის, ფეხსაცმელების და მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგებში. ცალკე შემთხვევებში უვარგისი პროდუქციის პროცენტი 40-მდე აღწევს.

პროდუქციის ხარისხისათვის საბრძოლველად უნდა დავრაზმოთ ჩვენი მუშური საზოგადოებრივობა. სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა უნდა მიმდინარეობდეს არა მარტო რიცხვობრივი მაჩვენებლების, არამედ აგრეთვე ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულების ლოზუნგთაც. საკონტროლო ორგანოები საწარმოებში დამოუკიდებელი უნდა გახდენ ადმინისტრაციისაგან.

ამხ. კუიბიშევი მოკლედ ჩერდება მრეწველობის შინაგან რესურსების მობილიზაციაზე და გადადის შრომის ნაყოფიერების საკითხზე. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ შრომის ნაყოფიერება ჩვენს მრეწველობაში 50-ზე მეტი პროცენტით სჭარბობს ომის წინადროინდელ დონეს. მაგრამ ამერიკასთან და ევროპასთან შედარებით ჩვენ ჯერ კიდევ ძლიერ ჩამოვრჩებით. ასე, მაგალითად, თუ ჩვენში ერთი მუშა ამუშავებს 218 ტონა თუჯს, ამერიკაში ამუშავებს — 1.270 ტონას, ჩვენი მუშა ამზადებს 4,4 ტონა ბამბის ქსოვილს, ამერიკაში ამზადებენ — 15,4 ტონას. ეს იმას გვეუბნება, რომ ჩვენ კიდევ უფრო უნდა დავაჩქაროთ ჩვენი ტეხნიკის განვითარება.

ამხ. კუიბიშევი თავის მოხსენებაში დიდ ყურადღებას უთმობს წარმოების რაციონალიზაციის საკითხებს. შრომის ნაყოფიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს განუწყვეტელ კვირას (მთელი მრეწველობის გადაყვანა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე 25 პროც.-ით გაადიდებს პროდუქციას), არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ისეთ ამოცანას, როგორიც არის ცვლების რიცხვის გადიდება. ჯერ - ჯერობით ცვლების რიცხვის გადიდება ძლიერ ნელა მიმდინარეობს. მე-15 ყრილობის შემდეგ ცვლების კოეფიციენტი უდრის 1,6 პროც.-ს. ჩვენი უახლოესი პრაქტიკული ლოზუნგია — ცვლების კოეფიციენტის გადიდება 2-დე.

საწარმოების სპეციალიზაცია და გაერთიანება ახალ რესურსებს მოგვცემს საწარმოების ნაყოფიერების გასადიდებლად. პროდუქციის გადიდება და მისი ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება საგრძნობლად არის დამოკიდებული, როგორც სტანდარტიზაციის გატარებაზე, ისე გეგმიანობის წესიერად დაყენებაზე და საწარმო - საფინანსო გეგმის მიყვანაზე ცალკე ცეხამდე და დაზგამდე.

ამხ. კუიბიშევი ეხება აგრეთვე ისეთ პირველხარისხოვან ამოცანას, როგორიც არის ბრძოლის გაძლიერება დანაკარგებთან წარმოებაში. საკმაო არისო, — ამბობს ამხ. კუიბიშევი, — ყველა წარმოებებში გამოვიყენოთ ნახშირის დაწვის ის წესი, რომლითაც აქაიქ უკვე სარგებლობენ და, რომელმაც უკვე გაამართლა თავისი თავი, რომ ჩვენ დავზოგოთ 800 მილიონ მანეთის ნახშირი მაინც.

მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარება და მისი გადაყვანა ახალ ტეხნიკურ ბაზაზე აყენებს ჩვენს წინაშე, როგორც უმნიშვნელოვანეს პრობლემას, კადრების პრობლემას. ჩვენ არაჩვეულებრივად სწრაფი ტემპით უნდა მოვამზადოთ მუშა - ხელი და ავამაღლოთ მისი კვალიფიკაცია. საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის სკოლებმა წელს უნდა გამოუშვან 100.000 კაცი. მაგრამ ეს ძლიერ ცოტაა. ამიტომ ჩვენ გვესაჭიროება მუშა - ხელის მომზადების უფრო მოკლევადიანი ფორმები.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები სწრაფად იზრდებიან. მაგრამ აქაც საჭიროა ტემპების გაძლიერება. ამასთან ერთად ჩვენს წინაშე დგას უკვე მომუშავე კადრების უკეთესად გამოყენების და გადამზადების ამოცანა.

ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს მუშათა კლასის რიცხვობრივ ზრდას, მისი მატერიალურ კულტურულ დონეს ამაღლებას, საბინაო მშენებლობის გაძლიერების და მუშათა კულტურულ - ყოფა-ცხოვრებრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმის გაუმჯობესების ამოცანებს და გადადის მუშათა მასების სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის საკითხზე. ის აღნიშნავს სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის უკვე არსებულ ბრწყინვალე შედეგებს და საწარმოო თათბირების მუშაობის გამოცოცხლებას.

მაგრამ აქ — ამბობს ამხ. კუიბიშევი, — ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გაკეთებული. ჩვენ ზოგჯერ გვაქვს აშკარად აღმაშფოთებელი დამოკიდებულება მუშათა წინადადებების განხორციელებისადმი. ყოველთვის და ყველანი ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ითვალისწინებენ მუშათა კლასის ამ აქტივობის მნიშვნელობას.

რა უდევს საფუძვლად ჩვენი მრეწველობის ასეთ შეუჩერებელ წინსვლას? სწორედ შრომის ახალი ფორმები, სწორედ მუშათა აქტივობის გაძლიერება. მუშათა კლასის ეს ენტუზიაზმი სოციალისტურ მშენებლობაში, ეჭვს გარეშეა, წარმოადგენს ჩვენი პარტიის სწორი პოლიტიკური ხაზისა და სწორი მუშაობის შედეგს. არ ყოფილა არც ერთი ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არ განუხილავს ცენტრალურ კომიტეტს.

ჩვენს წინაშე დგას უდიდესი ამოცანები და ჩვენ მოგველის კიდევ დიდი ბრძოლები სამეურნეო წლის გამარჯვებით დასამთავრებლად. დარჩენილი დრო მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას პროდუქციის ხარისხისა და თვითღირებულების დაკლების საკითხებისადმი. ცენტრალური კომიტეტის სწორი ლენინური ხაზი და მუშათა კლასის საწარმოო აღფრთოვანება იძლევიან სრულ იმედს, რომ ჩვენ არა თუ ამ წელს დავასრულებთ წარმატებით, არამედ ხუთწლიან გეგმასაც განვახორციელებთ 4 წელიწადში (აპლოდისმენტები).

## ამხ. მოლოტოვის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, კამათმა გვიჩვენა, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) დელეგაციის ხაზს კომინტერნში სავსებით მხარს უჭერს ჩვენი პარტია. უცხოეთის კომპარტიების წარმომადგენელთა გამოსვლამ დაგვანახვა კომინტერნის სექციათა ერთსულოვანი გადაწყვეტილება—გატარებულ იქნას მისი ლენინური ხაზი, ამ გამოსვლებში ამასთან ერთად ხაზი გაესვა ძმური კომპარტიების სრულ ნდობას საკავშირო კომპარტიისა (ბ) და მისი ხელმძღვანელობისადმი, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა იმ დიდ როლის გამო, რომელსაც საკავშირო კომპარტია (ბ) კომინტერნში თამაშობს.

მე დამრჩენია რამდენიმე სიტყვით შევაჯამო განვლილი ეტაპი და აღვნიშნო კომპარტიების წინაშე დასახული ამოცანები.

კომინტერნის ძირითადი ამოცანები გამომდინარეობენ იმ ეკონომიურ და პოლიტიკური პირობებიდან, რომლებსაც ჰქმნის მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი. ეკონომიური კრიზისი აძლიერებს კაპიტალისტური სისტემის ყველა წინააღმდეგობებს. იზრდება წინააღმდეგობათა გამწვავება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. კაპიტალი მთელი ფრონტით გადადის ახალ შეტევაზე მუშათა კლასის წინააღმდეგ.

კაპიტალიზმის კრიზისის გაძლიერება უფრო და უფრო ნაკლებ ადგილს იძლევა წვრილბურჟუაზიული მანევრებისათვის. სოციალ-დემოკრატია უფრო გულახდილად ასრულებს იმპერიალიზმის აგენტურის როლს, იგი თავისი აპარატით და რეფორმისტულ პროფკავშირთა ბიუროკრატიის საშუალებით უფრო და უფრო ეზრდება ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აპარატს.

რამდენადაც კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასის მხოლოდ ნაწილია შეკავშირებული, ისიც უმთავრესად რეფორმისტულ პროფკავშირებში, იმდენად პროლეტარიატი ფაქტიურად უმწეო იქნება კაპიტალის შეტევის წინაშე, თუ კომპარტიები არ შეასრულებენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა კლასის კონტრ-შეტევის ორგანიზატორის როლს. ამ თავისი როლის შესრულებას კომპარტია შესძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გააძლიერებს და განამტკიცებს თავის კავშირს მუშათა კლასთან, როცა იგი გაშლილი ფრონტით აწარმოებს ბრძოლას იმპერიალიზმის სოციალ-დემოკრატიული აგენტურის წინააღმდეგ მუშათა კლასში—სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ. კომპარტიების განვითარების განვლილი პერიოდი ხასიათდება მთელი ხაზით გაშლილი ბრძოლის წარმოებით სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. ამაშია კომინტერნის ლოზუნგების მთელი აზრი ამ პერიოდის განმავლობაში.

კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების ზრდასა და პროლეტარული მასების აქტივობის გაძლიერებასთან დაკავშირებით, კომინტერნმა წამოაყენა ტაქტიკა—კლასი კლასის წინააღმდეგ. ამ ტაქტიკის აზრი ისაა, რომ უარყოფილ იქნას რაიმე შეთანხმება სოციალ-დემოკრატიასთან და გაძლიერდეს ბრძოლა მუშათა მასების სოციალ-ფაშიზმისაგან ჩამოშორებისათვის ქვევიდან მთლიანი პროლეტარული ფრონტის განხორციელების საშუალებით. ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინად კომპარტიები ზოგჯერ სდებდნენ დროებით შეთანხმებას სოციალ-დემოკრატიასთან, მაგ., საპარლამენტო და კომუნალურ არჩევნების დროს მიღება ტაქტიკის,—კლასი კლასის წინააღმდეგ არ ნიშნავს მარტო უარს რაიმე ბლოკის დადებაზე სოციალ-დემოკრატიასთან, იგი მოასწავებს ბრძოლის გაძლიერებასაც სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ მთელი ხაზით.

გადასვლა ტაქტიკაზე—კლასი კლასის წინააღმდეგ ნიშნავდა სოციალ-დემოკრატიასთან არა მარტო საარჩევნო შეთანხმების ლიკვიდაციას. გერმანიაში, მაგ., ასეთ შეთანხმებათა დადება წინადაც არ ხდებოდა, მაგრამ ეკონომიური ბრძოლის სფეროში გერმანიის კომპარტია, ისე, როგორც იმ დანარჩენი ქვეყნების კომპარტიები, სადაც არ არსებობენ წითელი პროფკავშირები, მუშაობას აწარმოებდა მხოლოდ რეფორმისტულ პროფკავშირებში. ამავე დროს უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიქმნა ისეთი პირობები, რომ კომპარტიების მოქმედების ძველი ფარგლებით დაკმაყოფილება არავითარ შემთხვევაში აღარ შეიძლება. კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ და სამთა კავშირის დაარსებამ (ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, მრეწველთა და სოციალ-დემოკრატიის) კომპარტიებს ახალი ამოცანები დაუსახა. ეს ცხადი ხდება განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ მუშათა მასებს დაეტყო მისწრაფება—გადავიდნენ შეტევაზე კაპიტალის წინააღმდეგ.

კომპარტიების წინაშე მთელი სიმწვავით წამოიჭრა საკითხი კლასობრივი ბრძოლის საკუთარი ხელმძღვანელობის შესახებ, აქედან აუცილებლად გამომდინარეობდა ბრძოლის საჭიროება იმის წინააღმდეგ, რომ კომპარტიის პოლიტიკა არ დაქვემდებარებოდა რეფორმისტული პროფკავშირის ლეგალიზმს, ამასთან დაკავშირებით, წამოიჭრა ისეთი სასწრაფო საკითხები, როგორიც შეუკავშირებელი მუშების შეკავშირება, მასიური ბრძოლის ორგანოების შექმნა სოციალ-დემოკრატიული ბელადებისა და პროფკავშირულ ჭურუმთა წინააღმდეგ, „წითელი სიების" წამოყენება ფაბქარხკომების არჩევნების დროს და სხვა.

პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლის დამოუკიდებელი ხელმძღვანელობის პრაქტიკაზე გადასვლა განუყრელად დაკავშირებულია ტაქტიკის გატარებასთან—კლასი კლასის წინააღმდეგ. ეს მოასწავებდა ბრძოლის გაშლას სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ ყოველ საწარმოში მუშათა ყოველი ჯგუფისათვის და, ამასთან ერთად, მუშათა კლასისათვის მთლიანად. ამ ტაქტიკური ხაზის გატარება ნიშნავდა მთელი ხაზით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის წარმოებას სოციალ-დემოკრატიის წინააალმდეგ.

დასასრულ თვით კომინტერნის რიგებში პარტიებმა გააჩაღეს გამწვავებული ბრძოლა სოციალ-დემოკრატიზმის ნაშთა წინააღმდეგ. ბრძოლა მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ ამის უფრო ცხად გამოხატულებას წარმოადგენს. ტაქტიკის—კლასი კლასის წინააღმდეგ ბოლშევიკურად გატარება და გაშლილი ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ შეუძლებელია, თუ არ გამოეცხადა შეურიგებელი ბრძოლა მემარჯვენე და „მემარცხენე" ტიპის ანტილენინურ გადახრებს, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრას და ოპორტუნიზმს პრაქტიკაში როგორც სოციალ-დემოკრატიულ ნაშთების უფრო საშიშარ გამოხატულებას კომპარტიების შორის, ამიტომ კომპარტიებმა ბრძოლის მთავარი გეზი მიმართეს მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ და წინააღმდეგ შემარიგებლობისა მემარჯვენე ოპორტუნიზმისადმი. სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ მთელი ხაზით გაშლილ ბრძოლასა და მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლას შორის თვით კომინტერნის სექციებში განუყრელი კავშირი არსებობს. ერთი მეორიდან გამომდინარეობს.

ამგვარად, ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ კომპარტიების ყურადღების ცენტრში იდგა განვლილი პერიოდის განმავლობაში, ეს ბრძოლა განსაზღვრავდა და განსაზღვრავს კომიტერნის და მისი ცალკე სექციების ტაქტიკას. სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ მთელი ფრონტით გაშლილი შეურიგებელი ბრძოლა და, ამასთან დაკავშირებით, ბრძოლა კომუნიზმის მხარეზე გადმოსაყვანად მუშათა კლასის უმრავლესობისა,—ასეთია კომინტერნის ძირითადი ხაზი.

ამ ძირითადი ხაზის გატარებაში სერიოზული წარმატების მიღწევა ნიშნავდა იმას, რომ მრავალმა კომპარტიამ აღნიშნულ პერიოდში განვლო ბოლშევიზაციის გარდამწყვეტი ეტაპი. ასეთია საბოლოო შედეგი.

კომპარტიების გავლენის ზრდა მუშათა მასებში უდაო ფაქტია. იზრდება კომპარტიების ბრძოლის უნარიანობა და მათი როლი კლასობრივი ბრძოლების ხელმძღვანელობაში.

მიუხედავად ზოგიერთი სექციის რიცხობრივად შემცირებისა, კომპარტიების ავტორიტეტი მუშათა შორის მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში იზრდება და მაგრდება. კომპარტიები თანდათან ხდებიან ერთად-ერთ ხელმძღვანელად და ბელადად მუშათა კლასის მასიურ გამოსვლებში.

ამასთან ერთად კომპარტიების წინაშე ამჟამად დასახული ამოცანები განსაკუთრებული სიცხადით ააშკარავებენ მათი მუშაობის სუსტ ადგილებსა და დეფექტებს. მუშათა კლასზე კაპიტალის გაძლიერებული შეტევა მთელ რიგ ქვეყნებში განუზომელად ფართოვდება. კაპიტალის ერთგული მოკავშირეები—სოციალ-დემოკრატია და რეფორმისტული პროფკავშირები—არაფერს ერიდებიან იმისათვის, რომ ჩაშალონ მუშათა აქტივობის ზრდა ამ შეტევის წინააღმდეგ. მხოლოდ კომპარტიას შეუძლია იყოს კაპიტალის ამ შემოტევის მოგერიების ორგანიზატორი და პროლეტარიატის კონტრ-შეტევაზე გადასვლის ხელმძღვანელი, აქედან გამომდინარეობს ის, რომ კომპარტიების პასუხისმგებლობა და მათი მუშაობის სიძნელენი უდიდესად იზრდება.

ფაქტები გვეუბნებიან, რომ ბევრ ქვეყანაში ჩვენს პარტიებს უკვე შეუსწავლიათ, თუ როგორ მოაწყონ მასიური პოლიტიკური გამოსვლები და მუშათა დემონსტრაციები. კომპარტიების სათანადო მოწოდებებს უფრო და უფრო მეტი თანაგრძნობით ხვდებიან მუშათა მასები. მიუხედავად ამისა, კომპარტიების წარმატება კლასობრივი ბრძოლების ხელმძღვანელობაში, დაწყებული ეკონომიური გაფიცვიდან, ჯერ ისევ უმნიშვნელოა. აქ განსაკუთრებით აშკარავდება კომინტერნის სექციების სუსტი მხარეები.

ამავე დროს კლასობრივი ბრძოლების ორგანიზაცია, კომპარტიების ხელმძღვანელობით, ჩაითვლება მიმდინარე პერიოდის ძირითად ამოცანად. თუ წინად კომპარტიების მუშაობა გამოიხატებოდა უმთავრესად აგიტაციისა და პროპაგანდის გაწევაში, დღეს სიმძიმის ცენტრი გადატანილია კლასობრივი ბრძოლის მოწყობაზე კომუნისტური ხელმძღვანელობით, მხოლოდ ამ საფუძველზე, საგაფიცვო ბრძოლის ბოლშევიკური ორგანიზაციის და კაპიტალის წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლების სხვა ფორმების საფუძველზე, კომპარტიებს შეუძლიათ მოიპოვონ ნამდვილი ავტორიტეტი პროლეტარიატის მთელი რევოლიუციონური ბრძოლის კომუნისტურ ხელმძღვანელობას და გამოიწვიონ მუშათა ნდობა ამ ხელმძღვანელობისადმი. ამ ამოცანათა თვალსაზრისით, ე. ი. კლასობრივი ბრძოლის მოწყობის ორგანიზაციის თვალსაზრისით, კომინტერნის სექციების წარმატება ჯერ ისევ უმნიშვნელოა, და სწორედ მუშაობის ამ დარგში ესაჭიროებათ კომპარტიებს გადამწყვეტი გარდატეხის მიღწევა.

ამ გარდატეხის მოხდენა კი ნიშნავს კომპარტიების მთელი მუშაობის დონეს ამაღლებას. ამოცანა ის არის, რომ კომპარტიებმა შეისწავლონ როგორც მასიური პოლიტიკური კამპანიების დემონსტრაციებისა და სხვათა მოწყობა, ისე პროლეტარიატის იმ კლასობრივი ბრძოლების, პირველ ყოვლისა, ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვების მოწყობა, რომლებსაც მეტი და მეტი მნიშვნელობა ეძლევათ რევოლიუციონური აზვირთების განვითარების პირობებში. მუშათა ეკონომიური ბრძოლის ხელმძღვანელობის საქმეში თავისი მუშაობის ამაღლება, განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ ეკონომიური ბრძოლები თანდათან პოლიტიკურ ბრძოლად იქცევიან, ასეთია ამჟამად კომპარტიების ძირითადი ამოცანა. ამ ამოცანის განხორციელების გზაზე წარმატებით სვლა ნიშნავს იმას, რომ უმაღლეს დონემდე იქნას აყვანილი კომპარტიების მუშაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ახალი და თან უძნელესი ამოცანები, რომლებიც წამოჭრილია ამჟამად კომპარტიების წინაშე, ამოცანები, რომლებიც შეეხებიან პროლეტარული ბრძოლის მოწყობას, შეუძლებელია გადაიჭრას ისე, თუ არ იქნა გაშლილი კრიტიკა კომპარტიების მუშაობის ნაკლთა გარშემო. ამიტომ თვითკრიტიკის ლოზუნგი გახდა უმთავრეს ლოზუნგად კომინტერნის სექციებში. თვითკრიტიკის განვითარება განსაკუთრებით იმისათვისაა საჭირო ,რომ მიღწეულ იქნას კომპარტიების პრაქტიკულ მუშაობაში კომინტერნის პოლიტიკური ხაზის თანამიმდევრობით გატარება. უამისოდ ჩვენ ვერ შევძლებთ დავძლიოთ ის ფართოდ განვითარებული ოპორტუნიზმი პრაქტიკაში, რომელიც სიტყვიერად აღიარებს პარტიის პოლიტიკურ ხაზს, ხოლო სინამდვილეში შემთანხმებლობას ეწევა სოციალ-დემოკრატიასთან, უარს ამბობს ყოველდღიურ „შავ" მუშაობაზე მუშებს შორის და ამავე დროს ამ თავის უარს ახვევს „მემარცხენე" ფრაზიორობის სამოსში.

მრავალია იმის შემთხვევა, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ ორგანიზაციულად განვამტკიცოთ კომპარტიების გავლენის ზრდა მუშათა მასებში. მთავარი აქ არის კომპარტიების მუშაობის დეფექტები საწარმოებში. ამავე დროს საწარმოებში მუშაობას, პირველ ყოვლისა კი ფაბრიკა-ქარხნების უჯრედების ორგანიზაციულად განმტკიცებას და მათ პოლიტიკურად აღზრდას პროფკავშირის ქვედა საფეხურის ორგანოებისათვის—ფაბქარხკომთათვის, ბრძოლის კომიტეტებისათვის და სხვათათვის დახმარების აღმოჩენას და მათი მუშაობის მუდმივ შემოწმებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა. თუ ამ ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცევა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მხრივ, ზევიდან ქვედა საფეხურამდე, შეუძლებელია პარტია გადაიქცეს კლასობრივი ბრძოლების ნამდვილ ორგანიზატორად, შეუძლებელია ნიადაგი გამოაცალოს მან სოციალ-დემოკრატიის გავლენას მუშათა მასებში. იმისათვის, რომ ნამდვილად უზრუნველყოფილ იქნას მუშათა კლასის ნდობის მოპოება, კომინტერნის სექციებმა ორგანიზაციულად უნდა განამტკიცონ თავიანთი გავლენა მუშათა მასიურ ორგანიზაციებში. კომუნისტების კაპიტალისტურ საწარმოებში მუშაობა ამჟამად განსაკუთრებულ მძიმე პირობებშია ჩაყენებული.

ბურჟუაზია არ ერიდება რევოლიუციონური მუშაობის არავითარ დევნას. სოციალ-ფაშისტები ბურჟუაზიას აქტიურად ეხმარებიან კომუნისტების წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიების გატარების დროს. ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს ფაბქარხკომების უკანასკნელი არჩევნები გერმანიაში. ვინაიდან გერმანიაში ბურჟუაზია ანხორციელებს რევოლიუციონური მუშების დათხოვნის სისტემას, ზოგიერთ საწარმოში საჭირო გახდა ფაბქარხკომების წითელი სიების სამჯერ-ოთხჯერ წამოყენება. იმისათვის, რომ მუშები კომპარტიის რიგებში ჩადგნენ იმ საშინელ ტერორის დროს, რომელსაც ბურჟუაზია და სოციალ-ფაშისტები მიმართავდენ, მათთვის საჭიროა დიდი თავგანწირვა—პირდაპირ გმირობა.

მუშების ეს გმირობა მოწმობს, რომ იზრდება მუშათა კლასის ავანგარდის ურყევი რწმენა კომუნისტური პოლიტიკის სისწორეში. ეს გმირობა მაჩვენებელია აგრეთვე იმისა, რომ იზრდება ნდობა კომპარტიებისადმი მუშათა ფართო მასებში. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის მაგალითს არ შეუძლია რევოლიუციონური სიმტკიცე არ შეიტანოს მუშათა კლასის რიგებში საზღვარგარეთ, არ შეუძლია არ გახდეს მოწოდებად ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობისაკენ, მოწოდებად ბრძოლისაკენ მუშათა კლასის გამარჯვებისათვის.

განვლილი ეტაპი მნიშვნელოვანი პერიოდია კომინტერნის სექციების პოლიტიკური ხაზის შემოწმების საქმეში. შემოწმების ამ პერიოდმა ბევრად განამტკიცა მათი, როგორც მუშათა მასების პოლიტიკური ხელმძღვანელების, როგორც მუშათა კლასის ინტერესების ერთად-ერთი გამომხატველების, ავტორიტეტი. კომპარტიების გავლენა გაიზარდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ განმტკიცებული პრაქტიკული მუშაობით. ფართოდ გაშლილი ბრძოლა ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ და თვითკრიტიკის განვითარება კომპარტიების რიგებში მნიშვნელოვანი წინასწარი პირობაა კომპარტიების მთელი რევოლიუციონური პრაქტიკის ახალ საფეხურზე ასაყვანად. კომპარტიების თვითეული პოზიციის ორგანიზაციულად განმტკიცება მუშათა და მშრომელთა ფართო მასებში, მასებს შორის წარმოებულ ყოველდღიურ „შავი" მუშაობის რევოლიუციონური მნიშვნელობის ამაღლება და გაშუქება პარტიულ ორგანიზაციების წინაშე და მტკიცე, შეგნებული, რევოლიუციის საქმისათვის ბოლომდე თავდადებული კომუნისტური კადრების აღზრდისათვის მუშაობა,—ყველაფერი ეს საქმით ნიშნავს ბოლშევიკური ბრძოლის წარმოებას ოპორტუნიზმის წინააღმდეგ და მტკიცედ სვლას მუშათა შორის სოციალ-დემოკრატიის გავლენის გადალახვის გზაზე. მხოლოდ ასეთი მუშაობით გადაიყვანენ კომპარტიები კომუნიზმის მხარეზე მუშათა კლასის უმრავლესობას და სათავეში ჩაუდგებიან პროლეტარიატის ძლევამოსილ ბრძოლას ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ.

ეხლანდელ პერიოდში კომპარტიების წინაშე დგანან უძნელესი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ ბოლშევიკური პოლიტიკური ხაზი დაკავშირებული იქნება ბოლშევიკურ პრაქტიკულ მუშაობასთან მასებში. სწორი პოლიტიკური ხაზი და კომპარტიების გავლენის ორგანიზაციული განმტკიცება მასებში, აგრეთვე კომპარტიების შემდგომი წარმატება მუშების რევოლიუციონურად აღზრდისა და კლასობრივად დარაზმვის საქმეში ძირითადი პირობაა მუშათა კლასის ძლევამოსილი ბრძოლისა შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის და მასთან ერთად ფაშიზმისა და სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ.

კომინტერნი მოუწოდებს მუშებს—ფართოდ გაშალონ მზადება მომავალი კლასობრივი ბრძოლისათვის. ამაშია ეხლა კომპარტიების მთავარი ამოცანა.

კომინტერნის ლენინური დროშის გარშემო თანდათან მჭიდროთ ირაზმებიან მუშათა და მშრომელთა მილიონიანი მასები რევოლიუციონური ბრძოლის საწარმოებლად ბურჟუაზიის წინააღმდეგ და პროლეტარული რევოლიუციის გასამარჯვებლად (ხანგრძლივი ტაში).

## კამათი ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო

### ამხ. სუხომლინი

(უკრაინა)

ჩვენი პარტიის სწორმა ლენინურმა ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ და პროლეტარიატის დიქტატურის გეგმიანმა სისტემამ, მიუხედავად მუშაობის განსაკუთრებით ძნელი პირობებისა, შექმნა პირობები სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში უნახავი წარმატებისათვის და უზრუნველჰყო ბუმბერაზული ტემპები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ უახლოეს მომავალშივე დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამ წარმატებათა ფონზე, ვხედავთ — საით მივყავდით მემარჯვენე გადახრის ოპორტუნისტულ ხაზს; მხოლოდ კლასობრივ ბრძოლაში, მხოლოდ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლაში მივაღწიეთ ჩვენ ასეთ შედეგებს.

ერთ - ერთ უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენმა სოციალისტურმა მრეწველობამ განამტკიცა თავისი ხელმძღვანელი როლი ჩვენი ქვეყნის მთელ სახალხო მეურნეობაში. სწორედ ეს ფაქტი სცემს ლახვარს მემარჯვენეებს.

შემდეგ ამხ. სუხომლინი ჩერდება დეფექტებზე მრეწველობის ზრდაში, აღნიშნავს ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებს მისი განვითარებისათვის და კერძოდ, ეხება ისეთ შემაფერხებელ გარემოებას ჩვენი მეურნეობის სწორ განვითარებაში, როგორიც არის უპრინციპო „რაიონული" ბრძოლა. მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: დნეპრის რაიონს სჭირდება ორი მილიონი კუბ. მეტრი ხე-ტყის მასალა, მაგრამ მის მიღებას ვერ ვახერხებთ: ბელორუსიის სამეურნეო ორგანიზაციები თანახმანი არიან მოგვაწოდონ დახერხილი მასალა, მაშინ, როდესაც ჩვენი, დნეპრის რაიონის, ქარხნები დაუტვირთავია. მზა ნახერხი მასალის მოტანა იწვევს აგრეთვე რკინის გზების ზედმეტად დატვირთვას. ხე-ტყის დაცურება მდინარეზე დიდ ეკონომიას მოგვცემს.

შემდეგ ამხ. სუხომლინი ამბობს, რომ ქვაბების 41 პროც. უკრაინის მრეწველობაში 25 ზე მეტი წლისაა. ქვაბების ნაკლებობა ვიწრო ადგილად გადაიქცა დონბასის ელექტრომშენებლობაში და ელექტრომიწოდებაში. ამიტომ უნდა დავიწყოთ საქვაბე ქარხნის მშენებლობა.

ამხ. ს. ორჯონიკიძე და ამხ. კ. ვოროშილოვი

### ამხ. მუკლევიჩი

პარტიის თანამიმდევარი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის გადაქცევისაკენ აგრარულ ქვეყნიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად, ჰქმნის აუცილებლად მტკიცე ბაზას ჩვენი თავდაცვის უნარის გადიდებისათვის.

ჩვენი ეკონომიკის განვითარება, ჩვენი ექსპორტის და იმპორტის განვითარება მოითხოვს გაორკეცებულ ყურადღებას საზღვაო პრობლემებისადმი. ამხ. მიქოიანი აქ აღნიშნავდა, რომ მომავალ წელს განზრახულია დაჭერილ იქნას 21 მილიონი ცენტნერი თევზი, ომის წინა დროს დაჭერილი 10 მილიონი ცენტნერის ნაცვლად. შემდეგ წლებში ეს რაოდენობა უფრო გადიდდება. ეს ამოცანა მოითხოვს ახალი უდიდესი სათევზაო ფლოტის შექმნას — სულ მცირე, 500 დიდი საოკეანო ტრალერის აგებას. ამ ტრალერებს უკვე ვაშენებთ. ამასთან ერთად შენდება მრავალი სარეწაო გემი ბეწვეულის მოსაპოვებლად და ნადირის საჭერად ოკეანეს ნაპირზე. საბჭოთა ტონაჟმა მთლიანად უნდა დააკმაყოფილოს მცირე და დიდი საკაბოტაჟო ნაოსნობა, აგრეთვე ექსპორტის 25 პროც. და იმპორტის 100 პროც. ამისათვის საჭირო იქნება 582 ახალი დიდი კომერციული გემის აგება. ზღვა ხელმისაწვდომი და თავისუფალი უნდა იყოს იმ გემებისათვის, რომლებზედაც წითელი სოციალისტური დროშა ფრიალებს, ისევე, როგორც ხელმისაწვდომია იგი იმ გემებისათვის, რომლებზედაც კაპიტალისტური დროშებია. ამისათვის ჩვენ გვესაჭიროება სამხედრო - საზღვაო ფლოტი. იგი ჩვენ გვესაჭიროება არა თავდასხმისათვის, არამედ ჩვენი დოვლათის დაცვისათვის.

თუ ავიღებთ საბჭოთა კავშირის დასავლეთ ნაწილს, დაინახავთ სამ მძლავრ სამრეწველო კვანძს, პროლეტარული სოციალისტური კულტურის სამ მძლავრ კერას.

ეს კვანძებია ლენინგრადის, ცენტრალური — მოსკოვის და სამხრეთის რაიონები; ორ მათგანს — სამხრეთის და ლენინგრადის კვანძს — უშუალოდ ემუქრება საფრთხე ზღვიდან. ჩვენი გემთამშენებლობა, განსაკუთრებით სამხედრო, ვიწრო ადგილია. ყრილობამ უნდა განავითაროს ეს ჩამორჩენილი რგოლი და უნდა დააყენოს იგი საერთო დონეზე იმ განსაკუთრებულ მიღწევებთან, რომელთა მკაფიო სურათიც აქ ამხ. კუიბიშევმა დაგვიხატა (ტაში).

### ამხ. კადაცკი

(ლენინგრადი)

ჩვენი მიღწევები ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში მიღებულია მემარჯვენეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. უნდა ვთქვათ, რომ მემარჯვენეთა ხაზი არასწორი იყო, ვინაიდან იგი წარმოადგენდა შემაფერხებელ გარემოებას ჩვენს განვითარებაში.

ამხ. კადაცკი ეხება პროდუქციის ხარისხს, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ძალიან მოიკოჭლა. ამხ. კადაცკი ამბობს, რომ აქ ბევრი რამ დამოკიდებულია ნედლეულზე. სწორედ ამიტომ დამმუშავებელი მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის ხარისხისათვის ბრძოლა უნდა დავსახოთ ჩვენს პირველხარისხოვან ამოცანად. უეჭველია, — ამბობს იგი, — რომ სწორმა გეზმა, აღებულმა ახალი სამრეწველო რაიონების განვითარების დაჩქარებისაკენ, არ უნდა გამოიწვიოს ისეთი ძველი რაიონების უყურადღებოდ მიტოვება, როგორიც არის მაგალითად ლენინგრადის, მოსკოვის და ივანოვის ოლქები. რომ აღნიშნული რაიონების მრეწველობის შესაძლებლობანი ამოწურული არ არის და რომ ამ მრეწველობას ჯერ კიდევ აქვს რეზერვები, ამას მოწმობს თუნდაც ლენინგრადის ოლქის მრეწველობის მაგალითი, სადაც ცვლის კოეფიციენტმა მხოლოდ 1,5-ს მიაღწია და ჩამორჩება საკავშირო კოეფიციენტს.

ამხ. კადაცკი ეხება მოწყობილების ნაკლთა საკითხს და აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საიმპორტო მოწყობილებას მეტად დაუდევრად ეკიდებიან. უცხოეთიდან ჩამოტანილი მანქანები, ცუდი მოვლის გამო, ხშირად თავიანთი ნაყოფიერების მხოლოდ 50—60 პროცენტს იძლევიან.

### ამხ. კლიმენკო

მრეწველობის დარგში პარტიის მუშაობის ძირითად შედეგს წარმოადგენს ის, რომ ჩვენ მივაღწიეთ ძირითად გარდატეხას სოციალისტური მშენებლობის გაშლაში, შევქმენით ძირითადი წინასწარი პირობები უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან სწრაფად განთავისუფლებისათვის და შეუდგებით სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანის პრაქტიკულად გადაჭრას. შემდგომი ბრძოლა ხუთწლიანი გეგმისათვის არის უპირველეს ყოვლისა ბრძოლა ლითონისა, ქვანახშირისა და ქიმიისათვის.

ამასთან დაკავშირებით ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა აქვს პარტიის გადაწყვეტილებას ახალი სამრეწველო რაიონების შესახებ. კერძოდ, ციმბირი უდიდეს როლს ითამაშებს ლითონისა და ქიმიური მრეწველობის საკითხის გადაჭრაში. მიმდინარე წელს ჩვენ უკვე ვამთავრებთ ქვანახშირის ხუთწლიან გეგმას (ძველი ვარიანტით) ხუთწლიანი გეგმის ახალი ვარიანტი ითვა-

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

ლისწინებს ციმბირისათვის დავალებას 27 მილიონი რაოდენობით. თუ მთელი საბჭოთა კავშირი, განსაკუთრებით მოწინავე სამრეწველო რაიონები დაგვეხმარებიან, ჩვენ ამ გეგმას შევასრულებთ. ამავე დროს კი, ზოგიერთ ცენტრალურ აპარატში და აქა-იქ ტრესტებში ეს არ ესმით. საქმე იქამდე მივიდა, რომ გზათა სახალხო კომისარიატმა კინაღამ შეაჩერა კუზნეცკ-ნოვოსიბირსკის რკინის გზის — კუზნეცკის ბასეინიდან ურალისაკენ ძირითადი გამოსავალის — მშენებლობა და მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის ჩარევამ მოუღო ბოლო ამ უმსგავსოებას.

ამხ. კლიმენკო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ციმბირს უნდა დაეხმარონ ისეთი მოწინავე სამრეწველო ცენტრები, როგორიც არის ლენინგრადი, მოსკოვი, დონბასი და სხვ.

## ამხ. ანტიპოვი
(ფ.-ტელ. სახ. კომისარიატი)

ცენტრალური კომიტეტის ლენინურმა ხაზმა უზრუნველჰყო მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპები. ეს თავის მხრივ მოითხოვს სრულიად ახალდამოკიდებულებას ფოსტა - ტელეგრაფ - ტელეფონის მეურნეობისადმი. ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი გადაწყვეტილება სოფლის რგოლის ლიკვიდაციის შესახებ უფრო მეტად ამწვავებს ამ ამოცანას.

საეჭვოა გვქონდეს სახალხო მეურნეობის ისეთი სხვა დარგი, რომელიც უფრო ცუდ მდგომარეობაში იყოს, ვიდრე ფოსტა - ტელეგრაფ - ტელეფონის მეურნეობა. ამჟამად მთელი მისი ძირითადი კაპიტალი 260 მილიონ მანეთს შეადგენს. ფოსტის ქსელი შეიცავს დასახლებული პუნქტების მხოლოდ 50 პროც.-ს და აკმაყოფილებს მოსახლეობის 80 პროც.-ს. ამასთან კორესპონდენციისა და პრესის მიწოდება საშუალოდ კვირაში ორსამჯერ ხდება. რაიონული კომიტეტები ოლქებთან ტელეფონებით დაკავშირებულნი არიან 75 პროც.-ით, ხოლო სოფლის საბჭოები რაიონულ აღმასკომებთან — 12 პროცენტით. იგივე სურათია რადიოს მხრივ. წინანდელ ხუთწლიან გეგმაში კაპიტალური დაბანდებანი ფ.-ტელ.-ტელეფონის მეურნეობაში განზრახული იყო 370 მილიონი მანეთის რაოდენობით. ეხლა ხუთწლიანი გეგმა კაპიტალურ დაბანდებებს ითვალისწინებს 1.360 მილიონი მანეთის რაოდენობით. ეს რა თქმა უნდა, დიდი გარდატეხაა, მაგრამ ესეც არაა საკმაო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ხუთწლედის დამლევისათვის ამ დაბანდებებითაც კი რაიონზე საშუალოდ გვექნება 15—16 ტელეფონი. კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნება ჩვენი ჩამორჩენა ამერიკასთან შედარებით, სადაც გასულ წელს მხოლოდ ერთმა ფირმამ ქალაქის ტელეფონის მეურნეობაში 1.100 მილიონი მანეთი დააბანდა, ჩვენში კი ფოსტა - ტელეგრაფ-ტელეფონის მეურნეობის ყველა დარგებში ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 1.360 მილიონი მანეთის დაბანდებას.

შემდეგ ამხ. ანტიპოვი ჩერდება იმაზე, რომ მრეწველობა ცუდად ასრულებს ფოსტა - ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის შეკვეთებს. ასე, მაგალითად, რადიო - აპარატის ზოგიერთი შეკვეთები 50 პროც.-ით სრულდება, ზოგის კი ნაკლებადაც. სუსტი დენის მრეწველობა, სწრაფი განვითარების მიუხედავად, მაინც ვერ აკმაყოფილებს ფოსტა - ტელეგრაფ—ტელეფონის მეურნეობის განვითარების საჭირო ტემპებს.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას გამოიჩენენ ფოსტა - ტელეგრაფ - ტელეფონის მეურნეობისადმი, — ამბობს დასასრულ ამხ. ანტიპოვი, — ეს მეურნეობა გაუმჯობესდება და გახდება ნამდვილად დამხმარე ჩვენს დიდ სოციალისტურ მშენებლობაში.

## ამხ. კამინსკი
(საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.)

ამხ. კამინსკი შეეხო მასიური საწარმოო მუშაობის დეფექტებს მრეწველობაში.

ჩვენი მასიური მუშაობა ძალიან ჩამორჩება იმ ხარისხობრივ ცვლილებებს, რომლებიც მუშათა კლასში გვაქვს. არ მომხდარა ამ მუშაობის დიფერენციაცია. ჩვენ ტრაფარეტულად და ძველებურად ვმუშაობთ და მხედველობაში არ ვიღებთ იმას, რომ მუშათა კლასის შემადგენლობაში, წარმოების ხასიათში დიდი ცვლილება მოხდა. ავიღოთ მაგალითად, მასიური მუშაობა იმ წარმოებებში, სადაც ქალები მუშაობენ. ჩვენ ჩვეულებრივად ისეთი წარმოდგენა გვაქვს, რომ ქალები მუშაობენ მხოლოდ საფეიქრო, სამკერვალო, სახალხო კვებისა და სხვა საწარმოებში, ამავე დროს ამჟამად მდგომარეობა თვალსაჩინოდ შეიცვალა. მუშა - ქალთა რიცხვი ლითონის მრეწველობაშიაც კი გაიზარდა. იგივე უნდა ითქვას სასოფლო - სამეურნეო პროლეტარიატის შესახებ, რომელიც ეხლა ძალიან შეიცვალა; მას ეხლა ძველებურად მარტო მოჯამაგირე და მწყემსი არ წარმოადგენს; იგი ინდუსტრიალურად იწვრთნება როგორც ტრაქტორისტი — კომბაინერი და სხვ. ან ავიღოთ სამშენებლო მუშები, რომლებიც სეზონური მუშებიდან მუდმივ მუშებად იქცევიან. მშენებლობა ხდება ინდუსტრიალური პროლეტარიატის წინასწარ სკოლად.

მასიური მუშაობა დღემდე სათანადო ვერ გარდავქმენით. ეს ბევრნაირად დაკავშირებულია პროფკავშირების წინანდელი მემარჯვენე ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის მუშაობასთან. მისი მემკვიდრეობა ზოგჯერ ეხლაც იჩენს თავს. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ მასიურ მუშაობაში გარდატეხა განსაცვიფრებელ შედეგებს აღწევს. ასე, მაგალითად, როდესაც მელითონეთა კავშირის გადარჩევის კამპანიაში ჩვენ ახალი შინაარსი შევიტანეთ, ძალიან მოკლე ვადაში მრავალი ნაკლი გამოვასწორეთ. მოეწყო დაახლოებით 3.000 ახალი ბრიგადა, მოეწყო სოციალისტური შეჯიბრება და სხვ.

ახალნაირად დაყენებული მასიური მუშაობა ყოველთვის იწვევს მუშათა კლასის აქტივობის უნახავ გაძლიერებას. ასე, მაგალითად, დანაკარგებთან ბრძოლის ერთთვიურის დროს 150 ქარხანაში შემოვიდა მუშების 50 ათასი წინადადება. როგორც ხედავთ, აქტივობა განსაკუთრებით დიდია. მთელი საქმე ის არის, რომ ძალიან ხშირად ჩვენ ვერ ვახერხებთ სათანადოდ დავრაზმოთ და მივმართოთ ეს აქტივობა. მუშაობა თავის-თავად მიმდინარეობს.

უარყოფით გავლენას ახდენს ისიც, რომ სუსტად ხდება სამრეწველო - საფინანსო გეგმის საამქროებამდე და აგრეგატებამდე მიყვანა, მაგრამ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მუშათა გამომგონებლობის საქმეში.

ამხ. კამინსკის მოჰყავს ამხ. ალექსანდროვის გამოგონების მაგალითი. ამ გამოგონებამ ათი წლის განმავლობაში გაიარა 101 ინსტანცია. იგი განხილულ იქნა 250 დაწესებულებაში, 16 კოლეგიაში, 8 თათბირზე და სხვ. ასეთივე უმსგავსო მდგომარეობა იყო ამხ. ხოჯაევის გამოგონების მიმართ ტყავეულის მრეწველობაში.

ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მთლიანად გამოვიყენოთ მუშათა კლასის აქტივობა — ეს უდიდესი წყარო ჩვენი მრეწველობის გაფართოების ახალი ტემპებისა.

## ამხ. პახომოვი
(ნიჟნი ნოვგოროდი)

ამხ. პახომოვი ამბობს: ნიჟეგოროდის მხარე მეტად ჩამორჩენილია ენერგეტიკის მხრივ. ამ რამდენიმე ხნის წინად დაასრულეს ქიმიური ქარხნის ერთი ცეხის მოწყობა, მაგრამ ელექტრო - ენერგია არა გვაქვს და ქარხანა ვერ აგვიმუშავებია. ბალახნაში დამთავრებულია აგება მეორე ქაღალდის ქარხნის, რომელიც მოითხოვს 4½ მილიონ კილოვატ ენერგიას, მაგრამ ჩვენ არ მოგვეპოვება იგი. ენერგეტიულ პრობლემას ყურადღება უნდა მიექცეს. განსაკუთრებით მწვავედ დგას სამრეწველო კადრების პრობლემა. საჭიროა უფრო ენერგიულად მოვეკიდოთ ხელი სამრეწველო კადრების პრობლემას, არ უნდა მოვერიდოთ ხარჯებს.

## ამხ. მ. კაგანოვიჩი
(ცენტრ. საკ. კომისია)

ამხ. კაგანოვიჩი ამბობს: ჩვენ ცუდი ბოლშევიკები ვიქნებოდით, რომ ვილაპარაკოთ მხოლოდ სოციალისტური მშენებლობის წარმატებებზე და რომ კრიტიკულის ანალიზით არ მივუდგეთ ჩვენს მშენებლობას.

თვითკრიტიკის წესით მე მინდა შევჩერდე ორ საკითხზე: მანქანების მშენებლობაზე და რაციონალიზაციაზე.

ამხ. სტალინი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა ჩვენს წარმატებებს საწარმოო საშუალებათა წარმოების დარგში, მაგრამ ჩვენი მოთხოვნილებები ამ მხრივ ჯერ კიდევ როდია მთლიანად დაკმაყოფილებული. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო არ იყენებს ყველა იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს. თუ 1919 წლიდან ჩვენი მანქანათმშენებლობა გაიზარდა 363 პროცენტით, მანქანების შემოზიდვა უცხოეთიდან გაიზარდა 520 პროცენტით, ეს გვიჩვენებს მანქანათ მშენებლობის სუსტ განვითარებას ჩვენს საჭიროებებთან შედარებით. როცა ვახდენდით მე-14 და მე-15 პარტყრილობების მიერ მანქანათ მშენებლობის განვითარების შესახებ მოცემულ დირექტივების შესრულების შემოწმებას, ჩვენ წავაწყდით დაუშვებელ ფაქტს: სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო არ ხელმძღვანელობდა ამ წარმოებას და არავითარი გაერთიანებული ცენტრი, რომელიც გაუძღვებოდა ამ საქმეს, შექმნილი არ არის. სხვადასხვა ქარხნები ერთსა და იმავე მანქანებს ამზადებდნენ. ქარხნებში ცუდად იყენებდნენ მოწყობილობას, არა უმეტეს 30 პროცენტისა. ჩვენი ქარხნების ნაყოფიერება ფრიად დაბალია.

მეორე საკითხი, რომელიც ყურადღების ღირსია, ეს არის ხელსაწყოების დამზადების საქმის გამოკვლევა. ომამდე მზადდებოდა 15 მილიონ მანეთის ხელსაწყო, ახლა ვამზადებთ 62 მილიონ მანეთისას. ხელსაწყოების ხარისხი კი ნაკლებ დამაკმაყოფილებელია.

რამდენიმე სიტყვა რაციონალიზაციის შესახებ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო რაციონალიზაციის შედეგებზე ჩვეულებრივ ფრიადი საზეიმო კილოთი ლაპარაკობს.

სინამდვილეში კი რაციონალიზაციის საქმე კარგად ვერ არის. რაციონალიზაციის ორგანოების განვითარებას განზრახ აბრკოლებდნენ მავნებლები. მე-16 პარტყრილობა ამ საკითხზე უნდა შეჩერდეს და მისცეს გარკვეული დირექტივები, რომ რაციონალიზაცია გახდეს ტეხნიკური აპარატის უშუალო და სისტემატიური ამოცანა, მისი ყოველდღიური და მუდმივი სამუშაო, რომ ამ მიზნით გამოიყოს სერიოზული პირები, რადგან ჩვენ ძლიერ ბევრს ვკარგავთ რაციონალურად მუშაობის უცოდინარობის გამო.

## ამხ. ლევიტანი
(ჩრდილოეთ - კავკასია)

ამხ. ლევიტანი შეჩერდა ხუთწლედის პრაქტიკული განხორციელების ზოგიერთ დეფექტზე. ასეთ დეფექტს წარმოადგენს რაიონების მიხედვით მრეწველობის განაწილების გეგმის უქონლობა. ამის შედეგი ის იყო, რომ ამა თუ იმ მრეწველობისათვის ადგილის ამორჩევა შემთხვევით ხდებოდა. საჭიროა მრეწველობის დარაიონების გეგმა უფრო ღრმად დამუშავდეს. ხუთწლიან გეგმაში მეტად სუსტი ანგარიში გაეწია ჩრდილოეთ-კავკასიის სამრეწველო რესურსებს. ჩვენის მხრივ სამრეწველო განვითარების საკითხებს ახლებურად სვამს ჩვენ მხარეში მთლიანი კოლექტივიზაციისა და ტეხნიკური კულტურების (მაგალითად, ბამბის) უდიდესი განვითარება. ბამბის თესვის განვითარება სვამს ჩრდილოეთ-კავკასიაში საფეიქრო მრეწველობის შექმნის საკითხს. ჩვენი მხარე ექსპორტისათვის გამოსადეგი პროდუქციის წარმოების დიდ შესაძლებლობას იძლევა. ჩვენ ნაკლებად გაბედულად ვსვამთ ენერგეტიული განვითარების საკითხს. თითქმის სავსებით არ არის გამოყენებული ჩვენი მთის მდინარეები. ელექტრო-ენერგიის წარმოების განვითარებისათვის არ ვიყენებთ აგრეთვე ადგილობრივ ქვანახშირს. მეტად სუსტად არის გამოყენებული შახტის ქვანახშირის რაიონი, რომელიც შეიცავს ორ მილიარდ ტონას საუკეთესო ანტრაციტს. წელს შახტის რაიონმა უნდა მოგვცეს სულ 4 მილიონი ტონა. საკმაოდ არ ვანვითარებთ აგრეთვე ნავთის მრეწველობას, რომელიც დღეს იძლევა საბჭოთა კავშირის მთელი ნავთის 35 პროცენტს. სერიოზულ საკითხს წარმოადგენს მადნების დამუშავება ჩრდილოეთ-კავკასიის ნაციონალურ ოლქებში. ეს მადნები შესწავლილი არ არის. მათი განვითარება და გამოყენება ხელს შეუწყობდა ნაციონალური ოლქების კულტურული და ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევას.

# ყრილობის დღიური

მოსკოვი, 9 ივლისი. 9 ივლისის დილის სხდომა გაიხსნა ამხ. ეიხეს თავმჯდომარეობით. გაგრძელდა კამათი ამხ. კუიბიშევის მოხსენების ირგვლივ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **სემეჩკინმა** (ლენინგრადი), **გოლოდედმა** (ბელორუსია), **უნშლიხტმა** (ს.მ.უ. საბჭო), **როზენგოლდმა** (ს.მ.უ. საბჭო), **კომისაროვმა** (ჩრდილოეთი მხარე), **ხლოპლიანკინმა** (ქვემო ოლგა), **ოსინსკიმ** (ს.მ.უ. საბჭო), **ხალათოვმა** (სახელგამი), **ციხონმა** (მშენებელთა ც. კომიტეტი), **კრჟიჟანოვსკიმ** (საკავშირო საგეგმო კომისია).

ამხ. კუიბიშევის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა თეზისები მოხსენებისა ხუთწლიანი გეგმის შესრულების შესახებ. რეზოლიუციის დაწვრილებით დასამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია 47 ამხანაგის შემადგენლობით, მათ შორის არჩეულ იქნა ამხ. კუიბიშევი, კრჟიჟანოვსკი, **ანდრონიკოვი** (ურალი), **იაკოვლევი** (ამიერ - კავკასია), **ოსინსკი**, **მილიუტინი** და სხვ. (ადს).

# მისალმებები ყრილობას

ამხ. კაგანოვიჩის სიტყვის დამთავრების შემდეგ (8 ივლისის საღამოს სხდომაზე) ყრილობა გადადის მისალმებების მოსმენაზე.

მისალმებებისათვის პირველი სიტყვა ეძლევა აკადემიკოს ბახს.

## აკადემიკოს ბახის სიტყვა

„ქიმიზაციის კომიტეტის მეორე პლენუმის დავალებით, — ამბობს ამხ. ბახი, — მხურვალე სალამს უძღვნი საკ. კ. პ. (ბ) მე-16 ყრილობას. კომიტეტის პლენუმმა დამავალა მე ქიმიის დარგში მომუშავე საბჭოთა მუშაკების სახელით განუცხადო ყრილობას, რომ ისინი მზად არიან მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ სოციალისტურ მშენებლობას, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია. კაპიტალისტური ქვეყნები ამჟამად განიცდიან ეკონომიურ კრიზისს, რომელიც ამავე დროს სოციალურ კრიზისსაც წარმოადგენს. საწარმოო პროცესების კაპიტალისტური რაციონალიზაცია იწვევს მასიურ უმუშევრობას და საბოლოო შედეგად ნიადაგს ამზადებს ომისათვის. ჩვენი საწარმოო ძალების გეგმიანი ზრდა უზრუნველყოფილია მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა ინტერესების მიხედვით და უზრუნველყოფილია აგრეთვე მშრომელთა საცხოვრებელი პირობების განუწყვეტელი გაუმჯობესება. ჩვენში უზრუნველყოფილია მეცნიერებისა და შრომის ნამდვილი კავშირი (აპლოდისმენტები). ჩვენ ასე ვაფასებთ განსხვავებას კაპიტალისტურ სამყაროსა და ჩვენს ქვეყანას შორის.

ჩვენ თავის მოვალეობად მიგვაჩნია, — ამბობს შემდეგ ამხ. ბახი, — რომ სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებები, რაც უდიდეს მიღწევას წარმოადგენს, განუყრელად არის დაკავშირებული ქიმიური ცოდნის განვითარებასთან ჩვენს ქვეყანაში. ამ დარგში ჩვენ ძლიერ ჩამოვრჩებით. სწორედ სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ინტერესი მოითხოვს, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს ქვეყნის ქიმიზაციის ამოცანებს. ჩვენ გვესაჭიროება ქიმიური კადრები მინერალური (ასოტის და ქიმიური პროდუქტების წარმოების განვითარებისათვის, ჩვენი მინდვრების მავნებლობასთან საბრძოლველად. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი საბჭოთა კავშირის ენერგიული რესურსები, უნდა ვისწავლოთ სატყეო მეურნეობის უკეთ გაძღოლა. ყოველივე ეს მოითხოვს ქიმიური მრეწველობის განვითარებას. ფრიად დიდია ქიმიზაციის მნიშვნელობა ქვეყნის თავდაცვისათვის. კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩვეულებრივ მჭიდრო კავშირი მყარდება საწარმოო საშუალებების განვითარებასა და ქვეყნის თავდაცვას შორის. ძლიერ ხშირად უმნიშვნელოვანესი გამოგონებები ჯერ სამხედრო უწყებების ხელში გადადის და მხოლოდ ამის შემდეგ — სამოქალაქო უწყებას გადაეცემა. ომში მთავარი მიზანია მტერის განადგურება. შესაფერი საშუალებები წინად გამოიხატებოდა მტერის მექანიკურად განადგურებაში. ამგვარი განადგურების მთავარ იარაღს ძველთაგანვე წარმოადგენდნენ ლითონები. მსოფლიო ომის შემდეგ გარდატეხა მოხდა. კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა მტერის გასანადგურებლად მიმართეს სხვადასხვა ქიმიურ საშუალებებს. ეჭვს გარეშეა, რომ მომავალ იმპერიალისტურ ომში, გადამწყვეტი ფაქტორი, რომელზედაც დამოკიდებული იქნება გამარჯვების ბედი, იქნება არა ლითონი, არამედ ქიმიური პროდუქცია. ჩვენ აქედან შესაფერი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ თავს დავიცავთ არა მარტო იმიტომ, რომ ყოველ ცოცხალ არსებას ახასიათებს თავდაცვის ინსტიქტი, არამედ იმისათვისაც, რომ ჩვენ გვაწევს უდიდესი ისტორიული მოვალეობა, მოვალეობა რომელიც შეგნებულად ვიკისრეთ ჩვენ და, რომელიც ბოლომდე უნდა შევასრულოთ. ამხანაგებო, სერიოზული ყურადღება მიაქციეთ ჩვენი ქვეყნის ქიმიზაციას.

გთხოვთ მიიღოთ ჩემგან, ძალიან ძველი რევოლიუციონერისგან და ძალიან ძველი სოციალისტისგან, — განაცხადა დასასრულ ამხ. ბახმა, — გულწრფელი და გულმხურვალე სურვილი წარმატებისა თქვენს უაღრესად ძნელ და კაცობრიობისათვის ნაყოფიერ მუშაობაში. იმას, რასაც თქვენ აკეთებთ, და ამბობთ, უდიდესი და უღრმესი ინტერესით უსმენენ და აკვირდებიან მთელი მსოფლიოს მშრომელნი. გაუმარჯოს ბოლშევიკთა საკავშირო კომუნისტურ პარტიას"!

## 225.000 ინჟენერ-ტეხნიკოსის მისალმება

225.000 ინჟენერ - ტეხნიკოსის სახელით, რომელთაც ინჟენერ - ტეხნიკოსთა საკავშირო ბიურო აერთიანებს, ყრილობას ესალმება ამხ. ბენდლერი.

„ჩვენ სიამაყით ვტარებთ საბჭოთა სპეციალისტების სახელწოდებას და ბედნიერი ვართ ავღნიშნოთ საბჭოთა ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის წარმატებები, მიღწეული კომპარტიის ხელმძღვანელობით. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ინჟენერ-ტეხნიკოსთა უფრო მეტი მასები აძლევენ თავის ძალებს სოციალისტურ მშენებლობას. სულ უკანასკნელ ხანებში ინჟენერ-ტეხნიკოსებს შორის მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა შედეგად ისინი უფრო დაუახლოვდნენ სოციალისტურ მშენებლობას. 4000-ზე მეტმა საუკეთესო ინჟენერმა შეიტანა განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ. დაწესებულებებიდან და კანცელარიებიდან წარმოებაში გადაყვანილია 7.000 ინჟენერი და ტეხნიკოსი, ძლიერდება პოლიტსწავლება ინჟენერ - ტეხნიკოსთა შორის, იქმნება მასიური სამეცნიერო ტეხნიკური საზოგადოებები წარმოების შესასწავლად სოციალისტური მშენებლობის დაჩქარების მიზნით.

მაგრამ ჩვენი წარმატებები ჯერ კიდევ არ არის საკმაო. ჩვენს წრეში არის ქაობი, რომელიც ავნებს მშენებლობას. ჩვენ ყრილობას ვერ მივსცემთ გარანტიას, რომ მომავალში არ იქნება ადგილი მავნებლობის აქტებს, და აშკარად უნდა ვაღიაროთ, რომ ინჟენერ-ტეხნიკოსთა შორის ჯერ კიდევ საკმაო არ არის ენტუზიაზმი, რომელიც საჭიროა სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის, და ჩვენ ჯერ კიდევ ჩვენს წრეში საკმაოდ არ გაგვიშლია თვითკრიტიკა. მაგრამ ჩვენ მტკიცე დაპირებას ვაძლევთ პარტყრილობას, რომ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით აღმოვფხვრით ამ ნაკლოვანებებს და პირობას ვიძლევით — შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომ მავნებლობა სრულიად შეუძლებელი შეიქნეს ჩვენ ქვეყანაში. ჩვენ მიზნად ვისახავთ მივაღწიოთ აპოლიტიურობის და ნეიტრალობის სრულ აღმოფხვრას და ხელს შეუწყობთ ერთმმართველობის შესახებ პარტიის დირექტივის განხორციელებას. ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვიხმართ იმისათვის, რომ შევასრულოთ ეს დირექტივა. გაუმარჯოს მეთექვსმეტე პარტყრილობას! გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას მთელს მსოფლიოში"!

## ფაბრიკა-ქარხნები ესალმებიან ყრილობას

ამხ. ბახის შემდეგ ლენინის ქალაქის 200 ათასი მელითონე მუშის სახელით დელეგაციის წარმომადგენელმა **შლოხოვმა** გადასცა ყრილობას მხურვალე ბოლშევიკური სალამი. „პარტიამ მისცა მუშათა კლასს, — სთქვა მან, — ხუთწლიან სამუშაოთა დიადი გეგმა. ამ გეგმას ჩვენ 4 წელიწადში დავამთავრებთ. ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები უშვებენ ისეთ პროდუქციას, რომელიც ჩვენი მრეწველობისათვის წინად უცნობი იყო. ჩვენ ვამზადებთ გენერატორებს, ტურბინებს, ხე-ტყის მზიდავებს, რაც ჩვენს მრეწველობას არ უნახავს. ეს ჩვენი მიღწევები კარგ გაკვეთილს წარმოადგენენ ურწმუნოთათვის, ოპორტუნისტებს ბანაკიდან. მუშაობის სწრაფი ტემპები მოითხოვენ ახალ ძალებს. ჩვენ მივმართავთ პარტყრილობას დახმარებისათვის ჩვენს მუშაობაში. ლენინგრადი უნდა გადაიქცეს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის მძლავრ ბაზად. ჩვენს მრეწველობას არ ჰყოფნის ელექტრო - ენერგია. ჩვენ გვესაჭიროება მძლავრი მეტალურგიული ქარხანა. ვთხოვთ აგრეთვე ყრილობას, ბოლო მოუღოს ყოველგვარ მერყეობას და გადახრას გენერალური ლენინური ხაზიდან, რომელნიც ხელს უშლიან ჩვენს მუშაობას. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას"!

ამხ. **ვასილიევამ** „კრასნი ტრეუგოლნიკ"-ის, „სკოროხოდ"-ის და სხვა ქარხნების მხურვალე პროლეტარული სალამი გადასცა ყრილობას. ამხ. ვასილიევა ამბობს, რომ ლენინგრადის მუშები შემდგომი სოციალისტური მშენებლობისათვის არავითარ სიძნელეებს არ მოერიდებიან. მუშები შემდეგშიაც გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობას. თავის სიტყვას იგი ამთავრებს ასე: გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს მის ბელადს ამხ. სტალინს!

ამხ. **გრიგორიევამ** ლენინგრადის სამხედრო ოლქის მეომართა სახელით წითელარმიული მხედრული სალამი გადასცა პარტყრილობას. ლენინგრადის სამხედრო ოლქის ნაწილები, — ამბობს ორატორი, — მე-16 ყრილობაზე მოვიდნენ ისე, რომ სასტიკად იცავდნენ ტემპებს და პარტიის მითითებებს. ზამთრის პერიოდში სწავლის ყველა საკონტროლო ციფრებს გადავაჭარბეთ. დღეს სოციალისტური შეჯიბრების პირველ ეშელონში ირიცხება 10 ნაწილზე მეტი, რომლებიც მთლიანად დამკვრელებისაგან შესდგებიან. ლენინგრადის სამხედრო ოლქის ნაწილები პარტიის ხაზს სწორად სთვლიან. ნაწილები ესალმებიან მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებშიაც მემარჯვენეთა შეხედულებები კომპარტიის წევრობასთან შეუთავსებლად გამოცხადდა. ლენინგრადის სამხედრო ოლქის ნაწილები ესალმებიან ამხ. სტალინს და უერთებენ თავიანთ ხმას იმათ, ვინც თხოულობს ამხ. სტალინის დაჯილდოებას ლენინის სახელობის ორდენით. მთელი 1929 წლის განმავლობაში ლენინგრადის სამხედრო ოლქმა პარტიას მისცა 5.000 კაცი. 1930 წლის სამი თვის განმავლობაში ჩვენმა ოლქმა პარტიას მისცა 3.000-ზე მეტი კაცი.

ბაქოს მუშების სახელით ყრილობას თურქულ ენაზე მხურვალე სალამი გადასცა ამხ. **მამედოვმა**.

# გავაუქმოთ ოლქები *)

დიდ ხანი არ არის, რაც სამაზრო დაყოფიდან ჩვენ გადავედით ოლქების მოწყობაზე. ოლქები უსათუოდ ნაბიჯი იყო წინ სამაზრო დაყოფასთან შედარებით. ამიტომაც პარტია მათ გაუქმებას არ უყურებს კვლავ ძველი სამაზრო დაყოფის შემოღებას. რაიონების განმტკიცების პროცესი უსათუოდ უნდა მიმდინარეობდეს პერსპექტიული სპეციალიზაციის ხაზით, რასაკვირველია, ტოპოგრაფიულ და პოლიტიკურ ყოფა-ცხოვრებითი თავისებურობათა გათვალისწინებით. თუ გამოვალთ ამ ამოცანიდან, შეგვეძლება თამამად ვთქვათ, რომ ოლქების მოწყობამ მოამზადა ნიადაგი ასეთი დაყოფისათვის, მით რომ:

1) მოსპო საუკუნოებრივი დაყოფა, რომელსაც განსაკუთრებით ამიერ-კავკასიაში და კერძოთ—საქართველოში საფუძვლად ედო ტომობრივი დაყოფის ნიშანი, ფეოდალურ და თავად-აზნაურულ სამფლობელოებად დაყოფის ნიშანი დასრულებით არ იყო გათვალისწინებული ერთი რაიონის ეკონომიური დამოკიდებულება მეორესაგან.

2) ოლქების მოწყობამ, რომელმაც მოსპო ძველი სამაზრო საზღვრები შინა საოლქო დარაიონების დროს, შექმნა წინასწარი პირობა იმისათვის, რომ დარაიონება უფრო გაბედულად დაგვეახლოვებია პერსპექტიულ სპეციალიზაციასთან ოლქების გაუქმების შემდეგ.

3) ოლქებმა მაინც გადაამუშავეს ყოფილ სამაზრო მუშაკების ძირითადი კადრი, გამოიყვანეს ისინი სამაზრო კარჩაკეტილობიდან.

ეს არ ესმით მათ, რომელნიც დასტირიან ოლქების მოწყობას საერთოდ და რომელთაც სპეციალური სტატისტიკაც მოჰყავთ იმის დასამტკიცებლად, რომ გახშირდა საჩივრებით წასვლა ცენტრში ოლქების მოწყობის შემდეგ; ისინი არ ითვალისწინებენ იმას, რომ არ შეიძლება ყველაფერი სისტემას დავაბრალოთ, არამედ ზოგიერთი რამ შეიძლება ავხსნათ იმ გადახვევებით, რომლებიც გვქონდა სოფლად კოლექტივიზაციის გატარების დროს. ამ თავისებურობათა გათვალისწინება აუცილებელია იმიტომაც, რომ ყველაზე მეტ სიძნელეებს რაიონების მოწყობის დროს ჩვენ უსათუოდ წავაწყდებით იქ, სადაც ჯერ კიდევ დარჩა ძველი სამაზრო დაყოფა. იქ უსათუოდ უფრო ძნელი იქნება რაიონების მოწყობა ეკონომიური ნიშნების მიხედვით, ვინაიდან რაიონების ასე მოწყობა ყოველთვის როდი მოხერხდება ძველი მაზრების საზღვრებში. ავიღოთ სენაკის მაზრა, სადაც ახლად მოწყობილ რაიონებში უნდა მოჰყვენ სოფლები გურიიდან ან იმერეთიდან და პირიქით. რაც შეეხება სხვა ორგანიზაციულ საკითხებს, რომელნიც ოლქების გაუქმებიდან გამომდინარეობენ, უნდა ითქვას, რომ უმჯობესია თავიდანვე მეტი დრო დავკარგოთ ტერიტორიის ორგანიზაციის დეტალურად შესწავლაზე, ვინემ ყოველი ექვსი თვის განმავლობაში ვაწარმოოთ ხელახალი გადაყოფა. სიძნელეები აქ საკმაოა; თუ წინად მაზრების გაუქმების დროს მოიპოებოდა ხალხი, რომელთაც მოჰყავდათ ისტორიული ცნობები იმის შესახებ, რომ გურია უსათუოდ გურიად უნდა დარჩეს, რომ ზუგდიდის მაზრა საუკუნოებრივად მაზრა ყოფილა და ვერ მოითმენს გაუქმებასო, ეხლაც, როცა დასმულია რაიონების გამსხვილების ამოცანა, ბევრი გამოდის ასეთი „ურყევი" დებულებებით. ჩვეულებრივ ეს დებულებები ყველა რაიონისათვის ერთნაირია: 1) საბაზრო ცენტრი, 2) კულტურული ცენტრი, 3) საკუთარი ბიუჯეტი, 4) ასეთი რაიონების მოსახლეობა მეტად დიდი იქნება და რაიონი ძველ მაზრას დაუახლოვდება.

ვინაიდან ამ დებულებებს ძირითად დებულებებად აყენებენ საკითხის განხილვის დროს, საკმარისია ცხადვყოთ მათი უმნიშვნელობა, საკმარისია ცხადვყოთ, რომ ეს არგუმენტები არ სწყვეტენ საკითხს რაიონების მოწყობის შესახებ.

1. ყოფილი და არსებული რაიონული საბაზრო ცენტრები—შინა-სასოფლო ბრუნვის გაძლიერების გამო კოოპერატიულ სავაჭრო ქსელის დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებით, ჰკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას და ბევრ ადგილას კიდეც დაჰკარგეს ეს მნიშვნელობა, როგორც რაიონულმა საბაზრო ცენტრებმა, ისეთი რაიონების გამოკლებით, სადაც კიდევ სჭარბობს მეურნეობის ნატურალური ფორმა საქონლის ბრუნვის უმნიშვნელოდ განვითარების გამო. (ზემო და ქვემო სვანეთი და სხვ.).

2. კულტურული ცენტრები ზოგიერთ რაიონებში, რასაკვირველია, მეტი იქნება, ვინემ რაიონული ცენტრებია საჭირო, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ სწყვეტს საკითხს, თუ მეორე ცენტრი, რომელსაც ეს რაიონი უნდა შეუერთდეს, ნაკლებად კულტურულია და მას სხვა უპირატესობებიც არ გააჩნია (მაგალითი: სამტრედია, ხონი).

3. ბიუჯეტი ბევრ რასმე სწყვეტს, მაგრამ არსად არ არის ნათქვამი, რომ ყველა სოფელი, რომელსაც კი თავისი ბიუჯეტი აქვს, შეიძლება იყოს რაიონულ ცენტრად ან მცირე ბიუჯეტს, რომლითაც ჩვენი რაიონები სცხოვრობენ, შეუძლია დააკმაყოფილოს ის ამოცანა, რომელიც წამოიჭრება რაიონების დამოუკიდებელი ორგანიზაციის შემდეგ.

4. მოსახლეობის რაოდენობა უდიდეს როლს თამაშობს. აპარატის მასასთან დაახლოება ნიშნავს რაიონის მოსახლეობის ისეთი რაოდენობით განსაზღვრას, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ნამდვილი ხელმძღვანელობით, მაგრამ აქ ციფრობრივ მაჩვენებლებთან ერთად მნიშვნელობა აქვს სხვა მაჩვენებლებსაც. მაგალითად, მთაგორიან ადგილებში, ალბათ საჭირო იქნება ზოგიერთი რაიონის დატოვება 17—20 ათასი მოსახლეობით (უგზოობა, სოფლების დაქსაქსულობა და სხვ.), მაგრამ სამაგიეროდ ისეთ დაბლობ რაიონებში, როგორიც არის სამტრედია, ქუთაისი, სადაც დამაკმაყოფილებელი გზატკეცილებია და მოსახლეობა მჭიდროა, არ უნდა შევავშინოს მოსახლეობის ორჯერ და სამჯერ მეტმა რაოდენობამ მთაგორიან რაიონებთან შედარებით. ამის საპასუხოდ ჩვეულებრივად აცხადებენ: „„რაიონი 90.000 მოსახლეობით უკვე მაზრააო". არა, მაზრები მარტო იმიტომ როდი იყვნენ უვარგისნი, რომ დიდ მოსახლეობას აერთიანებდნენ (ჩვენში იყო ზოგიერთი მაზრები, სადაც 30.000-ზე მეტი მოსახლეობა არ იყო. ეს მინიმალური რაოდენობაა რაიონებისათვის), არამედ იმიტომ, რომ ისინი საერთოდ მოწყობილნი არ იყვნენ სამეურნეო - ეკონომიური მიზანშეწონილობის ნიშნის მიხედვით.

ზემოთ ჩამოთვლილ მომენტებს, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ძირითადი მნიშვნელობა ახალი რაიონების შექმნისათვის მაინც აქვს სხვა რასმე, სახელდობრ ეკონომიური სპეციალიზაციის პერსპექტივას.

ჩვენში, საქართველოში, არის რაიონები, სადაც ნაწილობრივ მისდევენ მესაქონლეობას, ნაწილობრივ მებაღეობას, ნაწილობრივ მებოსტნეობას, ნაწილობრივ მევენახეობას, კერძოდ ქუთაისის ოლქში, სადაც სპეციალიზაციის პერსპექტიული ქარტის მიხედვით 7 რაიონი გვაქვს, ნამდვილად 16 რაიონია. ამის გამო საჭირო ხდება უნივერსალური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციების შექმნა, ერთისა და იმავე დარგისათვის საჭირო კრედიტების ყველა რაიონებში გაგზავნა, რაიონის ხელმძღვანელი უნივერსალისტი უნდა იყოს და ამავე დროს არც ერთ დარგში არაფერი იცის და, საერთოდ, იმის ნაცვლად, მესაქონლეობისა და მევენახეობის რაიონიდან მივიღოთ ის, რაც საჭიროა, ვღებულობით დომხალს; ეს კი შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას ტერიტორიის ორგანიზაციის საკითხების გულდასმით მოფიქრებით.

შემდეგი საკითხია ბიუჯეტი. ჯერ-ჯერობით რაიონების გამსხვილების საკითხების განხილვაში ძალიან მცირე ადგილი უჭირავს ბიუჯეტის საკითხს. ჩვენ ამოცანად ვისახავთ არა მარტო რაიონის შექმნას თავისი ბიუჯეტით, არამედ სოფლის საბჭოების შექმნასაც მათი გამსხვილების პირობით; ეს მაშინ, როდესაც ყველა არსებულ სოფლის საბჭოებში არ გვქონია ბიუჯეტი. აქ, რა თქმა უნდა, განთავისუფლდება ბევრი ისეთი სახსარი რაც წინად საოლქო ან სარაიონო ბიუჯეტებში ტარდებოდა. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. საჭიროა იმ ცდის შესწავლა, რომელიც ჩატარდა საბჭოთა კავშირის ოლქებში ბიუჯეტის დეცენტრალიზაციისათვის, კერძოდ კატეგორიულად უნდა აღიკვეთოს ცენტრის მიერ საოლქო ცენტრებისათვის შემოსავლის წყაროების წართმევის ცდები. აგურისა და ცემენტის ქარხნებს, რომელნიც დეფიციტიანი საშენებლო მასალების წარმოებას წარმოადგენენ, ცენტრი უნდა ხელმძღვანელობდეს გასაღების მხრივ, მაგრამ ეს სრულებითაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ისინი გამოტაცებულ იქნან ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ასეთ ცდას კი აქა-იქ ადგილი აქვს.

პარტიულ-ორგანიზაციული საკითხებიდან მინდა შევეხო მხოლოდ ერთ საკითხს, პარტაპარატის შენების საკითხს იქ, სადაც ქალაქის საბჭოსთან ერთად ქალაქი რაიონული აღმასკომის ცენტრიც იქნება. რომ ქალაქის საბჭოები საბჭოთა ხაზით უშუალოდ უნდა ექვემდებარებოდნენ ცაკს, ეს უდაოა, მაგრამ გაისმის ხმები, რომ ასეთ ადგილებში უნდა მოეწყოს ქალაქის კომიტეტები, რომელნიც უშუალოდ უნდა დაექვემდებარონ ცენტრსო: ეს უკვე მავნე გადახრაა, თუნდაც იმიტომ, რომ ქალაქის საბჭოების დამოუკიდებელი ორგანიზაცია სრულებითაც არ ხდის ზედმეტად ამოცანას ქალაქის ხელმძღვანელ როლის შესახებ სოფლის მიმართ.

დასკვნები:

1) ოლქების გაბიაბრუების ნაცვლად მხედველობაში უნდა მივიღოთ ოლქების მიერ შექმნილი უპირატესობანი.

2) რაიონების გამსხვილების დროს მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა რაიონის დასაახლოვებლად პერსპექტიულ სპეციალიზაციასთან.

3) უნდა გავშალოთ რაიონებისა და სოფლის საბჭოების საბიუჯეტო უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

ო. კომახიძე.

---

*) კამათის წესით.

# მოსკოვში მუშაობა დაამთავრა გერმანია-საბჭოთა შემთანხმებელმა კომისიამ

## გერმანიის მრეწველების და სოციალ-ფაშისტების ერთიანი ფრონტი მუშების წინააღმდეგ

## საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოსაგან

მოსკოვი, 9 ივლისი. გერმანია-საბჭოთა კავშირის შემთანხმებელმა კომისიამ, რომლის სხდომებიც იმართებოდა მოსკოვში 16 ივნისიდან 8 ივლისამდე, დაამთავრა თავისი მუშაობა. მუშაობის შედეგი მოყვანილი იქნება საერთო მოხსენებაში, რომელიც ორივე სახელმწიფოს მთავრობებს წარედგინება.

სხდომის დამთავრების შემდეგ ფონ-რაუმერმა და სტომონიაკოვმა ერთმანეთს მიმართეს მეგობრული სიტყვებით. ფონ-რაუმერი ბერლინში გაემგზავრა. გერმანელი ექსპერტები დარჩნენ მოსკოვში შემთანხმებელი კომისიის მოხსენების ტექსტის შესამუშავებლად. (ადს).

## გერმანიის კაპიტალის შეტევა მუშათა კლასზე

### საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვის საკითხი რეიხსტაგში

ბერლინი, 8 ივლისი. რეიხსტაგში დაიწყო საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად მთავრობის მიერ შედგენილი პროგრამის განხილვა. პროგრამა შეიმუშავა ფინანსთა მინისტრმა დიტრიხმა. დეფიციტის დასაფარავად პროგრამა ითვალისწინებს უცოლოების დაბეგვრას გადასახადით, საშემოსავლო გადასახადის გადიდებას და დახმარების შემცირებას უმუშევრობისა და ავადმყოფობის დროს, აგრეთვე ახალი საყოველთაო გადასახადის შემოღებას.

დეპუტატმა გერცმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ემხრობა დიტრიხის პროგრამას. ნაციონალისტებმა განაცხადეს, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან.

კომდეპუტატმა ნეიბაუერმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში სოციალ-დემოკრატ მიულერის მთავრობამ და ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობებმა წარმოუდგინეს რეიხსტაგს ფინანსების გაჯანსაღების ხუთი პროგრამა, რომლებითაც ერთი მილიარდი მარკით დიდდებოდა მასების საგადასახადო ტვირთი. „კაპიტალისტურ საზოგადოებას,—ამბობს ნეიბაუერი,—არ შეუძლია [illegible] ... 5.500 კაცი, რომლებიდანაც ... 2.400 კაცი [illegible] (ადს).

### სოციალგამცემელნი პოლიციასა და მრეწველებთან ერთად გამოდიან

ბერლინი, 8 ივლისი. ძლიერდება ჩრდილოეთ-დასავლეთის რაიონის მუშების აღშფოთება იმის გამო, რომ პოლიცია ტერორს მიმართავს საგაფიცვო პიკეტების წინააღმდეგ. პოლიციამ კრუპის ქარხნის წინ დააპატიმრა საგაფიცვო პიკეტის მრავალი მონაწილე. დაპატიმრებული დაუფიცებლივ დაითხოვეს. რეფორმისტების მოღალატეობის შედეგად შეწყდა ანდამატის მშენებლობის ქარხნის მუშების გაფიცვა ბოხუმში. შტრეიკბრეხერების, რეფორმისტული და ქრისტიანული პროფკავშირების დახმარებით მრეწველებმა მოახერხეს აგრეთვე სპილენძის დამმუშავებელი ქარხნის ამუშავება ლაიპციგში. დაითხოვეს 20 რევოლიუციონური მუშა, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გაფიცვაში. გელზენკირხენში გაიმართა გაფიცულ მელითონეთა ორი დიდი მიტინგი, რომლებზედაც ერთსულოვნად გამოცხადდა ნდობა კომპარტიას და რევოლიუციონურ პროფოპოზიციას. 43 მუშა პარტიაში შევიდა (ადს).

### კონტრდემონსტრაცია მუშათა რაიონებში

ბერლინი, 8 ივლისი. ფაშისტური „ფოლადის მუზარადის" დემონსტრაციის საპასუხოდ [illegible] (ადს).

### [illegible]

ბერლინი, 8 ივლისი. [illegible] 2.000 მუშა [illegible] 376 [illegible] (ადს).

## იმპერიალისტების სამხედრო ძალები
### ჩინეთის წითელი არმიების წინააღმდეგ

შანხაი, 8 ივლისი. ჩინეთის წითელი არმია დღითი-დღე მეტ ძალას იძენს, [illegible] (ადს).

## შუბლმაგრებს შეაქვთ უნდობლობის რეზოლიუცია
### მაკდონალდის მთავრობის წინააღმდეგ

ლონდონი, 8 ივლისი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, [illegible] (ადს).

## ჰუვერის მიმართვა სენატს

ვაშინგტონი, 9 ივლისი. გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგანგებო სესია, [illegible] 1937 წლამდე [illegible] (ადს).

## იწონებენ მე-16 პარტყრილობის დადგენილებას

ხარკოვი, 9 ივლისი. [illegible] მე-16 პარტყრილობის [illegible] (ადს).

მინსკი, 9 ივლისი. [illegible] (ადს).

ლენინგრადი, 9 ივლისი. [illegible] (ადს).

## საბჭოთა ბელორუსიის 10 წლის თავი
### ამხ. ცხაკაიას მისალმება

მინსკი

სრულიად ბელორუსიის ცაკის პრეზიდიუმს

მოსკოვი, 9 ივლისი. ბაქოს, თბილისის, ბათომის, ფოთის, ლენინაკანის, განჯის, ქიათურის, ქუთაისის [illegible]

გაუმარჯოს ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას [illegible]

გაუმარჯოს ბელორუსიის ბოლშევიკურ კომუნისტურ პარტიას!

ამიერ-კავკასიის ცაკის და საქართველოს ცაკის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია.

## ფაშისტების თარეში ჰელსინგფორსში

### ფაშისტების მუხანათობა

ჰელსინგფორსი, 8 ივლისი. მრავალ ქალაქში ფაშისტებმა გაიტაცეს მუშები. პოლიციამ, რომელსაც შეეკითხნენ, თუ რა ბედი ეწვიათ გატაცებულებს, განაცხადა—ისინი ფაშისტებმა დააპატიმრესო. ჰელსინგფორსში გაიტაცეს მუშა, რომელიც ავრცელებდა კომუნისტების მოწოდებებს სეიმის შესახებ. გაიტაცეს აგრეთვე ჰელსინგფორსის ქალაქის სამმართველოს მემარცხენე წევრი [illegible], რომელიც, როგორც ცნობებიდან სჩანს, საბჭოთა კავშირის საზღვარისაკენ წაიყვანეს.

### ფაშისტები ებრძვიან მუშებს

ჰელსინგფორსი, 8 ივლისი. ლიმინგში ფაშისტებმა დაიჭირეს და საბჭოთა საზღვრისაკენ გაიტაცეს სამი მუშა (ადს).

### სეიმის მემარცხენე დეპუტატების დაპატიმრება

ხუოპიო, 8 ივლისი. ფინეთის სოციალ-დემოკრატიის გაზეთი „სოციალ-დემოკრატი" ადასტურებს ცნობას სეიმის ყველა მემარცხენე დეპუტატის დაპატიმრების შესახებ. სეიმის სხდომას, რომელიც მოკლე ხნით შესდგა, მემარცხენე დეპუტატები არ დასწრებიან (ადს).

### საპროტესტო მიტინგი ფინეთის ფაშიზმის წინააღმდეგ

სტოკჰოლმი, 8 ივლისი. სტოკჰოლმში შესდგა საპროტესტო მიტინგი ფინეთის ფაშიზმის წინააღმდეგ. მიტინგზე გამოსული ფინეთის კომუნისტი დეპუტატი სალო სიტყვის დამთავრებისთანავე დააპატიმრეს იმისათვის, რომ მან სვინჰუვუდს კაცის მკვლელი უწოდა. სალოს დაპატიმრებამ ძალზე ააღელვა მუშები, რომლებმაც მოაწყვეს დემონსტრაცია და, პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, პოლიციის სამმართველოს მიადგნენ. მუშები მოითხოვდნენ სალოს განთავისუფლებას. (ადს).

### მთავრობა ფაშისტებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედებს

ჰელსინგფორსი, 8 ივლისი. მთავრობამ დაბეჭდა რამდენიმე შენობა, სადაც რევოლიუციონური მუშები კრებებს მართავდნენ. ოფიციალურ ცნობაში სვინხუვუდის მთავრობა ამართლებს ფაშისტების გალაშქრებას ჰელსინგფორსზე და აცხადებს, რომ „ფინეთის მთავრობასაც იგივე მიზანი აქვს დასახული, რაც ლაშქრობის მონაწილეებს, სახელდობრ—კომუნიზმის აღსაფხვრა ფინეთში" (ადს).

### კომუნისტური არალეგალური სტამბის აღმოჩენა

ჰელსინგფორსი, 8 ივლისი. კუოპიოში დამცველმა პოლიციამ აღმოაჩინა კომუნისტების არალეგალური სტამბა. წაიღეს მრავალი ფურცელი და საგიტაციო ლიტერატურა. (ადს).

## ფასიანი ქაღალდების კურსის ახალი დაცემა

ნიუ-იორკი, 8 ივლისი. ნიუ-იორკის ბირჟაზე, რომელიც 4—5 ივლისს შეჩერებული იყო, კვლავ განახლდა გარიგებები. ფასიანი ქაღალდების კურსი კვლავ ეცემა.

„ნიუ-იორკ ტაიმს"-ის აზრით, მოსალოდნელია კონიუნქტურის შემდგომი დაცემა.

„ანალისტ"-ი გამოსთქვამს აზრს, რომ მოგება დიდხანს ვეღარ დაუბრუნდება 1929 წლის დონეს (ადს).

## პილსუდსკის სამფლობელოში

### მუშების გამოსვლები ლვოვის სასამართლოს მიერ სამ კომკავშირელისათვის სიკვდილის განაჩენის გამოტანის წინააღმდეგ

ვარშავა, 8 ივლისი. პოლონური პრესა [illegible] (ადს).

### უმუშევართა დემონსტრაცია ვარშავაში

ვარშავა, 8 ივლისი. ამ ბოლო დროს ვარშავაში ყოველდღე იმართება უმუშევართა დემონსტრაციები. (ადს).

### მემარცხენე ცენტრის პარტიების კრაკოვში გამართული კონგრესის მონაწილეთა დაპატიმრება

ვარშავა, 8 ივლისი. [illegible] (ადს).

### გლეხთა მღელვარება

ვარშავა, 8 ივლისი. [illegible] (ადს).

## საფრანგეთის მუშების გამოსვლები
### სოციალური დაზღვევის კანონის წინააღმდეგ

პარიზი, 8 ივლისი. „ლუმანიტე" იტყობინება მუშების ახალი მრავალრიცხოვანი გამოსვლების შესახებ პარიზსა და პროვინციაში სოციალური დაზღვევის ახალი კანონის წინააღმდეგ. 8 ივლისს პარიზის ცენტრში დემონსტრაცია გამართა 500 მკერავმა ქალმა. [illegible] (ადს).

## ინდოეთში

### საიმონის კომისიის წინადადებათა დახასიათება

სტამბოლი, 8 ივლისი. ინდოეთიდან მოსულ ცნობებით, [illegible] (ადს).

### [illegible]

ლონდონი, 8 ივლისი. [illegible] 15.000 [illegible] (ადს).

## 106 კომუნისტის პროცესი

ვენა, 8 ივლისი. ბუდაპეშტში [illegible] 106 კომუნისტის [illegible] (ადს).

## სხვადასხვა

# [illegible] (ადს).

# [illegible] 10 [illegible] 21.000 [illegible] 10.000 [illegible] (ადს).

# [illegible] 553 [illegible] 41,475 [illegible] (ადს).

● [illegible] (ადს).

## მიწისძვრა

პარიზი, 8 ივლისი. მადრიდიდან მიღებულ ცნობით, [illegible] 15 კაცი (ადს).

ლონდონი, 8 ივლისი. [illegible] (ადს).

## შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში

მოსკოვი, 9 ივლისი. [illegible] (ადს).

## ა.-კ. კოოპერატიულ-საკოლმეურნეო სისტემის მდგომარეობა
### სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის კავშირთა - კავშირის პრეზიდიუმის დასკვნა

მოსკოვი, 8 ივლისი. [illegible] (ადს).

# სამზადისი წითელ ჯარში მორიგ გაწვევისათვის სუსტად მიმდინარეობს

### საბჭოთა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები იჩენენ დაუშვებელ გულგრილობას წითელ ჯარში მორიგ გაწვევისადმი. — არ ემზადებიან გაწვევისათვის სოფლის პარტუჯრედები და წარმოება-დაწესებულებები. — თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს დღემდე არაფერი არ გაუკეთებიათ ჯარში გაწვევისათვის.

### მივსცეთ წითელ ჯარს კლასობრივად შერჩეული, პოლიტიკურად შეგნებული და ჯანმრთელი მშრომელი ახალგაზრდობა

## დრო ცოტა დარჩა—გასაკეთებელი ბევრია

მიმდინარე წლის სექტემბრის პირველ რიცხვებიდან დაიწყება 1908 წელში დაბადებულ ახალგაზრდების გაწვევა წითელი ჯარის რიგებში. მორიგმა გაწვევამ უნდა მისცეს წითელ ჯარს ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც საუკეთესოდ შეითვისებენ სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნას, შეისწავლიან იარაღის ხმარებას და ამ იარაღს გამოიყენებენ საბჭოთა კავშირის მტრების წინააღმდეგ, წითელი საზღვრების დასაცავად.

სამზადისს წითელ ჯარში გაწვევისათვის და თვით გაწვევის ორგანიზაციას აქვს უდიდესი მნიშვნელობა წითელი ჯარისათვის. სამზადისის საშუალებით, ამ სამზადისში მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის უშუალო მონაწილეობით, წითელი ჯარი უნდა შეივსოს საუკეთესო მშრომელი ახალგაზრდებით.

გასული წლების გაწვევა ტარდებოდა არადამაკმაყოფილებლად. წითელ გაწვევას ატარებდნენ მარტო სამხედრო კომისარიატები წითელი ჯარის ნაწილების დახმარებით. პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციები როგორც ქალაქად, ისე სოფლად, არ უწევდნენ შესაფერ დახმარებას სამხედრო უწყებას, არ იღებდნენ უშუალო, ცოცხალ მონაწილეობას ამ ფრიად მნიშვნელოვან კამპანიაში. საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე ლაპარაკი ზედმეტია: ფიზკულტურა, თავდაცვა-ავიაქიმი, რადიო-მოყვარულთა და საშეფო საზოგადოებები ყოველთვის განზე იდგნენ, თითქოს მათ არც კი ეხებოდათ ჯარში გაწვევა. საკმარისია აღინიშნოს ის, რომ 1929 წლის გაწვევის დროს, თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის წარმომადგენელი ახლოც კი არ მიეკარებია თბილისის შესაკრებ პუნქტს.

საქართველოს ტერიტორიალური სამმართველო და სამხედრო კომისარიატები დიდი ხანია შეუდგნენ სამზადისს ჯარში მორიგ გაწვევისათვის. სამხედრო უწყებამ უკვე დაამთავრა გასაწვევი აღრიცხვა, მათი მიწერა გასაწვევ უბნებზე, შეღავათების გამორკვევა და სხვ. როგორც გასულ წლებში, ისე ეხლაც, მთელი ეს მუშაობა სამხედრო უწყებამ ჩაატარა თავისი საკუთარი ძალებით.

**ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა საფუძვლიანად უნდა გაიცხრილოს**

მორიგი გაწვევის დროს წითელ ჯარში უნდა მოხვდეს მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი ახალგაზრდობა, არც ერთ ანტისაბჭოთა და კულაკურ ელემენტებს არ უნდა მიეცეს ყაზარმაში შესვლის საშუალება. ამიტომ საჭიროა, რომ ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა გაიცხრილოს საფუძვლიანად. ამ საქმეში უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, ყველა მშრომელებმა. უპირველეს ყოვლისა კი ამ საქმეში უნდა ჩაებან პარტიის და კომკავშირის სოფლის ორგანიზაციები, სასოფლო საბჭოები და აღმასკომები. გასაწვევი სიები გულმოდგინეთ უნდა იქნენ გადათვალიერებული, რომ მათში არ მოხვდნენ ანტისაბჭოთა ელემენტები, ვაჭრები, ჩარჩები, კულაკები, არჩევნების უფლება მოკლებულნი და სხვ. რაიონულმა აღმასკომებმა დროზე უნდა გადაუგზავნონ ასეთი ახალგაზრდების სიები სათანადო სამხედრო კომისარიატებს.

როგორ მიმდინარეობს გასაწვევ ახალგაზრდობის გაცხრილვა? თბილისის ოლქის სამხედრო კომისარიატს, მიუხედავათ მრავალი მიმართვისა, დღევანდლამდე არა აქვს ცნობები ადგილებიდან, რაც დიდად აბრკოლებს მუშაობას. თბილისის აღმასკომს არა აქვს გამორკვეული იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებსაც ეხებათ ჯარში გაწვევა, მაგრამ მოკლებულნი არიან არჩევნების უფლებას. ასეთივე მდგომარეობაა სხვა ადგილებშიაც.

**პროფკავშირები სდუმან**

პროფკავშირებს არაფერი გაუკეთებიათ და არც აპირებენ რაიმეს გაკეთებას გაწვევის ირგვლივ. წარმოება-დაწესებულებებში არ არის ჩატარებული გასაწვევთა აღრიცხვა, პარტიის და კომკავშირის უჯრედები, ადგილკომები არ აწარმოებენ არავითარ მუშაობას გასაწვევთა შორის. ადმინისტრაცია. ხედავს რა ასეთ დამოკიდებულებას გაწვევისადმი, თვითონაც სდუმს.

აგიტაციისა და პროპაგანდის ისეთი მძლავრი იარაღი, როგორიც არის კლუბი, სამკითხველო, წითელი კუთხე, რადიო და სხვ. არ არიან გამოყენებულნი ჯარში გაწვევისათვის. კლუბები და სამკითხველოები არ აწარმოებენ ახსნა-განმარტებით მუშაობას გასაწვევთა შორის.

**წელს წითელი ჯარი მიიღებს წერა-კითხვის უცოდინართა დიდ პროცენტს**

არსებობს მთავრობის დადგენილება, რომლის ძალით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში პირველ რიგში მიზიდული უნდა იქნენ ჯარში გასაწვევი (წვევამდელი) ახალგაზრდები. განათლების კომისარიატის ორგანოები გვერდს უხვევენ ამ დადგენილებას. გამორკვეულია, რომ მიმდინარე გაწვევის დროს წითელი ჯარი მიიღებს წერა-კითხვის უცოდინართა დიდ პროცენტს, რაც იქონიებს უარყოფით გავლენას არმიელთა სწავლა-მომზადებაზე. უცოდინართა ყველაზე დიდ პროცენტს იძლევა თბილისის ოლქი; რას აკეთებდა თბილისის ოლქის განათლების განყოფილება?

**სასწავლებლების ადმინისტრაციის დანაშაულებრივი დაუდევრობა**

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მრავალჯერ იყო აღნიშნული, რომ სასწავლებლების ადმინისტრაცია აგვიანებს ჯარში გასაწვევ მოწაფეების სიების შედგენას და მათ გადაგზავნას სამხედრო კომისარიატში. სასწავლებლების ადმინისტრაციის დაუდევრობით, სამხ. კომისარიატი მოკლებულია საშუალებას გაუგრძელოს ამა თუ იმ მოწაფეს ჯარში გაწვევის ვადა სწავლის დამთავრებამდე. დღევანდლამდე სამხ. კომისარიატს არა აქვს სრული ცნობები თუ ვის უნდა გაუგრძელოს ჯარში გაწვევის ვადა. წითელ ჯარში შემოდგომაზე მოხვდება ბევრი მოსწავლე ახალგაზრდა, რის გამო შეფერხდება მათი სწავლების საქმე.

**დეფექტები უნდა აღმოიფხვრას**

ჯარში გაწვევამდე დარჩენილია მხოლოდ ორი თვე. ამიტომ საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, რომ გაწვევა ჩატარდეს უნაკლოდ. უპირველეს ყოვლისა უნდა მიექცეს ყურადღება გასაწვევ ახალგაზრდობის კლასობრივ შერჩევას, მათ გაცხრილვას. საჭიროა ფართო სააგიტაციო მუშაობის წარმოება გასაწვევთა შორის, რომ ყოველ გასაწვევს ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა წითელ არმიაზე და თავის მოვალეობაზე. ფართოდ უნდა გავაწარმოოთ საკონსულტაციო მუშაობა. ყოველმა გასაწვევმა უნდა იცოდეს, თუ რა უპირატესობით და შეღავათებით სარგებლობს თვითონ ის და მისი ოჯახი.

## გასაწვევ ახალგაზრდების კონფერენციები

15 ივლისიდან გაწვევის დაწყებამდე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩატარდება იმ ახალგაზრდების კონფერენციები, რომლებსაც ეხებათ წითელ ჯარში გაწვევა. კონფერენციების მიზანია გააცნოს გასაწვევ ახალგაზრდობას წითელი ჯარის ისტორია, მისი სტრუქტურა და დანიშნულება, წითელ ყაზარმაში სწავლების და ცხოვრების პირობები.

იმისათვის, რომ კონფერენციებისაგან მივიღოთ დადებითი შედეგები, საჭიროა წინასწარი სამზადისი. ყოველი კონფერენცია უნდა ჩავატაროთ ორგანიზაციულად, წინასწარ გამომუშავებული მტკიცე გეგმით. სახელდახელოთ მოწყობილი და ჩატარებული კონფერენცია არ მოგვცემს არავითარ სარგებლობას.

გასაწვევ ახალგაზრდობას რამოდენიმე დღით ადრე უნდა ეცნობოს კონფერენციის დრო და ადგილი. გასაწვევთა გარდა კონფერენციაზე მიზიდული უნდა იქნენ სხვა მოქალაქენი და ახალგაზრდობა.

გასაწვევთა კონფერენციები ფართოდ უნდა იქნენ გამოყენებული წითელი არმიის და თავდაცვის საკითხების პოპულარიზაციის მიზნით. კონფერენციის დღის წესრიგის პირველი საკითხი: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა" უნდა დაუკავშიროთ ომის საფრთხეს და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას.

კონფერენციაზე სასურველია გამოსვლა იმ ამხანაგების, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა სამოქალაქო ომის ბრძოლებში. ამ ამხანაგების ნაამბობი გააცნობს ახალგაზრდებს წითელარმიის გმირულ წარსულს, მის ბრძოლებს მუშებისა და გლეხების გასანთავისუფლებლად.

კონფერენციებზე საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს საკონსულტაციო მუშაობას, კითხვა-პასუხის საშუალებით. მოსახლეობა უნდა გაერკვეს კანონში სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ და იმ შეღავათებში, რომლებსაც კანონი ანიჭებს არმიელებს და მათი ოჯახების წევრებს.

## ვემზადებით გაწვევისათვის

(წერილი კახეთიდან)

წინასწარი სამზადისი ჯარში გაწვევისათვის ოლქის ყველა რაიონში დამთავრებულია, აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ უწევს სამხედრო კომისარიატს სათანადო დახმარებას იმ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეში, როგორიც არის მორიგი გაწვევა წითელ ჯარში.

გაწვევას კახეთში შეაფერხებს მწყემსების ყოფნა მთაში. აპრილში მრავალი ახალგაზრდა მწყემსი მიდის მთაში და იქ რჩება დიდხანს. ეს მწყემსები ყოველთვის დაგვიანებით ცხადდებიან გაწვევაზე. აქ საჭიროა ადგილობრივი სოფლის საბჭოების დახმარება, მათ უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რომ გასაწვევი მწყემსები დაუგვიანებლივ გამოცხადდნენ შესაკრებ პუნქტებზე.

ალაზნის ჭალაზე და შირაქის ნავთის სარეწაოებზე მრავლად მუშაობენ ახალგაზრდები, რომლების წლოვანება გამოურკვეველია, რადგან მათ არა აქვთ წლოვანების დამამტკიცებელი მოწმობები და სხვა რაიმე საბუთები. ეხლავე საჭიროა ზომების მიღება და ამ მუშების წლოვანების შემოწმება.

არ არის მოწესრიგებული მუშაობის საკითხი იორ-მუღანლოს თურქთა შორის. სამხედრო კომისარიატს ჰყავს თურქული ენის მცოდნე ამხანაგები, რომ მათ აწარმოონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა თურქთა შორის.

დღეს-დღეობით მუშაობა გასაწვევთა შორის არ არის გაშლილი. პირველ ყოვლისა უნდა ამოძრავდეს კომკავშირი, მან „მსუბუქი კავალერიის" საშუალებით უნდა შეამოწმოს, თუ როგორ ემზადება გაწვევისათვის ესა თუ ის რაიონი, სოფელი. გაწვევის სამზადისისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კედლის გაზეთებიც, სადაც უნდა შუქდებოდეს გაწვევის მიმდინარეობა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები.

შ. ჩიკვაიძე.

წითელი არმიელები სწმენდენ იარაღს

## თათბირი ოლქების ლიკვიდაციის შესახებ

9 ივლისს ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ მოიწვია დაინტერესებულ ორგანიზაციებისა და ნაციონალურ რესპუბლიკების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც დასმული იყო ოლქების ლიკვიდაციის საკითხი.

თათბირმა საერთოდ მოიწონა ამიერ-კავკასიის კომისიის მიერ ამ საკითხის შესახებ შემუშავებული პროექტი. აზერბეიჯანში არსებული 65 რაიონი უნდა შემცირდეს 28-დე, საქართველოში 66 რაიონი 51-დე და სომხეთში 31 რაიონი 19—20 რაიონამდე. ამასთანავე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რაიონების მატერიალურ-უფლებრივი ბაზის გაფართოების შესახებ. მაგალითად, სახკომსაბჭოს სანქციის გარეშე რაიონებს უფლება ექნება გადაანაწილონ საბიუჯეტო ასიგნობები, დამოუკიდებლად განაგონ სამეურნეო საქმეები და სხვ. ამასთან შეფარდებით გადაწყდა საგრძნობლად გაფართოებულ იქნეს აგრეთვე სასოფლო საბჭოების უფლებები.

თათბირმა შესაძლებლად სცნო, სადაც ეს საჭიროა გეოგრაფიული და ნაციონალური პირობების გამო, დაშვებულ იქნეს წვრილი რაიონების არსებობაც.

რესპუბლიკანურ კომისიებს წინადადება მიეცა ორი კვირის განმავლობაში დაამთავრონ ამ საკითხებისათვის ყველა საჭირო მასალების დამუშავება ისე, რომ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან შეუდგნენ ოლქების ლიკვიდაციის თანდათანობით პრაქტიკულად გატარებას.

ამასთან დაკავშირებით თათბირზე დაისვა საკითხი, თუ როგორ იქნება 1930—31 წლის ბიუჯეტის შედგენის საქმე, ე. ი. ბიუჯეტი შედგენილი უნდა იქნეს არსებულ ადმინისტრატიულ პირობების მიხედვით, თუ ოლქების ლიკვიდაციის გათვალისწინებით. რადგან ძალიან ცოტა დრო დარჩა ბიუჯეტის შესადგენად, გადაწყდა ბიუჯეტი შედგენილ იქნეს არსებულ ადმინისტრატიულ და ტერიტორიალურ ერთეულების მიხედვით.

## უთანასწორობა ხილბოსტნეულის ბაზარზე გრძელდება

სეზონის დასაწყისიდან დღემდე გრძელდება განსაკუთრებით უმსგავსო მოვლენები ხილბოსტნეულის დამზადებისა და განაწილების საქმეში. ვინაიდან მეგემავი და კოოპერატიული ორგანიზაციები ვერ იჩენენ საქმის მოგვარების უნარს, მომხმარებელი იძულებულია იყიდოს დამპალი ხილი ან ზედმეტი ფული გადაიხადოს კერძო ვაჭართან ბოსტნეულსა და ხილში, იხიბოს კოოპერატიულ მაღაზიებსა და დუქნებში თითო კონა მწვანილისათვის და სხვ. ეს კი ხდება მაშინ, როდესაც ხილისა და ბოსტნეულის განსაკუთრებით კარგი მოსავალია, ხილისა და ბოსტნეულის დამამზადებელნი ამიერ-კავკასიის მეხილეობა-მებოსტნეობის კავშირი, სოფლის მეურნე, მუშკოოპი და სხვა მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები, საშეფო საზოგადოება, ყრუმუნჯთა საზოგადოება და სხვ. შეუთანხმებლად მუშაობენ. იყო მხოლოდ ვრცელი ოქმები, რომლებშიაც თვითეული ორგანიზაცია თავის უნიათობას ამართლებდა მეზობელი ორგანიზაციის ცუდი მუშაობით. ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო საქართველოში დამშვიდებით ადევნებდა თვალყურს დამამზადებელი და განმანაწილებელი ორგანიზაციების „ვარჯიშობას" და გულდამშვიდებით აკერებდა საქმეში ოქმებსა და აქტებს დალპული ხილისა და ბოსტნეულის შესახებ.

მხოლოდ 25 ივნისს, როდესაც ნადრევი ბოსტნეულისა და ხილის დიდი ნაწილი უკვე გამოტანილი იყო ბაზარზე, საქ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მოიწვია ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციების და ქვედა საფეხურის ქსელის მუშაკების თათბირი ღონისძიებათა გამოსამუშავებლად და „ხილისა და ბოსტნეულის ბაზარზე შექმნილი ანარქიის კონკრეტულ დამნაშავეთა აღმოსაჩენად".

თათბირის შემდეგ, უკვე ორმა კვირამ განვლო, მაგრამ **ხილისა და ბოსტნეულის ბაზარს არავითარი გაჯანსაღება არ ემჩნევა.** კვლავ კინკლაობენ ორგანიზაციები, კვლავ მეტისმეტად მაღალია დანართი ფასები, კვლავ არასაკმაოა ხილი და ბოსტნეული, კვლავ ისმება მომხმარებლის წინაშე კითხვა—ან იყიდოს დამპალი ხილი კოოპერატიულ დუქნებში, ან წავიდეს კერძო ვაჭართან, თითქმის 2-ჯერ მეტი გადაიხადოს და უკეთესი საქონელი მიიღოს. დამზადების რაიონებში ხილი და ბოსტნეული ძველებურად ლპება.

მაგრამ უთავბოლობა ხდება არა მარტო დამამზადებელთა და განმანაწილებელთა შორის, არამედ მეგემავე ორგანიზაციებს შორისაც. თავდაპირველად ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოში ერთი გადაწყვეტილება მოჰქონდა, ხოლო ამიერ - კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს სრულიად სხვა, როგორც მაგალითად იმ საკითხში, რომ სამომხმარებლო კოოპერაციას დამოუკიდებელი დამზადების ნება მისცემოდა. ეხლაც მათ შორის მუშაობა შეთანხმებული არ არის. მხოლოდ ამ დღეებში, ე. ი. უკვე მაშინ, როდესაც ბაზარზე ბევრი საზაფხულო ხილი და ბოსტნეულია გამოტანილი და ნაწილი გაფუჭებულია, ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კომისიას გამოაქვს დადგენილება „საზაფხულო ხილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და განაწილების პირობებისა და წესის შესახებ".

კერძო ვაჭარი არღვევს ჩვენს მუშაობას—იმის გადება დამამზადებლისა და განმანაწილებლების მხრივ. რომ კერძო ვაჭარი ამ უკანასკნელ დროს თანდათან მეტ აქტივობას იჩენს, რომ იგი ყოველნაირად სცდილობს ჩაშალოს დამზადება, ეს უეჭველია, მაგრამ უდავოა ერთი რამ—ჩვენს დამამზადებელ და განმანაწილებელ ორგანიზაციებს რომ მოქნილი აპარატი ჰქონდეთ, ისინი შესძლებდნენ მთლიანად დაეკმაყოფილებიათ თბილისის მოთხოვნილება ხილისა და ბოსტნეულზე.

როგორია მუშაობს კოლმეურნეობათა რაიონული კავშირი, რომლისთვისაც საჭირო არ არის მიმართოს ერთეულ გლეხებს: მან დღემდე არ იცის, თუ რის მიღება შეიძლება კოლმეურნეობებიდან, ან სად შეიძლება რასმე მიღება.

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო ჩვენმა დამამზადებელმა და განმანაწილებელმა ორგანიზაციებმა, არამედ მეგემავე ორგანიზაციებმაც სამარცხვინოდ ჩაშალეს საერთოდ ზაფხულის ხილისა და ბოსტნეულის სეზონი. ჩაშლის კონკრეტულ დამნაშავეთა ძებნა ზედმეტია. ცხადია რომ ბრალი ნაწილდება ყველა ძირითად ორგანიზაციაზე, ზოგს მეტად და ზოგს ნაკლებად. მდგომარეობის გამოსწორება აუცილებელია და სავსებით შესაძლებელი. ამისათვის პირველ რიგში მომწესრიგებელმა ორგანოებმა უნდა უკუაგდონ მუშაობის ძირითადი მეთოდი — აქტების შედგენა ერთმანეთისათვის ბრალდებების წარსადგენად, და განუხრელად დღითი-დღე უნდა ადევნონ თვალყური გამომუშავებულ ღონისძიებათა შესრულებას — ხილისა და ბოსტნეულის ბაზრის გაჯანსაღების საქმეში და დაუყოვნებლივ პასუხისგებაში მისცენ ყველა დამრღვეველნი.

თუ გავაჯანსაღეთ ხილისა და ბოსტნეულის ზაფხულის ბაზარი, ჩვენს წინაშე წამოიჭრება ის საფრთხე, რომ სერიოზული დაბრკოლებები შეგვხვდეს საზამთრო ბოსტნეულის დამზადების დროს. მაგრამ არა მარტო მეგემავე ორგანიზაციები უნდა ჩაებენ ბრძოლაში ხილისა და ბოსტნეულის ბაზრის დაპყრობისათვის, პროფორგანიზაციებიც უმსგავსობებზე უბრალოდ თვალყურის დევნებიდან უნდა გადავიდნენ ნამდვილ მუშაობაზე.

ხილისა და ბოსტნეულის ბაზარზე შექმნილ ანარქიაში ძალიან დიდი ბრალი მიუძღვის ამიერ-კავკასიის რკინის გზასაც. ხილი და ბოსტნეული გზაში ჩერდება. კოოპერატიულ ორგანიზაციებს თავის დროზე არ ეძლევა ვაგონები არა მარტო დაუდევრობის მიზნით, არამედ სადგურების აგენტების პირდაპირი მავნებლობის გამოც. არის დამტკიცებული ფაქტები, რომ მაშინ, როდესაც კოოპერატიულ ორგანიზაციებს ხილისათვის საჭირო ვაგონების მიცემაზე უარი უთხრეს, ვაგონები მისცეს კერძო ვაჭრებს. არ ვიცით თუ როგორ დაისაჯნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის აგენტები კერძო ვაჭრის მფარველობისათვის და გამორკვეულ იქნენ თუ არა პერსონალურად დამნაშავენი. მწვავე სასურსათო მდგომარეობის დროს დაულალავი კონტროლი ფართო მოხმარების პროდუქტების დამზადებაზე საჭიროა ამჟამად უფრო, ვიდრე ოდესმე.

3. ქ—ნი.

## ახალი რკინის გზები საქართველოში

ა.-კ. ახალ რკინის გზების საამშენებლო სამმართველოს ცნობით გზათა სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა საქართველოში ახალი რკინის გზების გასაყვანად წინასწარ სამუშაოთა შესრულების გეგმა.

გეგმის მიხედვით წელს გამოკვლეული უნდა იქნეს შემდეგი რკინის გზის ხაზები: ოზურგეთი — ჩოხატაური, სამტრედია — მათხოჯის, გორი — ცხინვალის და თელავ—ახმეტა—მატანის.

სამტრედია — მათხოჯის რკინის გზის გაყვანის საკითხი ჯერ საბოლოოდ გამორკვეული არ არის. არსებობს ხაზის გაყვანის ორი ვარიანტი. პირველი ვარიანტი ითვალისწინებს ხაზის გაყვანას სამტრედიიდან მათხოჯამდე. ამ შემთხვევაში გზის სიგრძე იქნება 31 კილომეტრი და იგი უმთავრესად იქნება ხე-ტყის საზიდავი გზა.

მეორე ვარიანტის მიხედვით გზის სიგრძე უნდა იყოს დაახლოებით 40 კილომეტრი და მან უნდა გაიაროს მათხოჯიდან ხონზე, წყალტუბოზე, გუმბრზე, ქუთაისზე და მივიდეს ბროწეულამდე. ამ შემთხვევაში გზა, ხე-ტყის გადაზიდვას გარდა სამსახურს გაუწევს წყალტუბოს; გუმბრის წარმოებას და ქუთაისის კომბინატების ქარხანას.

ამჟამად ამ ვარიანტს იხილავს ა.-კ. სახალხო საბჭო.

გორი — ცხინვალის გზის გაყვანის მხრივაც ორი ვარიანტი არსებობს. პირველი ვარიანტი ითვალისწინებს გზის გაყვანას გორიდან — ცხინვალამდე, ხოლო მეორე აგარიდან ცხინვალამდე.

თელავ—ახმეტის გზის გაყვანის საკითხში შეტანილია ცვლილება. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოითხოვა გზის გაყვანა სოფ. მატანამდე. ამ შემთხვევაში გზის სიგრძე დიდდება შვიდი კილომეტრით.

ამჟამად „ზაკჟელდორსტროი"-ს გაგზავნილი ჰყავს მკვლევართა ორი პარტია, თელავ—ახმეტა—მატანის და სამტრედია—მათხოჯის ხაზებზე. ისინი კვლევა-ძიებას დაამთავრებენ ამ თვის დამლევისთვის და შეუდგებიან პროექტების დამუშავებას. პროექტები მზად იქნება აგვისტოს დამლევისათვის.

ამის შემდეგ ეს პარტიები გაიგზავნებიან გორი—ცხინვალის და ოზურგეთ — ჩოხატაურის გზების გამოკვლევაზე.

მუშაობა რამის პლანტაციებზე სოფ. კვახჭირში (ქუთაისის ოლქი)

## ჩაის აგრო-სპეციალისტთა თათბირი

(უკანასკნელი სხდომა)

გუშინ შესდგა თათბირის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა აგრ. **ხატიაშვილის** მოხსენება იაპონიასა და კუნძულ ფორმოზაზე მოგზაურობის შედეგების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იაპონია ჩაის კულტურის ძველი ქვეყანაა. იქ, როგორც გლეხობის, ისე სპეციალისტების რამოდენიმე თაობა მხოლოდ ამ კულტურას მისდევს და ჩაის წარმოების ტეხნიკა ზედმიწევნით აქვთ შესწავლილი. იაპონიაში ფართოდ არის შემოღებული ხელოვნური სასუქის გამოყენება, ჩაის პლანტაციებში. ამიტომაც ერთი ჰექტარის მოსავალი იაპონიაში 7—8 ათას კილოგრამს უდრის; ხოლო იავა-სუმატრაზე—3.000 კილოგრამს.

ჩვენში კი ჩაის მოსავალი ჰექტარზე 1.125 კილოგრამს არ აღემატება. ჩაის კულტურა იაპონიაში უმთავრესად გლეხურ ინდივიდუალურ მეურნეობებში მოჰყავთ. მათ შორის არიან ისეთი მეურნეობები რომელთა განკარგულებაში 50 ჰექტარამდე პლანტაცია იმყოფება. დიდი მოსავლიანობის გამო ასეთი მეურნეობები მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობათ ითვლებიან. იაპონიის გლეხობის მდგომარეობა საიჯარო ქირასა და გადასახადების სიმძიმის გამო აუტანელია, გლეხები იხდიან შემოსავლის 19-დან 55 პროც.-მდე. მეორეს მხრივ მეტად გაძნელებულია მწვანე ჩაის რეალიზაცია. ამ მიზეზების გამო, ჩაის მეურნეობა იაპონიაში უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში არამც თუ არ იზრდება, არამედ მცირდება კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ იაპონელ გლეხს ნიადაგზე წლის განმავლობაში ორი მოსავალი მოჰყავს, მისი მდგომარეობა თანდათან უარესდება, გლეხების ნაწილი ქალაქში მიდის, ნაწილი კი მსხვილი მემამულეების პლანტაციებში დაქირავებით მუშაობს.

ჩაის მეურნეობის განვითარების ან ერთ დონეზე შენარჩუნების მიზნით იაპონიაში განზრახული აქვთ შავი ჩაის წარმოების დაწყება, მაგრამ ინდივიდუალურ დაქუცმაცებულ მეურნეობების პირობებში აქ ჩაის გავრცელება დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ჩაის განვითარებისათვის, ამრიგად, იაპონიაში მეტად მძიმე და აუტანელი პირობებია. ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა შეუდარებლად უკეთესია. მიუხედავად იმისა, რომ ჩაის კულტურა იაპონიაში მეტად მძიმე პირობებში იმყოფება და გლეხობა მას გაურბის, ჩვენ იაპონელებიდან მაინც ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ როგორც ჩაის, ისე დანარჩენ სუბტროპიკულ მცენარეთა მოვლა-პატრონობის მხრივ. მომხსენებელი აღნიშნავს აგრეთვე, რომ კუნძულ ფორმოზაზე გავრცელებულია ჩაის არა თესლით, არამედ ყლორტით გაშენება, რაც ჩვენ აუცილებლად უნდა შევისწავლოთ და ჩვენ ჩაის რაიონებში შემოვიღოთ. ამით საგრძნობლად შევამცირებთ სათესლე მასალის ნაკლებობას, რომელსაც ამჟამად განვიცდით.

აგრ. ხატიაშვილის მოხსენების შემდეგ თათბირმა განიხილა და დაამტკიცა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები და პრაქტიკული ღონისძიებები, რის შემდეგაც თათბირი დაიხურა.

# მოსამზადებელი მუშაობა პურის დამზადებისათვის სუსტად მიმდინარეობს

### საწყობების გამონახვას კახეთში აგვიანდება.—გორის ოლქის მთელ რიგ რაიონებში მოსამზადებელი მუშაობა ჯერ არც კი დაწყებულა

### ფართოდ ჩავაბათ მშრომელი ქალები პურის დამზადების კამპანიაში

## საქართველოში უნდა დამზადდეს 1 მილიონი ფუთი ხორბალი

(თათბირი საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტ.)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში 7 ივლისს შესდგა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა და იმ ამხანაგების თათბირი, რომლებიც ცეკას და თბილისის კომიტეტის მიერ მობილიზაციის წესით იგზავნებიან პურის დამზადებელ რაიონებში პურის დამზადების კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. პურის დამზადების კამპანიის შესახებ თათბირმა მოისმინა ამხ. ელერდაშვილის და ჯაფარიძის მოხსენებები.

პურის დამზადების კამპანიას — განაცხადეს მომხსენებლებმა, დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. გასულ წელში საბჭოთა კავშირში დამზადებულ იქნა 800 მილიონი ფუთი ხორბლეული, წელს კი უნდა დამზადდეს 1400 ათასი ფუთი. ხორბლეული ჩვენ გვესაჭიროება ქალაქის მოსახლეობის მოსამარაგებლად და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის კიდევ უფრო დასაჩქარებლად. კერძოდ საქართველოში გასულ წელში ჩვენ გეგმით გათვალისწინებული გვქონდა 500 ათ. ფუთი ხორბლეულის დამზადება. მაგრამ გეგმას გაცილებით გადავაჭარბეთ და დავამზადეთ 700 ათასი ფუთი. წლევანდელი გეგმით კი გათვალისწინებულია 1 მილიონი ფუთი ხორბლეულის დამზადება. წელს გარდა ამისა, უნდა შევკრიბოთ 190 ათასი ფუთი გასულ წელში გლეხობაზე სესხად გაცემული სათესლე ფონდი.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ წელს საგრძნობლად გადიდებულია ნათესი ფართობი და მოსავალსაც კარგი პირი უჩანს, ამ გეგმის შესრულება მთლიანად არის შესაძლებელი. მაგრამ პურის დამზადების კამპანიას გასულ წელთან შედარებით წელს ერთგვარი სიძნელეებიც ელობება წინ, ვინაიდან გასულ წელს ჩვენ პურის ჩამბარებლებს ვაძლევდით ჩაბარებული ხორბლის ღირებულების 50 პროც. სამრეწველო საქონლით, წელს ეს ნორმა საგრძნობლად იქნება შემცირებული. დასამზადებელ ხორბლეულს ჩვენ მივიღებთ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებიდან, კონტრაქტაციაქმნილი ნათესებიდან, ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობებიდან და კულაკებისაგან. თვითეულ მათგანს პურის დამზადების დროს სხვადასხვანაირად უნდა მოუდგეთ. კულაკებმა მთელი ზედმეტი ხორბლეული უნდა ჩააბარონ დამამზადებელ ორგანიზაციას. კოლმეურნეობებმა საწარმოო რაიონებში უნდა მოგვცეს მოსავლის ერთი მეექვსედიდან, ერთ მეათედამდე, ხოლო ის კოლმეურნ. რომელთაც საკმაო ხორბლეული არა აქვთ, განთავისუფლებულნი იქნებიან პურის ჩაბარებიდან. კონტრაქტაცია-ქმნილი გლეხურ მეურნეობებმა უნდა შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. ხოლო რაც შეეხება ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნე გლეხობას, მათ მიმართ არავითარი ძალდატანებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, მათგან ჩვენ პური უნდა მივიღოთ ახსნა-განმარტებისა და დარწმუნების საშუალებით.

მთავარ დამამზადებელ ორგანიზაციად წელს ითვლება მემინდვრეობის კავშირი; ხოლო იმ რაიონებში, სადაც ეს ორგანიზაცია სუსტია, პურის დამზადებას აწარმოებს სამომხმარებლო კოოპერაცია.

ხორბლეულის ჩამბარებელ კოლმეურნეებს მიეცემათ ჩაბარებული ხორბლეულის ღირებულების 33 პროც. სამრეწველო საქონელი, ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნე გლეხობას — 30 პროც. სამრეწველო საქონელი. ხოლო მებამბეობის რაიონებში 20 პროც. სამრეწველო საქონელი, მაგრამ არა უმეტეს 40 მანეთისა თვითეულ მეურნეზე. კულაკებს კი სამრეწველო საქონელი არ მიეცემათ, მათგან პური შეძენილი იქნება ნაღდ ფულზე.

უნდა აღინიშნოს რომ მოსამზადებელი მუშაობა პურის დამზადების კამპანიისათვის არ არის სათანადოთ გაშლილი, ჩვენ არ გვყავს საკმაო კადრები, არ არის მზად საწყობები, განვიცდით ტარის ნაკლებობას. რაც შეეხება ტრანსპორტს, ამ საკითხის მოგვარება ლება წელს უნდა მიექცეს დამზადებული ხომთლიანად დამოკიდებულია ადგილობრივ ორგანიზაციებზე. განსაკუთრებული ყურადრბლის ხარისხს, ვინაიდან გასულ წელს ჩვენ ზოგჯერ ცუდი ხარისხის და უსუფთაო ხორბალი დავამზადეთ, წელს ეს აღარ უნდა განმეორდეს. ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს პურის დამზადების კამპანიის წარმატებისათვის საზოგადოებრივ-მასიური მუშაობის გაჩაღებას ადგილებზე, რასაც ადგილობრივ ორგანიზაციებმა და ცენტრიდან გაგზავნილმა ამხანაგებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **გვარამიამ,** (სოფლის კავშირი), **დავიდხანოვმა, ჯორბენაძემ, მაიდაშვილმა, მცელაძემ, მარქაროვმა** და სხვ. ამხ. **ელერდაშვილის** საბოლოო სიტყვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ხ.მამულიამ.**

ამხ. მამულიას სიტყვის შემდეგ თათბირი დამთავრდა.

რაიონებში მიმავალი ამხანაგები ადგილებზე გაემგზავრებიან 10 ივლისს.

## როგორ ემზადება კახეთი

მთელ რიგ თათბირების შემდეგ, რომელიც მოწვეულ იქნა ოლქის აღმასკომის მიერ ყველა სამეურნეო ორგანიზაციების და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობით, საბოლოოდ დამუშავებულ იქნა კახეთის ოლქში პურის დამზადების გეგმა.

**პურის დამზადების მიმდინარე კამპანიაში კახეთის ოლქმა უნდა დაამზადოს 440.000 ფუთი პური და ქერი. აქედან პური—394.000, ქერი—46.000 ფუთი.**

გარდა ამისა ოლქის ფარგლებში გაცემულ სათესლე სესხების უკან დაბრუნებით ნავარაუდევია 30.000 ფუთი ხორბლეულის შეგროვება.

ამავე კამპანიის მსვლელობის დროს პარალელურად იწარმოებს სათესლე ხელუხლებელ ფონდის შეგროვება მომავალ საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვისათვის.

პირველ პერიოდის მოსამზადებელი მუშაობა თითქმის მთლიანად ჩატარებულია: ოლქის საკონტროლო ციფრი რაიონების და ცალკე სოფლების მოსავლიანობის შესწავლის შემდეგ განაწილებულია რაიონებს შორის. სარაიონო კომისიები გამოყოფილია და მათ დავალებული აქვთ დაუყოვნებლივ განაწილონ რაიონის საკონტროლო ციფრები რაიონში შემავალ სოფლებს შორის და დაიყვანონ ეს ციფრები ცალკე მეურნეობებამდე.

ამოძრავებულია მთლიანად მემინდვრეობის კავშირის საოლქო ქსელი და სამომხმარებლო კოოპერაცია. მთელი ოლქი დაყოფილია 28 დამამზადებელ პუნქტად, მათს შორის: 10 პუნქტი მიკუთვნებული აქვს სამომხმარებლო კოოპერაციას, 14 პუნქტი—მემინდვრეთა კავშირს და 4 პუნქტი კი „სოიუზხლებს".

პურის დამზადების პროცესში მოეწყობა აგრეთვე მოძრავი დამხმარე პუნქტები.

პურის დამზადებისათვის საჭირო რაოდენობის სადეფიციტო საქონლის ნაწილი უკვე გადმოგზავნილია ოლქში და ნაწილდება რაიონებს შორის.

მეტად სუსტად უნდა ჩაითვალოს „სოიუზხლების" ადგილობრივი საოლქო კანტორის მუშაობა: მიმღები პუნქტები ჯერ არ არის გამორკვეული და სადაც წარსულ წელს იყო, ისინიც ჯერ-ჯერობით მოწყობილნი არ არიან, შემჩნეულია აგრეთვე სასწორების სიმცირე და სხვა.

ამგვარად კახეთის ოლქი პურის დამზადების კამპანიისათვის წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის პროცესშია. საოლქო ხელისუფლების მიერ რაიონებში ორი თვის ვადით მივლინებულ 30 პასუხისმგებელ ამხანაგის ენერგიულ მუშაობაზეა დამოკიდებული კახეთში პურის დამზადების კამპანიის წარმატებით დასრულება.

ლიგანელი.

## თათბირი მოსავლის აკრეფისა და პურის დამზადების შესახებ

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში გორის მუშათა ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგა სოფლის საბჭოს თავმჯდომარეთა, პარტუჯრედის მდივნების, აგრონომებისა და საოლქო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან მოსავლის აკრეფისა და პურის დამზადების მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

**მეჯვრისხევის რაიონი**

თათბირზე მეჯვრისხევის რაიონის წარმომადგენელმა ამხ. გამდლიშვილმა აღნიშნა, რომ მოსავლის აკრეფისათვის სამზადისი წარმატებით მიმდინარეობს. მოსავლის აკრეფის გეგმები დამუშავდა ღარიბთა ჯგუფების კრებებზე, საწარმოო თათბირებზე და კოლმეურნეთა კრებებზე. გეგმები დაყვანილია სოფლებამდე. მოსავალი საშუალოზე უკეთესია. თემს აკლია ცელები და ნამგლები. მიღებულია ზომები აგრეთვე კევრების შესაძენად. საწყობები არის, საჭიროა მხოლოდ მათი შეკეთება. ტომრები სრულიად არა აქვთ კოლმეურნეობებს. გლეხობაში ჩატარდა ახსნა-განმარტებითი კამპანია, რათა 100 პროც. შეგროვდეს ხელუხლებელი სათესლე ფონდი. სამზადისი პურის დამზადებისათვის მოისუსტებს. ამ დარგში ჯერ თემში არავითარი მასიური მუშაობა არ ჩატარებულა.

**შინდისის თემი.**

— შინდისის თემში, — ამბობს ამხ. გერამიშვილი, — არსებობს 8 კოლმეურნეობა, ამ კოლექტივებში, აგრეთვე ღარიბთა გლეხთა კრებებზე, უკვე დამუშავდა მოსავლის აკრეფის საკითხები. თვითეულ კოლმეურნეობაზე თემიდან მიმაგრებულია პ.-მგ. ამხანაგი, რომელიც იმუშავებს მოსავლის აკრეფასა და პურის დამზადების პერიოდში. ამჟამად სწარმოებს ხელსაწყო-იარაღების შეკეთება. კოლმეურნეობები მუშა-საქონლით ეხმარებიან ინდივიდუალურ სექტორს. გომის სამანქანო-სატრაქტორო სადგურმა უარი განაცხადა კოლექტივების მოსავლის მომკა-გალეწვაზე, რის გამო ამ კამპანიის ნაყოფიერად ჩატარება დაბრკოლების წინაშე სდგას. სიმინდის მოთოხნა ბრკოლდება მუშა-ხელის ნაკლებობის გამო. პურის დამზადებისათვის არავითარი წინასწარი მუშაობა არ ჩატარებულა. ეს საკითხი დამუშავდა მხოლოდ პარტაქტივის კრებამ.

**ვარიანის თემი**

ამხ. ბერკაციშვილის სიტყვით, ვარიანის თემში წელს ხორბლეულის მოსავალი საშუალოზე უკეთესია. თემს აკლია რთული მანქანა-იარაღები. თემში არის მხოლოდ სალეწი 1 მანქანა. წელს თემში მოსავლიანობის გადიდების გამო შარშანდელთან შედარებით მეტი რაოდენობის, პურის დამზადება შეიძლება, საჭიროა მხოლოდ სამზადისი მუშაობის გაძლიერებლად.

**ტყვიავის რაიონი.**

ამხ. ერიქაშვილი ამბობს, რომ საწარმოო თათბირები სათანადოთ ვერ გამოეხმაურნენ მოსავლის აკრეფისა და პურის დამზადების კამპანიას. სუსტ პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებენ ღარიბთა ჯგუფებიც. მოსავლის აკრეფის გეგმა განხილულია გლეხთა საზოგადო კრებაზე და ის მიტანილია კოლმეურნეობამდე. პურის დამზადებისათვის მოსამზადებელ მუშაობის ჩასატარებლად გორიდან მომაგრებულ იქნა 1 ამხანაგი, მაგრამ მას სულ სხვა ხაზით ამუშავებენ.

**ტირიფონის ველი**

თბილისიდან მივლინებულ მუშათა ბრიგადებს არა აქვთ საჭირო ხელსაწყო-იარაღები სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებლად. სოფ. ნადარბაზევში ტრაქტორი გაფუჭებულია. მოსავლის აკრეფა 10 დღეში დაიწყება. სოფ. ნაწრეთში 30 ჰექტ. ყანები წვიმებმა გააფუჭა, ხოლო ტირიფონის ველის დანარჩენ რაიონებში მოსავალს მეტად კარგი პირი უჩანს. პურის დამზადებისათვის სამზადისი ჯერ არ დაწყებულა.

თათბირმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებებისა, მოსავლის აკრეფისა და პურის დამზადების კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

ადგილობრივი.



ზემოქედის კომუნა.—სა თიბი მანქანის შეკეთება

## სამზადისი სუსტად მიმდინარეობს

(გორის ოლქი)

საოლქო ორგანიზაციებმა გვიან დაიწყეს პურის დამზადებისათვის ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება. ჯერ კიდევ არ მომხდარა გლეხობის აზრის მობილიზაცია პურის დამზადების, როგორც დიდი პოლიტიკური კამპანიის გარშემო. ოლქში მოუწესრიგებელია საწყობების გამონახვის, მიმღები პუნქტების მოწყობისა და კადრების მომზადების საქმე.

მიუხედავად ყველა ამ დეფექტებისა, არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ წელს ოლქში წარმატებით დამზადდება პური. პურის დამზადებას მეტად უწყობს ხელს საკოლმეურნეო სექტორის ზრდა. 1929 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის ოლქის სას. სამ. არტელებში გაერთიანებული იყო მოსახლეობის 3,5 პროც., მიმდინარე წლის 15 ივნისისათვის კი—კოლმეურნეობებში განსაზოგადოებულია გლეხური მეურნეობის 32,5 პროც., იზრდება მოსავლიანობაც.

წელს ოლქში უნდა დამზადდეს 190.000 ფ. ხორბლეული. საწყობები არამც თუ მთელი მოსავლისთვის, არამედ ხელუხლებელ სათესლე ფონდის შესანახადაც კი არ კმარა. პურის დამზადებასთან დაკავშირებით, ოლქაღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მიიღო დადგენილება პურის დამზადების საქმეში არსებულ დეფექტების აღმოფხვრის შესახებ. აღმასკომმა დაავალა „სოიუზხლების" გორის სააგენტოს ყველა რაიონებში (კერძოთ კი კასპის რაიონში), სასწრაფოდ შეაკეთოს არსებული საწყობები, „სოიუზხლებმა" ახალი საწყობები უნდა ააგოს კასპის რაიონში და გადასცეს ისინი სას. სამ. კოოპერაციას.

რაიონულ აღმასკომებს წინადადება მიეცათ ფართოდ გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა პურის დამზადების საკითხებზე. რაიონებმა და სოფლის საბჭოებმა პურის დამზადების გეგმა სოფლებამდე და კოლმეურნეობებამდე უნდა დაიყვანონ არა უგვიანეს 10 ივლისისა. მათვე დაევალათ — პურის დამზადების პერიოდში ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრების პრაქტიკა.

პურის დამზადებისათვის საჭირო კადრების მოსამზადებლად „სოიუზხლები" სასაქონლო ხორბლეულის რაიონებში აწყობს კურსებს 30 კაცისათვის.

აღმასკომის პრეზიდიუმმა უკვე გამოჰყო სასაქონლო ხორბლეულის რაიონები. ასეთ რაიონებათ ცნობილ იქნა სტალინისის, გორის, და კასპის რაიონები. სტალინისის (ხაშური) რაიონში სასაქონლო პურეულის სოფლებია: გომი, ფლევი, ავლევი, საციხური, ქარელი, რუისი, დირბი და სხვ. გორის რაიონში — ტირიფონის ველი, ახალ-სოფელი, მეჯვრისხევი, შინდისი და ვარიანი. კასპის რაიონში სასაქონლო ხორბლეულის სოფლებია — კასპი, ალიანი, ქვემო-ჭალისი, მეტეხი და ხოვლე.

ი. ჯ.

## მშრომელი ქალის როლი პურის დამზადებაში

პურის დამზადების კამპანიის წარმატება დიდათ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მასში მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა. ამ საზოგადოებრიობაში კი თვალსაჩინო ადგილი ქალთა აქტივმა უნდა დაიჭიროს, ვინაიდან მოსახლეობის ნახევარს ქალები შეადგენენ და სოფლის მეურნეობაში ისევე, როგორც ქალაქის მეურნეობაში ქალების შრომას საპატიო ადგილი უჭირავს.

ამიტომ პურეულის დამზადების კამპანიისათვის სოფლად უნდა შეიქმნას ქალთა მუდმივი აქტივი, რომელშიაც ჩაბმული უნდა იქნენ შრომის უნარიანი ქალები კოლმეურნეობებსა და კოოპერატივებში გაერთიანებულ ქალთა მასებიდან, კოლმეურნეობების გარეშე დარჩენილ მოჯამაგირე, ღარიბ და საშუალო გლეხ ქალებიდან, სოფლის ინტელიგენციიდან, მოსამსახურე ქალებიდან და მოსამსახურეთა ოჯახებიდან. განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მიექცეს ამ აქტივში წითელ-არმიელთა ცოლებისა, სამოქალაქო ომში და უკანასკნელ წლებში კულაკებთან ბრძოლაში დაღუპულთა ქვრივების ჩაბმას.

ქალთა აქტივში ჩატარებულ უნდა იქნეს საგიტაციო ახსნა-განმარტებითი კამპანია, რომლის დროსაც მათთან უნდა გაიმართოს საუბრები როგორც სოფლის პროლეტარული მოსახლეობის საერთო ამოცანების, ისე პურის დამზადების კამპანიის მიზნების და ტეხნიკის შესახებ.

კამპანიის საორგანიზაციო მუშაობის დროს ქალთა აქტივმა უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს პურეულის საერთო მოსავალი გამორკვევაში (ნათესების სივრცის გამორკვევა, მოსავლის შეფასება, გალეწვის მოწყობა და სხ.) და დამზადების გეგმა სოფლამდე და რაიონამდე დაყვანაში. სოფლის საბჭოებთან ქალთა აქტივმა უნდა მოაწყოს პურის დამზადების დამხმარე კომისიები.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ქალების აქტიურ მონაწილეობას დამზადების ტეხნიკურ საქმიანობაში. ქალებმა აგიტაცია უნდა გასწიონ სოფლად, რომ გლეხობამ დამამზადებელ ორგანიზაციას ჩააბაროს გაწმენდილი პური. ამ მიზნით პურეულის გამწმენდი და დამხარისხებელ ბრიგადების მოწყობით ქალებს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ დამზადების კამპანიისათვის. ქალებმა კონტროლი უნდა გაუწიონ, თუ რამდენად სწორედ სწარმოებს სამრეწველო საქონლის განაწილება პურეულის ჩამბარებელ გლეხებს შორის, დაცულია თუ არა ნორმები, სწორია თუ არა წარმოდგენილი ცნობები ოჯახების შემადგენლობის შესახებ და სხ.

ქალთა აქტივმა სოფლად თავის-თავზე უნდა აიღოს ტომრების შეგროვება დამზადებული პურეულის გადასატანად და დახეული ტომრების დაკერება. მანვე უნდა იკისროს პურეულის საწყობებისა და ბეღლების გაწმენდა-გასუფთავება და დეზინფექცია, რომ ამ საწყობებში მოქცეული პურეული დაცული იქნეს დაზიანებისაგან და სხვ.

ასეთი საქმიანობით ქალთა აქტივი უზრუნველყოფს დამზადების კამპანიის წარმატებით დამთავრებას და დაამტკიცებს, რომ სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელი ქალი მხარდამხარ მიჰყვება ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატს.

ქ. ტ.

## სამრეწველო საქონელი პურის დამზადებისათვის

პურის დამზადების კამპანიის ნორმალური მსვლელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პურის ჩამბარებელ გლეხობის მომარაგებას სამრეწველო საქონლით. წარსული წლის პურის დამზადების კამპანიამ დაგვანახვა, რომ სამრეწველო საქონლის გაცემა პურეულის ჩამბარებლებთათვის წამახალისებელი იყო. მაგრამ შარშან ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა ამ საქმეს. ეს იყო ის, რომ ადგილობრივ სამომხმარებლო კოოპერატივებში არ მოიპოვებოდა გლეხობისათვის საჭირო პირველი მოთხოვნილების საქონელი. მუშათა ბრიგადამ აღმოაჩინა, რომ ალბულაღის სამომხმარებლო კოოპერატივში არ მოიპოვებოდა პირველი მოთხოვნილების საგნები, რის გამო გლეხობა არ აბარებდა ხორბლეულს. საგარეჯოს რაიონში ჩამოსულ მუშათა ბრიგადას შესჩივლეს გლეხებმა, რომ მათ კოოპერატივში არის მხოლოდ სანტიმეტრები, ოდეკოლონები, ხელის საპონი და სხვა, რომელიც მათთვის საჭირო არ არის, და მოითხოვდნენ დაეგზავნათ შეკერილ ტანისამოსს, შინელებს, ნავთს და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ რაიონებში შესაძლებელი იყო პურის უფრო მეტის რაოდენობით დამზადება, ვიდრე ეს ნამდვილად დამზადდა, რომ ადგილობრივ სამომხმარებლო კოოპერატივებში ყოფილიყო გლეხობისათვის საჭირო საქონელი.

წარსულ წელს კიდევ ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი. გლეხი მიდიოდა კოოპერატივში, მიჰქონდა ხორბალი იმ იმედით, რომ მიიღებდა რაიმე საქონელს, მაგრამ კოოპერატივის გამგე წასულიყო სადღაც და მიეკეტა კარები.

რათა ზემოაღნიშნულ დეფექტებს წელსაც არ ექნეს ადგილი, საჭიროა ცეკავშირმა ახლავე მიიღოს ზომები, რომ დროზე მოამარაგოს ადგილობრივი კოოპერაცია საჭირო სამრეწველო საგნებით და მისცეს (ინსტრუქცია) მათ, რათა მთელი დღის განმავლობაში ღია ჰქონდეთ სავაჭროები.

წელს პურეულის ჩამბარებლებისათვის სამრეწველო საქონლის გაცემის დროს ადგილებზე უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი ნორმით: კოლმეურნეობებს და კონტრაქტანტ ჩამბარებელ გლეხობას სამრეწველო საქონელი მიეცემათ ჩაბარებულ პურეულის ღირებულების 33 პროც.-ს რაოდენობით, ხოლო საშუალო და ღარიბ ჩამბარებელთ — 30 პროც.-ს რაოდენობით.

თუ შარშან კულაკურ ელემენტებს ეძლეოდათ სამრეწველო საქონელი, წელს ეს სასტიკად აკრძალულია.

ვინაიდან ბამბის რაიონები დიდი რაოდენობით არის მომარაგებული სამრეწველო საგნებით, ამიტომ ამ რაიონებში განურჩევლად იმისა — გვაბარებს ხორბლეულს კოლმეურნეობა, კონტრაქტანტი თუ საშუალო და ღარიბი გლეხობა, მათ სამრეწველო საქონელი უნდა მიეცეს მხოლოდ 20 პროც.-ს რაოდენობით.

საერთოდ, სამრეწველო საქონლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 40 მანეთს თითოეულ მეურნეობაზე.

ამ რამოდენიმე დღის წინად ცეკავშირმა უკვე გადაუგზავნა ადგილებს პირველ ხანებისათვის 340.000 მანეთის მანუფაქტურა და 40.000 მანეთის შეკერილი ტანისამოსი, რომელიც ადგილებზე დამზადების რაოდენობის მიხედვით უნდა დანაწილდეს.

საჭიროა აგრეთვე სარეწაო კოოპერაციამაც გაგზავნოს ადგილებზე შინელები, შეკერილი ტანისამოსები, ჩუსტები და სხვა, რაც გლეხის ყოველ დღიურ საჭიროებას შეადგენს.

ელ. ჩხიკვაძე.

ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობათა კავშირმა მოაწყო სამი ბრიგადა ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მოსავლის აკრეფის კამპანიის შესამოწმებლად. ბრიგადები გაიგზავნა საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში.

ამ ბრიგადებიდან მიღებული პირველი ცნობები მოწმობენ, რომ ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობები წელს გაცილებით უკეთ არიან მომზადებული მოსავლის აკრეფის კამპანიისათვის, ვინემ შარშან იყვნენ. ამის გამო მოსავლის აკრეფას კოლმეურნეობებში მოუნდება 18-20 პროცენტით ნაკლები სამუშაო დღე, ვინემ შარშან.

### რადიო-ლაშქრობა პურის დამზადებისათვის

ა.-კ. პროფსაბჭო რადიოცენტრთან ერთად აწყობს ა.-კ. ფედერაციაში რადიო-ლაშქრობას პურის დამზადებისათვის. ნაციონალურ რესპუბლიკებში ეწყობა ბრიგადები ლიტერატურული მუშაკების და რადიო-ტეხნიკოსებისაგან, რომლებიც გაემგზავრებიან ადგილებზე, პურის დამზადების კამპანიის მნიშვნელობის განმარტებასთან ერთად ბრიგადები ადგილებზე გამოსცემენ რადიო-გაზეთებს.

### მუშების მონაწილეობა პურის დამზადებაში

გაიხსნა კურსები იმ მუშებისათვის, რომლებსაც საქართველოს პროფსაბჭო პურის დამზადებაზე ჰგზავნის. კურსებზე იმეცადინებს 45 ყველაზე მტკიცე, პოლიტიკურად გამობრძმედილი მუშა, რომლებიც არჩეული არიან საერთო კრებებზე, 18 ივლისს ისინი გაემგზავრებიან საქართველოს პურის დამზადების რაიონებში ერთი თვის ვადით.

### მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობების გაძლიერება

ამიერ-კავკასიაში მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობების გასაძლიერებლად და განსავითარებლად ჩადებულია 6.500.000 მანეთი. პირველ რიგში სდება მესაქონლეობის კოლმეურნეობებში საქონლის რაოდენობის გადიდება; ამჟამად სულ ამ მეურნეობებში მოიპოვება 2.800 სული მსხვილფეხა საქონელი. უცხოეთიდან გამოწერილი იქნება 800 სული ჯიშიანი საქონელი, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში დაკვეთილი იქნება 2.000 სული საქონელი.

## შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის № 158 მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელში დაბეჭდილ ამხ. ფილიაშვილის წერილში გაიპარა შეცდომა: მესამე სვეტის მეორე აბზაცში ზევიდან სწერია, „6048 ტრაქტორიდან სამივე სადგურში მუშაობას გაცდენა უამინდობის გამო გამოიხატება 37,1 პროც.," უნდა იყოს: „6048 ტრაქტორო-დღიდან სამივე სადგურში" და სხვ.

**დღეს, 10 ივლისს, 11 საათზე, სა ხ. მეურნეობის მუშაკთა კლუბში გაიხსნება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ მოწვეული თათბირი,** რომელსაც უნდა დაესწრონ: საქ. კ. პ. (ბ) საოლქო, სამაზრო და თბილისის ორგ. რაიონულ კომიტეტების კულტპროპგანყოფილებათა გამგეები, საოლქო აღმასკომების სახ. განათლების განყოფილებათა გამგეები, ავტონომიურ რესპუბლიკათა განსახკომები, ა. ლ. კ. კ. ცეკას თბილისის, კახეთის და ოზურგეთის საოლქო და სამაზრო კომიტეტების განათლებისა და ყოფა-ცხოვრების განყოფილებათა გამგეები და ყველა პროფკავშირები, სოფლის კავშირის, მიწსახკომის, ა. კ. და საქ. ხ. მ. უ. ხ. „საქართველოს ჩაი"-ს და ცეკავშირის კადრების სექტორთა გამგეები.

**დღის წესრიგი:**

1) სახალხო განათლების სისტემის შესახებ (ათწლედების რეორგანიზაცია და სხვ.).
2) სახალხო განათლების ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ;
3) პარტგანათლების შედეგები და ამოცანები.

აღნიშნულ ამხანაგების დასწრება სათანადო მასალებით სავალდებულოა.

თათბირზე მოწვეულნი არიან აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) ც. საკ. კომისიის და მუშგლეხინსპ. კულტსექტორის მუშა-კები.

# ქრონიკა

### გერმანელი სპეციალისტის მოწვევა

თბილისში ჩამოვიდა გერმანელი სპეციალისტი ინჟ. ჰანს ბაუერი, რომელიც მოწვეულია ამიერ-კავკასიის ქაღალდისა და ტყის მეურნეობის ტრესტის მიერ.

ინჟ. ბაუერი მოწვეულია ორი წლის ვადით.

### მანქანები საფ.-საქარხ. სკოლებისათვის

საქ. ს. მ. ც. საბჭოში დასმულია საკითხი ფაბრიკა-ქარხნებში გამოუსადეგარი მანქანებისა და მოწყობილობების საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისათვის გადაცემის შესახებ. ამ საკითხის წამოჭრა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მთელ რიგ ქარხნებში ზოგიერთი მანქანები გამოუსადეგარათაა და ამავე დროს კი საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს არ გააჩნიათ მოწყობილობები, რომ მოსწავლეები პრაქტიკულად ამეცადინონ.

### თავდაცვა - ავიაქიმის საგზაო - სატრანსპორტო საბჭოს პრეზიდიუმი

შესდგა ახლად არჩეულ თავდაცვა-ავიაქიმის საგზაო-სატრანსპორტო საბჭოს პირველი პლენუმი, რომელმაც აირჩია პრეზიდიუმი და თავმჯდომარე.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნა ჩვიდმეტი ამხანაგი.

საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. გიორგი ქავთარაძე.

### მუშების მონაწილეობა გეგმების შედგენაში

ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელ ორგანოებმა დადებითად გადასწყვიტეს სახელმწიფო მრეწველობის გეგმების შედგენის საქმეში მუშების ჩაბმის საკითხი. ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ ამ მიზნით გასცა დირექტივა 60 მუშის გამოყოფის შესახებ, ეს მუშები კონსულტანტების სახით მონაწილეობას მიიღებდნენ სხვადასხვა ორგანოების მუშაობაში, საკონტროლო ციფრების და ხარჯთ-აღრიცხვების შესადგენად 1930-31 საოპერაციო წლისათვის,

### სასოფლ. კოლმეურნეობათა კავშირების ლიკვიდაცია

ამიერ-კავკასიის „სოფლის კავშირმა" და ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობათა კავშირმა აღძრეს კოლმეურნეობათა სასოფლო კავშირების ლიკვიდაციის საკითხი. კოლმეურნეობათა სასოფლო კავშირების ხარჯზე გაძლიერებულ უნდა იქნას რაიონული კოლმეურნეობათა კავშირები. ორგანიზაციული ეფექტის გარდა, კოლმეურნეობათა სასოფლო კავშირების გაუქმება იძლევა საშუალოდ 537.000 მანეთის ეკონომიას.

### სამუშაო ხელფასის სისტემის უნიფიკაცია ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატმა და ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭომ დაამუშავეს პროექტი სამუშაო ხელფასის უნიფიკაციის, ამიერ-კავკასიის ფედერაციაში.

### მუშათა მომარაგების კომისია

თბილისში ჩამოყალიბდა ამიერ-კავკასიის კომისია, რომელიც იზრუნებს მუშებისათვის საქონლის მომარაგების საკითხებზე. კომისიაში შედის 2 წარმომადგენელი ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოდან და თითო—რესპუბლიკანური პროფსაბჭოებიდან, 5—ვაჭრობის სახალხო კომისარიატიდან, 4—სამომხმარებლო კოოპერაციიდან და ერთი ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატიდან. კომისიის შემადგენლობაში შეყვანილი იქნებიან დაზგის მუშები: ორი სომხეთიდან, 4 აზერბეიჯანიდან და 3 საქართველოდან. რესპუბლიკანურ ცენტრებში დაარსდება ამ კომისიის ფილიალები.

### სპეც-ტანისამოსი ტრაქტორისტებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის

„ზაკსოიუზმა" დირექტივა მისცა ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკანურ კავშირებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ სპეც-ტანსაცმლების დამზადებას საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტებისა და მუშებისათვის. სპეც-ტანსაცმლების პირველი პარტია უკვე გაიგზავნა ადგილებზე. სპეცტანსაცმლებს ამზადებს შინამრეწველთა კოოპერაცია.

### ახალი შეღავათიანი ტრამვაის ბილეთები

საქართველოს პროფსაბჭო შეუთანხმდა ტრამვაის დირექციას, რომ ყველა მუშებს (ხელფასის რაოდენობის მიუხედავად), რომელნიც საწარმოებიდან დაშორებით სცხოვრობენ, მიეცეს ახალი შეღავათიანი ტრამვაის ბილეთები. ახალი ბილეთები გამოიანგარიშებული თვეში 48 მოგზაურობაზე, თვიური ბილეთი ღირს 2 მანეთი. შეღავათიანი ბილეთები ეძლევათ მოსამსახურეებსაც, რომელნიც 50 მანეთამდე ხელფასს ღებულობენ. ახალ ბილეთებს გასცემს ტრამვაის დირექცია ფაბქარხადგილკომების მიერ წარდგენილი სიებით.

### ს. ს. პ. ინსტიტუტის სტუდენტების საყურადღებოდ

სამშენებლო ფაკ-ტის საინჟინერო ნაგებობათა სპეციალობის სტუდენტებმა 15 ივლისამდე უნდა აცნობონ დეკანატს, თუ რომელ ინსტიტუტში სურთ ჩარიცხვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დეკანატის მიერ იქნებიან ჩარიცხული რომელიმე ინსტიტუტში.

### თბილისის აღმასკომში

◆ **შეღავათი მილიციელებს.** თბილისის აღმასკომის დადგენილებით მილიციელებს საბინაო ქირის გადახდაში ეძლევათ 25 პროც. შეღავათი.

◆ **კურსები-კონფერენცია.** მოსავლის აღებ კამპანიაში მონაწილე მუშაკების მოსამზადებლად, თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა გახსნას სამდღიანი კურსების-კონფერენცია.

◆ **განათლების მუშაკთა დასასვენებელი კუთხე.** თბილისის აღმასკომმა გადასდო 500 მანეთი განათლების მუშაკთათვის საზაფხულო დასასვენებელი კუთხის მოსაწყობად. კუთხე მოწყობილი იქნება განათლების მუშაკთათვის საზაფხულო დასასვენებელი კუთხის მოსაწყობად. კუთხე მოწყობილი იქნება განათლების მუშაკთა სახლის ეზოში.

### სხვადასხვა

◆ **უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებათ.** უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელათ განცხადებების მიღება სწარმოებს თბ. აღმასკომის განათლების განყოფილებაში, სადაც საამისოთ გამოყოფილია სპეციალური ბიურო.

◆ **მოსახლეობის ჯანმრთელობის გამოკვლევა ბორჯომის რაიონში.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა მიმდინარე ზაფხულის ბოლოს ჩაატაროს მოსახლეობის ჯანმრთელობის გამოკვლევა ბორჯომის რაიონში.

◆ **ნავთლუღის ნავთის გამოკვლევები.** საქ. ნავთის ტრესტის ცნობებით ნავთლუღის ველზე ნავთის საძიებელ სამუშაოთა წინასწარი გამოკვლევები დამთავრდება 25 ივლისისათვის.

◆ **ხანძართან ბრძოლის ათდღიური.** დღეს მთელ რესპუბლიკაში მთავრდება ხანძართან ბრძოლის ათდღიურის კამპანიის ჩატარება.

# თბილისის დაყოფა განაპირა და ცენტრალურ უბნებად

თბილისის აღმასკომში შემოდის დიდძალი საჩივრები იმის გამო, რომ ზოგ სახლებში მდგმურებს საბინაო გადასახადს ახდევინებენ უკანონოდ. ხშირად ქალაქის განაპირა უბნებში მცხოვრებთ საბინაო გადასახადს ახდევინებენ ქალაქის ცენტრალური უბნების ტარიფით. საბინაო ტარიფი კი ქალაქის განაპირა და ცენტრალური უბნებისათვის სხვადასხვაა.

გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად თბილისის აღმასკომმა შეიმუშავა ქალაქის განაპირა და ცენტრალურ უბნებათ განაწილების გეგმა, რომლის მიხედვით იქნება ნაანგარიშები ბინის ქირა.

**ქალაქის განაპირა უბნებათ ითვლება:**

**1-ლი სამილიციო რაიონიდან**—ლენინის მთელი რაიონი და ლენრაიონის იქეთ მდებარე ტერიტორია ღრმა ღელემდე (საბჭოს ქუჩა ჩოდრიშვილის ქუჩამდე ითვლება ცენტრად). ამავე სამილიციო რაიონიდან დიდუბის ხრამის, დიდუბის ეკლესიის, დიდუბის ქუჩის და საბარგოშუმო სადგურის იქით მდებარე ტერიტორია (გარდა დიდუბის ქუჩისა, რომელიც მიჩნეულია ცენტრად), ქალაქის ადმინისტრატიულ მიჯნამდე.

**მე-2 სამილიციო რაიონიდან**—რკინის გზის იქით მდებარე მთელი ტერიტორია (ყოფ. „ნადიროვკა", „დოლუხანოვკა", სემინარიის ახალშენი და ყაზარმების მახლობელი ადგილები).

**მე-3 სამილიციო რაიონიდან**—რკინის გზის და კახეთის ქუჩის მარჯვენივ მდებარე ტერიტორია (მდ. მტკვარის მარჯვენა მხარე) ქალაქის ადმინისტრატიულ მიჯნამდე.

**მე-4 სამილიციო რაიონიდან**—ბოტანიკური ბაღის ჩრდილოეთის, თათრის შესახვევის, ტაგი-ზადეს ქუჩის ნაწილის, მასნიკოვის ქ. ნაწილის და 300 არაგველთა ხიდის იქით მდებარე ტერიტორია (მტკვრის გაყოლებით) ქალაქის ადმინისტრატიულ მიჯნამდე. მასნიკოვის სახელობის ქუჩა № 1 გამასახლამდე და ტაგი-ზადეს (ყოფ. სურფ-სარქისის) ქუჩა ითვლება ცენტრად. შინდისის ქუჩის, შემოსასვლელის შესახვევის და კათოლიკეთა სასაფლაოს იქეთ მდებარე ნაწილი სოლოლაკის ხრამით ითვლება გარე უბნათ, ხოლო ამაღლების ქუჩა—ცენტრად.

**მე-5 სამილიციო რაიონიდან**—საბურთალო მდ. ვერის მარცხენა მხრიდან ქალაქის ადმინისტრატიულ მოედნამდე, ვაკე-ვარაზის ხევის მარცხენა მხრიდან ბოლომდე, თერგის და გოგებაშვილის ქუჩების იქეთ მდებარე მთელი ტერიტორია (თერგის და გოგებაშვილის ქუჩები—ცენტრს ეკუთვნიან), ძეგამის შესახვევის, ჭრებალოს შესახვევის, გრაკალის შესახვევის, თავშესაფარის ქუჩის ნაწილი (მე-3 თავშესაფარის ჩიხამდე), ყიფიანის შესახვევის და აუზის შესახვევის იქეთ მდებარე ტერიტორია. ყველა დასახელებული ჩიხები, შესახვევები და ქუჩები.

ქალაქის მთელი დანარჩენი ნაწილი ითვლება ცენტრად.

# ხანძარი მცხეთაში

(ტელეფონით საქ. კორესპონდენტისაგან)

9 ივლისს, დღის 1-ლ საათზე ცეცხლი გაუჩნდა მცხეთის კოლექტივის რამდენიმე ათას ფუთ თივას, რომელიც სოფლის შუა ადგილას იყო თავმოყრილი, ცეცხლი მძლავრად მოედო მთელ ზვინს, რადგან ქროდა ძლიერი ქარი. ცეცხლის ჩაქრობაში ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მცხეთის ყველა წარმოება-დაწესებულების მოსამსახურენი. ნახევარ საათში ცეცხლმა საშინელი ხასიათი მიიღო და მთელ სოფელს ემუქრებოდა გადაწვით. გამოძახებულ იქნა თბილისის ცეცხლის მქრობელი რაზმი, ცეცხლი ჩაქრობილ იქნა მხოლოდ 2 საათის შემდეგ.

ზარალი დაახლოებით 2.000 მანეთს უდრის. ხანძრის გაჩენის მიზეზებს იკვლევენ.



რიონჰესის მშენებლობა

# საქ. სამშენებლო ინსტიტუტში მიღების წესი 1930—31 წლისათვის

1. საქ. სამშენებლო ინსტიტუტთან ჩამოყალიბებულია ორი ფაკულტეტი:
ა) საინჟინერო ნაგებობათა და
ბ) სახუროთმოძღვრო.

2. ორივე ფაკულტეტზე მიღებულ იქნება 1930-31 სამოსწავლო წელში სულ 155 მსმენელი ყოველივე გამოცდის გარეშე. მეცადინეობა იწარმოებს მხოლოდ ქართულ ენაზე. მისაღებ მსმენელთა რიცხვი განაწილებულია ოლქებზე, მაზრებზე და ავტონომიურ რესპუბლიკებზე შემდეგი სახით:

| | | |
|---|---|---|
| 1) თბილისის ოლქი | 40 | ადგილი |
| 2) კახეთის ოლქი | 10 | „ |
| 3) გორის ოლქი | 10 | „ |
| 4) ქუთაისის ოლქი | 20 | „ |
| 5) ახალქალაქის მაზრა | 5 | „ |
| 6) ახალციხის მაზრა | 5 | „ |
| 7) ზუგდიდის მაზრა | 10 | „ |
| 8) სენაკის მაზრა | 10 | „ |
| 9) ოზურგეთის მაზრა | 10 | „ |
| 10) ფოთის რაიონი | 10 | „ |
| 11) აჭარისტანი | 10 | „ |
| 12) სამხრეთ-ოსეთი | 5 | „ |
| 13) აფხაზეთი | 10 | „ |

3. მსმენელთა შერჩევის მიზნით ოლქებში, მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში არსდება შერჩევი კომისიები ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის (თავმჯდომარე) პარტიულ კომიტეტის, ახალგ. კ. კ. კომიტეტის, განათლების განყოფილების და პროფკავშირების წარმომადგენლობის შემადგენლობით.

4. შერჩევ კომისიების ამოცანას შეადგენს: სამშენებლო ინსტიტუტში მისაღებ პირთა სიის შედგენა კომისიაში შეტანილ განცხადებების მიხედვით კლასიურ ხაზის მტკიცე დაცვით.

მიღებულთა სია კომისიის ოქმთან და მსმენელთა სათანადო საბუთებთან ერთად იგზავნება ცენტრალურ მიმღებ კომისიაში, რომელიც დანიშნულია საქ. ს. მ. ც. ს. პრეზიდიუმის მიერ საქ. სმუს-ის, საქ. პროფკავშირების, საქ. კომპარტიის ცეკას, საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას, განსახკომის, ადგილობრივ კომიტეტის, პროლეტ. სტუდენტთა ბიუროს წარმომადგენელთა შემადგენლობით და სამშენებლო ინსტიტუტის დირექტორის თავმჯდომარეობით.

5. საქ. სამშენებლო ინსტიტუტში შემსვლელთათვის საჭიროა შემდეგი საბუთები:
ა) განათლების მოწმობა,
ბ) წლოვანების მოწმობა გაცემული მმაჩის მიერ ან მეტრიკული ამონაწერი.

შენიშვნა: შემსვლელი პირის წლოვანება უნდა იყოს არა ნაკლებ 17 წლისა და არა უმეტეს 35.

გ) სამხედრო ბეგართან დამოკიდებულების მოწმობა.
დ) ჯანმრთელობის მოწმობა გაცემული სამკურნალო დაწესებულებიდან.
ე) მოწმობა სოციალური მდგომარეობის შესახებ.
ვ) ცნობა შრომის სტაჟის შესახებ გაცემული სახ. დაწესებულებიდან, საწარმოდან ან პარტიულ და პროფორგანიზაციის მიერ.
ზ) ცნობა იმის შესახებ, რომ ინსტიტუტში შემსვლელი პირი და მისი მშობლები არ არიან მოკლებული საარჩევნო ხმის უფლებას.
თ) რაიაღმასკომიდან მოწმობა 1928—29 წელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობის შესახებ (გლეხებისათვის და მათ შვილებისათვის).
ი) სამი ფოტოგრაფიული სურათი.

შენიშვნა: წარდგენილ უნდა იქნას ყველა საბუთების დედანი თითო ასლით.

6. სამშენებლო ინსტიტუტში არ მიიღებიან საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებული, არაშრომითი შემოსავლით მცხოვრებნი, მათი შვილები და ის პირნი, რომელნიც მიცემული არიან პასუხისგებაში.

7. სამშენებლო ინსტიტუტში შემსვლელთა შორის მუშები, და მათი შვილები უნდა შეადგენდნენ საერთო რაოდენობის 75 პროცენტს.

8. მეოთხე და მეხუთე მუხლში აღნიშნული საბუთები ადგილობრივ შერჩევ კომისიის მიერ უნდა გადმოიგზავნონ ცენტრალურ მიმღებ კომისიაში 20 ივლისიდან 10 აგვისტომდე შემდეგი მისამართით: თბილისი, საქ. სმუს-ი, პუშკინის ქ. № 3, კადრების განყოფილება, მიმღებ კომისიას.

შენიშვნა: ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების და მაზრების მიმღები კომისიები თვით აწყობენ განცხადებების მიღების ვადას.

9. მეორე მუხლში აღნიშნული ნორმებზე ზევით და მერვე მუხ. გათვალისწინებული ვადის გარეშე გადმოგზავნილი კანდიდატები სამშენებლო ინსტიტუტში არ მიიღებიან.

10. ის პირნი, რომელნიც სამშენებლო ინსტიტუტში სწავლის დაწყების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში არ გამოცხადდებიან, გამორიცხულნი იქნებიან მექანიკურად და მათი ადგილები შეივსება სათანადო კანდიდატებით.

საქ. სმუს თავმჯდომარე **საგაშვილი**
ინსტიტუტის დირექტორი **შ. გაბრიჩიძე.**

# შემთხვევები

### მკვლელობა

ელბაქიძის დაღმართზე ოვანეს მანუკის ძე თათეოსიანცმა (მცხ. სასტუმრო „ინტერნაციონალში") „ბრაუნინგი"-ს სისტემის რევოლვერით მოკლა თავისი ყოფილი ცოლი ხმარა მანდელოვა. გვამი გადაგზავნილია ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

### დაჭრა

უცნობმა ბოროტმოქმედმა ხანჯლით დასჭრა მტელის არეში ოვანეს გაბრიელის ძე ბაღდასაროვი (ძერჟინსკის ქუჩა № 7), რომელსაც აღმოუჩინეს საექიმო დახმარება და მოათავსეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

### ქურდობა

გაქურდეს რადი მელანქოვის ბინა (პლეხანოვის პრ. № 74), საიდანაც მოიპარეს 250 მან. საღირალი ნივთები,—მარიამ დურსუნას (მოსკოვის ქუჩა № 10) მოჰპარეს 250 მან. ნივთები.

### ნაპოვნი ნივთები

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი „ბობრიკის" პალტო, პატრონი გამოცხადდეს სისხლის სამართლის მილიციაში ოთახი № 8-ში ამხ. კ. ასლანიკაშვილთან.

### უსაფუძვლო ბრალდება

ნინა ვიგის ასული პაპიჯანოვა, რომელსაც ქურდობა დააბრალა მისმა ნათესავმა სტეფანე გამაზოვმა, სასამართლომ გაამართლა ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო.

# რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 10 ივლისი

**დილით** (8 ს. 30 წ. 9 ს. 30 წუთამდე) „მუშათა შუადღე", პროგრამაშია ახალი ამბები და კონცერტი.

**საღამოთი** 10 კილოვატიან რადიო-სადგურით გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა: გადაცემა ბავშთათვის ქართულ ენაზე; რადიო აგზეთი ქართულ ენაზე; გადაცემა სოფლისათვის; ექიმის საუბარი, ქართულ ენაზე; აღმოსავლური მუსიკის საათი, გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები; კონცერტი რადიოსტუდიიდან რადიო მსმენელთათვის, ჟურნალი „ნა რუბეჟე ვოსტოკა" რუსულ ენაზე რადიოთი; უკანასკნელი ცნობები; ინფორმაცია მე-16 პარტყრილობის შესახებ.

# ოფიციალური განყოფილება

## შეცდომის გასწორება

გაზ. „კომუნისტი"-ს 159 №-ში (1930 წ. ივლისის 9-ს) „საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო განათლების სკოლების რეორგანიზაციის შესახებ". გამოქვეყნებულ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების პირველი მუხლის „გ" პუნქტი დაბეჭდილია შეცდომით და იგი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„გ) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი გადაკეთდეს საფინანსო-კოოპერატიულ ინსტიტუტად და გადაეცეს იგი სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური კავშირს—„ცეკავშირი"—გამგებლობაში; ამ გამგებლობაში მონაწილეობას მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრალური კავშირი,—სოფლის კავშირი, ა. კ. სფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული (საქართველოს სსრ-ში) სამეურნეო, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი".

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. ბ) ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-მასიური განყოფილება იუწყება, რომ, დღეს, 10 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ოთახი № 13-ში, მოწვეულია თათბირი ტრანსპორტის მომზადების საკითხის განსახილველად შემოდგომის ტვირთზიდვის შესახებ. ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება თათბირზე სავალდებულოა დაუგვიანებლად. ამხ. პოზდეევი და ორჯონიკიძე (ამიერ-კავკ. რკინის გზების დირექცია), ხაჩიევი, ხარაბაძე (საგზაო კომიტეტი), ეჟარაძე (საუბნო კომიტეტი), რუხაძე (სტალინის სახ. შემკეთებელი ქარხნის ქარხკომი), ჟორჟოლაძე შემკეთ. ქარხნის კოლექტივის ბიურო), ასრიბეკოვი და ბეღელაძე (თბ. სოლქო კომიტეტი), მაჭავარიანი და სუკოიანი (საქ. პროფსაბჭო), რაზმაძე, ბაბულიძე და ლადცი (შემკეთებელი ქარხანა), სატრანსპორტო კავშირიდან: ივანიშვილი და ბაგრატიანი,, ადგილობრივი ტრანსპორტიდან—ანდღულაძე, ქალაქის აღმასკომიდან—ავაქოვი, „სოფზნეპიდან"—იდან—მაკალსკი, შინამრეწველობიდან — ანთიძე, კომკავშირის ცეკადან ბეროზაშვილი საგზაო ტრანსპორტიდან — მაღრაძე, ამიერ - კავკ. საგზაო ტრანსპორტიდან—ჯორჯაძე, საზღვაო-სავაჭრო ფლოტიდან—ხაჩიევი.

—

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ ცენტრალური კომიტეტის განმანაწილებელ განყოფილებაში:

ართურ კალანდაძე (საქ. ს. მ. უ. საბჭო), კ ხოშტარია (გლესკომი), ალექსანდრე უბირია ა. ვაშაძე („ზაკგოსტორგი"), ხორენ აყვეტისოვი (მუშკოოპი), კალატოზოვი (ა.-კ. სას.-სამ. ბანკი), ძაგანია (მუშკოოპი), სიჭინავა (ოსეტ. სახ. კომ.), ნაფეტვარიძე (ა.-კ. მეხილ.-მებოსტნ. კავშ.), ნიკოლოზ ბახტაძე (ა.-კ. რკ. გზ. მშენებელ.).

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-მასიური განყოფილება იუწყება, რომ ხვალ, 11 ივლისს, საღამოს სრულ 7 საათზე, ოთახ № 13-ში შესდგება გაფართოებული თათბირი შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საკითხის განსახილველად. ქვემოდ დასახელებული ამხანაგები თათბირზე უნდა გამოცხადდენ სათანადო მასალებით დაუგვიანებლივ: საქართველოს მიწსახკომიდან: . ჟუღელი, გაბუნია, ხუნდაძე, ღოლობერიძე, სვეციკი, ეფრემიძე და ხაჭაპურიძე; „სოფლის კავშირიდან": გეგარიანი, მოწონელიძე, ბიგვავა, ჩხიკვაძე, ბახტაძე; მესაქონლების კავშირიდან: დევდარიანი და სერგო თავდიშვილი; კოლმეურნეობის ცენტრიდან: კონდრატია, სარქისოვი და მჭედლიძე; საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებიდან: არუთინოვი; სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან: წულუკიძე, სავეგმო კომისიის და მისი სასოფლო-სამეურნეო სექციის წარმომადგენელი; სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირიდან: ცხოვრებაშვილი; საქ. კ.პ. (ბ) თბილისის სოლქო კომიტეტიდან: ასრიბეკოვი და ბეღელაძე; საქართველოს პროფსაბჭოს სოფლად მუშაობის განყოფილებიდან: სტეფანოვი; საქ. ლენ. კომკავშირის ცეკადან: ბეროზაშვილი და ბერბერაშვილი; განათლების სახალხო კომისარიატიდან: მარიამ ორახელაშვილი და ორაგველიძე; სახ. გამომცემლობიდან: ბიბინეიშვილი; სახკომზეწვიდან: ამირალოვი; საქ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოდან: ციერაშვილი; რადიო-ცენტრის გამგე; გაზ. „კომუნისტი"-ს, „კოლექტივიზაცია"-ს და „ახალ [illegible]" და კომუნისტი"-ს რედაქტორები და „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქციის წარმომადგენელი.

—:—

დღეს, 10 ივლისს, საღამოს 7 საათ. მოწვეულია სამთო მეტალურგიული ინსტიტუტის კომუჯრედის და კომკავშირის გაერთიანებული კრება უპარტიოებთან ერთად.

---

საზაფხულო
აპოლო
(დარბაზის ბაღში)
1-ლი სეანსის დასაწყისი 9 ს.

უცხოეთის ახალი სურათი
უყვირილი ღამეში
პროგრამის გარეშე
დავიდოვის გასტროლები
(გავაის გიტარა)

საზაფხულო
ეთერი
1-ლი სეანსის დასაწყისი 9 საათზე.

პატი & პატაშონი კომედიაში
პარიერის დასაწყისი
პროგრამის გარეშე დავიდოვის გასტროლები

სპარტაკი
(ყ. არფახტო)
1 ლი სეანსის დასაწყ. 7 ს.

სოლეი
1-ლი სეანსის დასაწყ. 7 ს.

საზამთრო
აპოლო

მხატვრული ფილმი
ადამიანის ფასი

მხატვრული სურათი
ნილაბი მოხსნილია
(ბელვედერის ჩრდილები)

გლორია სვენსონი
საუკეთესო სურათში
„მისი" ქმარი

საზაფხულო
პალასი
1-ლი სეანსის დასაწ. 7 საათ.

პრემიერა
ვინაა დამნაშავე?
რეჟ. დოქ. პ. გალკინი

კოლიზეუმი (ყოფ. ბ. ბ. ზ. ნიკო)
დამსახურებული სახალხო არტისტები მოსკვინი და მალინოვსკაია სურათში
კოლეჟსკი რეგისტრატორ

სახელმწიფო ოპერის თეატრი
ქართული დრამის თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
ხუთშაბათს, 10 ივლისს
ჰაჰალ გულში
მეოთხე აბონემენტი
პარასკევს, 11 ივლისს
ხ ა ტ ი ჯ ე
მეორე აბონემენტი
შაბათს, 12 ივლისს
ურიელ აკოსტა
მესამე აბონემენტი.
წარმოდგენების დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე

დაიწყო ავადმყოფების მიღება
ახალ ბინაზე
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ სნეულებანი
ელექტრო-სინათლის კაბინეთი
პეტრიაშვილის ქუჩა (უდელის) № 11,
მიღება საღ. 7 8 ს. ტელეფ. 21—45

# განცხადება

## პურის წიგნაკების რეგისტრაციის ჩამტარებელი კომისიისა

პურის წიგნაკების რეგისტრაციის ჩამტარებელი კომისია ქ. თბილისში მცხოვრებ მოქალაქეთა საყურადღებოთ აცხადებს შემდეგს:

1) თანახმად თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა, ა. წ. 11 ივლისიდან 15 ივლისამდე იწარმოებს ქ. თბილისში პურის წიგნაკების რეგისტრაცია.

2) პურის წიგნაკები იქნება გატარებული რეგისტრაციაში სპეციალური რეგისტრატორების (რეველების) მიერ ბინების ჩამოვლით.

3) პურის წიგნაკები იქნება გატარებული რეგისტრაციაში საბინაო დავთრის ცნობების მიხედვით.

4) რეგისტრაციის სახელმძღვანელოდ თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელიც გაუწევს უშუალო ხელმძღვანელობას მთელ სარეგისტრაციო მუშაობას.

5) პრაქტიკულად რეგისტრაციის სახელმძღვანელოდ ქ. თბილისში დაარსებული იქნება პურის წიგნაკების სექციის ათი პუნქტი თითოეული პუნქტი დაიყოფა 5 საინსტრუქტორო რაიონად და საინსტრუქტორო რაიონები—კი დაყოფილი იქნება სარეგისტრაციო უბნებათ და კვარტალებათ.

6) პურის წიგნაკების სექციის პუნქტები მოთავსებული იქნება შემდეგი მისამართით:

პუნქტი № 1—საბჭოს ქ. № 141.
„ № 2—შრომის ქ. № 1.
„ № 3—გორის ქ. № 4.
„ № 4—პლეხანოვის პროსპექტი № 113.
„ № 5—ცხრამეტი თებერვლის ქ. № 28.
„ № 6—კახეთის ქ. № 26.
„ № 7—ლერმონტოვის ქ. № 21.
„ № 8 ძნელაძის ქ. № 20.
„ № 9—მლეთის და ვარდის უბანი № 11.
„ № 10- საბურთალოს ქ.

7) პურის წიგნაკების რეგისტრაცია იწარმოებს შემდეგი წესით: რეგისტრატორები სახლებში გამოცხადდებიან დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე და სახლებში გამოცხადებისას მიმართავენ სახლის მმართველობას-საბინაო დავთრებისათვის და შემდეგ სახლის მმართველობის წარმომადგენელთან ერთად ჩამოივლიან ყველა ბინებს (ოჯახებს), სათითაოდ პურის წიგნაკების რეგისტრაციაში გასატარებლად. მობინადრის ჩვენება შემოწმებულ უნდა იქნას სახლის მმართველობის ცნობებით, უკანასკნელი პასუხისმგებელია ცნობების სისწორით მოწოდებაში.

შენიშვნა: თუ მოქალაქე არ არის საბინაო დავთარში გატარებული, მიუხედავათ იმისა, რომ ფაქტიურად ის სცხოვრობს ქ. თბილისში, რეგისტრატორს უფლება ეძლევა მაინც გააუქმოს ეს წიგნაკი სათანადო შტამპის დასმით.

8) პურის წიგნაკების შემოწმების შემდეგ, რეგისტრატორი ასვამს პირველი ყდის შიგნითა მხარეზე, სათანადო სარეგისტრაციო შტამპს, სადაც აღნიშნავს სარეგისტრაციო პუნქტის და უბნის ნომრებს და აწერს ხელს. რეგისტრატორი ამავე შტამპით ამოწმებს საბინაო დავთარს იმ პირებზე, რომელთა პურის წიგნაკები გატარებული რეგისტრაციაში.

9) იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე არა წესიერად სარგებლობს პურის წიგნაკით, ე. ი. აქვს ზედმეტი სულის ან არაშესაფერი კატეგორიის პურის წიგნაკი, რეგისტრატორს უფლება ეძლევა გააუქმოს პურის წიგნაკი, ან სრულიად ჩამოართვას.

შენიშვნა: ა) რეგისტრატორი წიგნაკს აუქმებს იმ შემთხვევაში, თუ ერთ წიგნაკში გაერთიანებულია ოჯახის, რამოდენიმე წევრი, და აღნიშნულ წიგნაკიდან გამოსაკლებია მხოლოდ რამოდენიმე სული, ან შესაცვლელია სხვა კატეგორიის პურის წიგნაკზე. წიგნაკი უქმდება სათანადო შტამპის დასმით პურის წიგნაკის შიგნითა მხარეზე, შტამპში აღინიშნება, თუ რამდენი სულის ან რა კატეგორიის წიგნაკზე უნდა შეიცვალოს ის.

ბ) იმ შემთხვევაში კი, თუ წიგნაკი სრულიად ზედმეტია, ასეთ წიგნაკს რეგისტრატორი ჩამოართმევს და გასცემს სათანადო ხელწერილს, თუ რა მიზეზით ჩამოერთვა წიგნაკი და რამდენი სულის. ხელწერილზე დაუსვამს სარეგისტრაციო შტამპს, რომელშიდაც აღინიშნავს სარეგისტრაციო პუნქტის და უბნის №№-ბს.

10) გაუქმებული პურის წიგნაკები, რომელნიც უნდა შეიცვალოს ნაკლები სულადობის ან სხვა კატეგორიის პურის წიგნაკზე, თანახმად წიგნაკზე დასმული შტამპისა, წარდგენილ უნდა იქნეს პურის წიგნაკების სექციის პუნქტში, ახალ პურის წიგნაკზე შესაცვლელად.

11) ვინაიდან რეგისტრაციის ძირითად ამოცანას შეადგენს გამოკვლევა თუ რამდენად წესიერად სარგებლობს პურის წიგნაკით მოქალაქენი არა მარტო სულადობის მხრივ, არამედ კატეგორიის მიხედვითაც, მოქალაქეთა საყურადღებოთ კომისია აცხადებს, რომ ლიტ. „ა" პურის წიგნაკი ეძლევა მხოლოდ ქვემოაღნიშნულ კატეგორიის მოქალაქეებს:

ფაბრიკა-ქარხნების საწარმოთა, რკინის გზის, კავშირ-გაბმულობის, კომუნალური მეურნეობის, საბჭოთა მამულების მხოლოდ ფიზიკური შრომის მუშებს, წითელ არმიის მეთაურთა და უფროსშემადგენლობას, სამუშაობრო მილიციას, გასამხედროებულ პოლიტსამმართველოს რაზმს და პოლიტსამმართველოს თანამშრომლებს, საწყობის მუშებს, გადამზიდავებს, მტვირთავებს, დარაჯებს, შვეიცარებს, მრეცხავებს, დაწესებულებაში მომუშავე დამლაგებლებს, სანიტარებს, მესასთუმლეებს, ჭურჭლის მრეცხავებს, შინა-მრეწველ მუშებს, რომლებიც შედიან სარეწკოოპკავშირის სისტემაში, საბჭოთა სხვა და სხვა აპარატში წინ წაწეულ მუშებს, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში დღიდან წინ წაწევისა, ინჟინერებს და ტეხნიკოსებს, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ წარმოებაში და ფიზიკურ შრომის უმუშევარ მუშებს.

შენიშვნა: მოსამსახურეებს, გარდა ზემოაღნიშნულ კატეგორიებისა, არავითარ შემთხვევაში ლიტ. „ა" პურის წიგნაკი არ ეძლევათ, მიუხედავათ იმისა, სადაც არ უნდა მუშაობდნენ ისინი და რამდენ საათსაც დღეში.

12) ყოველივე გაუგებრობის შემთხვევაში, მოქალაქეებმა საკითხის გამოსარკვევად უნდა მიმართონ რაიონულ ინსტრუქტორებს ან დროებით პურის წიგნაკების სექციის პუნქტის ხელმძღვანელებს ზემოაღნიშნული მისამართით:

13) პურის წიგნაკების რეგისტრაციის პერიოდში, ყველა სახლის სამმართველოები, საბინაო კოოპამხანაგობები, კერძო სახლის მფლობელები, ვალდებულნი არიან საბინაო დავთარი მოიყვანონ წესრიგში და იქნენონ ადგილობრივ, სახლებში. მოქალაქეები, რომელთა წიგნაკები ტარდება რეგისტრაციაში, ვალდებული არიან იქონიონ თან რეგისტრაციის დროს მათი სოციალური მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთები.

14. ის მოქალაქეები, რომლებიც რამე მიზეზების გამო ზემოაღნიშნულ რეგისტრაციის პერიოდში ვერ მოახერხებენ პურის წიგნაკების რეგისტრაციაში გატარებას, შეუძლიათ შემდეგ, 15-დან 17 ივლისამდე გაატარონ თავის პურის წიგნაკები რეგისტრაციაში, პურის წიგნაკების სექციის მხოლოდ ზემოაღნიშნულ სარეგისტრაციო პუნქტებში და პურის წიგნაკების რეგისტრაციისათვის წარმოადგინონ საბინაო დავთარს და სოციალურ მდგომარეობის დამადასტურებელ საბუთს.

15. ის მოქალაქენი, რომლებიც დროებით არიან გასულნი ქ. თბილისიდან და ხელზე აქვთ პურის წიგნაკების სექციის მიერ გაცემული დუბლიკატები, პურის წიგნაკების ჩაბარების შესახებ, თბილისში ჩამოსვლისას ვალდებულნი არიან წარმოადგინონ პურის წიგნაკების სექციაში აღნიშნულ დუბლიკატთან ერთად, საბინაო დავთარი და სოციალური მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთი.

16) ყალბი ცნობების მიწოდებისათვის პასუხისმგებელი იქნებიან სისხლის სამართლის კანონის თანახმად, როგორც წიგნაკის მეპატრონეები, აგრეთვე სახლის მმართველობები და სოციალურ მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთების გამცემი ორგანიზაციები.

კომისიის თ-რე **ხ. დოლიძე.**

გამოვიდა და დაურიგდება ხელისმომწერლებს
ჟურნალ
„საქარ. ეკონომისტი"
№ 6.
შინაარსი:
I. წერილები
ი. ნარსია—მრეწვ. ორგანიზ. ახალი ფორმები ირ. მიქელაძე საქ. მრეწველობის ხუთწლიან გეგმაში შეტანილ ცვლილებ თა შესახებ.
გ. სარუხანოვი—მშენებლობის საკითხები კოლმეურნეობებში.
გ. გეტმანი—მეცილეობა უმთავრეს წარმოებელ ქვეყნებსა და ამიერკავკასიის ს.ფ.ს.რ. ში.
ბ. თევზაია—საბჭოთა მეურნეობები საქართველოში.
ქ. კალანდია—ბაჭიების მოშენების საკითხი საქართველოში.
პ. შენგელია—მუშათა საბინაო მშენებ. 5 წლიანი გეგმის შესახებ.
დ. ზავრიევი—ფასების პრობლემა საქართველოს პროდუქციის ექსპორტში სპარსეთისა და აღმოსავლეთ ანატოლიის ბაზარზე.
II. თეორიული განყოფილება:
ქ. მარქსი—შესავალი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის.
III. ადგილობრივი მეურნეობა.
აკ. ვეფხვაძე—ტფილისის ოლქის ადგილობრივი მრეწველობა.
ვალ. გამყრელიძე—ახალი საბჭოთა მეურნეობები ქუთაისის ოლქში.
შ. ჭილაძე საკოლმეურნეო მშენებ. ქუთ. ოლქში 1 წლ. განმავლობ.
IV. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია:
1) Проф. К. Я. Загорский. Экономика трансп. ბ. თევზაია.
2) С. А. Анучин и Г. Н. Кукин. Шелковая промышленность С.С.С.Р. პროფ. ლანდეს წინასიტყვაობით ა. კალაძე.
3) კაპიტალიზმი, სოციალიზმი და სოც.-დემოკრატია. ჰილფერდინგის წერილებისა და სიტყვების კრებული სეკრეტარის კრიტიკული შენიშვნით—ა. ნუცუბიძე ნ. 1031

ამით ცხადდება დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ 13 ივლისს დილის 10 საათზე მუშკოოპის საწყობში, კამოს ქ. № 38 გაიმართება
საჯარო ვაჭრობა
მუშკოოპის კუთვნილი ძველი მასალების გასასყიდად. ცნობებისათვის უნდა მიმართოთ მუშკოოპის სამეურნეო-სარემონტო განყოფილების გამგეს—ჟორესის ქ. (ყოფ. კირჩის), № 19, ტელეფ. № 21-75.
3634 მუშკოოპის გამგეობა.

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის საქ. ინსტიტუტში
მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).
მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური
მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობა, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენოთერაპია-თერაპია, ინგალაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა
შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.) ნერვიული და ქალის სნეულებანი.
კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დილის 12—1 საათამდე. პროფ. ლამბარაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. დოც. ი. კონიაშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმ.—11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.
ავადმყოფთა მიღება ყოველდღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე
ავადმყოფთა ჩაწერა დილის 8-დან 10 საათამდე.
საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ნახ. საათამდე, კვირას გარდა.
ნერვიულ ავადმ.—7—8 საათ. პროფ. ხ. ყიფშიძე, ნერვიული ფსიქოთერაპია ა. ფ. გოცირიძე—7—8 ყოველდღე.
შინაგან სნეულ.—5 6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე—ყოველდღე.
ქალის სნეულ. & სიფილისი—5—6 საათ. ექ. ხებასტიანსკი—ყოველდღე. ყური, ყელი, ცხვირი, 7—8 საათ. პროფ. ნ. აპპასოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ. ქირურგია & ქირურგია 7—8 საათ. პროფ. ა. წულუკიძე ყოველდღე. ბავშთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.
ქირა ავადმყოფთა განსხვავებით პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.
ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიური ანალიზების მიღება. მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87, 819
25—14 ნ.

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 13 ივლისს, დილის 10 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 872

გაზ. „კომუნისტი"-ს კანტორა
სთხოვს ხელისმომწერლებს,
განსაკუთრებით პროვინციელებს,
რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა რამე ცვლილებების შეტანა მათ მისამართებში, ან გაზეთებს უწესრიგოდ იღებენ, აუცილებლად აიღონ გაზეთიდან და გამოუგზავნონ წერილთან ერთად ის მისამართი, რომლითაც გაზეთი ეგზავნებათ.
წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი წერილები, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოდ იქნება დატოვებული.
ამასთან ერთად მისამართის შეცვლის მსურველნი მოვალენი არიან გამოუგზავნონ კანტორაში 25 კ. საკანცელარიო ხარჯების დასაფარავად. 0 8

# ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

**პ. ს. ფონ-ირცელი** პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვ. მოედნის მახლობლად)., სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, ხიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურება, ტრიპერი, ხიფილისის, ბუასილი-და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

**გ. ნ. ონანოვი** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე ქ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

**ა. ვ. მიქაბერიძე** პარიზში 1923 წ, დაამთავრა „ხილამაზის ინსტიტუტი" მახეჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის ხილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

**ნ. კონტოროვიჩი** თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მჭამელის, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. კურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

**პ. ი. ჯალალოვი** ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 3—1

**დ. ს. რიჟინაშვილი** კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, უოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. ხელ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ.-კუთხე. ტელ. 25—68. 25—2

**ი. ი. ბერიშვილი** ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების ხიფილისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

### ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

- რკ. გზ. კავშ. წიგნ. № 17074—ალექსანდრე შალუტაშვილის სახ. 3614
- პროფ. მოწმ. № 8/12 და რკ. გზ. წლიური ბილ. № 0004708—გლადიმერ პავლეს-ძე ჩიტაიშვილის სახელზე. 3618
- პროფ. მოწმ.—ზესვირონ დანელიას სახელზე. 3619
- პურ. წიგნ. (3-სულის)—სიმონ სპირიდონის ძე ბახტაძის სახ. 3621
- კომკავშ. მად. № 94996—აკაკი ქაჯაიას სახელზე. 3623
- პურ. წიგნ. „ბ"—სალომე ილიას ასული ნატროშვილის სახ. 3624
- ს.კ.პ. (ბ) საკანდ. მანდ. № 3880—იასონ არაბაშვილის სახელზე. 3625
- პურ. წიგნ. № 76144—პლატონ ტატიშვილის სახელზე. 3626
- საანგ წიგნ. № 2421—გიორგი ქორჩაშვილის სახელზე. 3627
- კავშ. წიგნ. № 704—ალექსი მერაბიშვილის სახელზე. 3632
- მუშკ. წიგნ. № 90144—თამარა ცაბაძეს სახელზე. 3633
- პურ. წიგნ. მაირო ამაიროს სახელზე. 3630
- მუშკ. წიგნ. № 44740—გერასიმე კვაჭაძის სახელზე. 3637
- კოოპერ. საპაიო წიგნ. № 319—ალექსანდრე გიორგის-ძე ნოზაძის სახელზე. 3636
- პროფკავშ. წიგნ. № 27534—ივანე მელიტონის-ძე ჭუჭიაშვილის სახ. 3636
- ზაკტპ. პურ. წიგნ. (ზაბორნაია) № 70581—შალვა ილიას-ძე გუგუნავას სახელზე. 3636
- სამხ. წიგნ.—იონა ბესელიას სახელზე. 3617
- მედსანშრ. პროფკავშ. წიგნ. ქსენია კილაძის სახელზე. 3617

ღრმად დამწუხრებული დები—მელანია და მაკრინე, ძმა გიორგი ჩაკვეტაძეები შვილებით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ, რომ პარასკევს, 11 ივლისს, ხონის სასაფლაოზე გადაბძილი იქნება
**დარია (დარიკო) პეტრეს-ასული თვალაძის**
ხსოვნის აღსანიშნავი პანაშვიდი. (ან.)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ადათი, შვილები: იაკობ, ალექსი, დავითი, სიმონი, რაჟდენი და თამარი. რძლები: ელენე, მარიამ. ნინო, ვალენტინა, ნინო და სიძე მელიტონ პაპავა შვილებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი
**გიორგი დავითის-ძე სულაბერიძე**
გამოსვენება ქ. ქუთაისში, ვოლოდარსკის ქ., ბინიდან, პარასკევს, 11 ივლისს ნაშუადღევის 5 საათზე. დაკრძალვა ოდესკურის სასაფლაოზე. 3629

ღრმად დამწუხრებულნი ქალიშვილი თამარა, სიძე მელიტონ პაპავა შვილებით: ქეთინა (ცაცა) და თინიკოთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი
**გიორგი დავითის ძე სულაბერიძე**
დასაფლავება ქ. ქუთაისში 11 ივლისს, საღამოს 5 საათზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან, ვოლოდარსკის ქ. (ძ)

იაკობ გიორგის-ძე სულაბერიძე ცოლშვილით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი საყვარელი და ძვირფასი მამა
**გიორგი დავითის-ძე სულაბერიძე**
3629

სამუდამოდ გულმოკლული მეუღლე ელენე, შვილები: იური და მერიკო, ძმები: დათიკო და კოწია, რძალი კლავდია, ძმისშვილები: მარიკო ლადუშა და შოთა აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს. რომ კვირას, 13 ივლისს, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
**სიმონ ვლადიმერის-ძე ავალიანის**
ხსოვნის აღსანიშნავად. ს. კვალითში, საკუთარ სახლში. 3628

ღრმად დამწუხრებული ვაჟიშვილი არჩილ კონსტანტინეს-ძე მძინარიშვილი, ქალიშვილები: ნინა ამიროვისა, ელენე შელიასი, მარგალიტა ხორხაძისა, რძალი ელენე და შვილიშვილები: ლილია, კოტო, როსტომი და თენგიზი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი
**თებრონე სოლომონის ასული მძინარიშვილისა**
გამოსვენება მთავარ საავადმყოფოდან ვერის ახალ სასაფლაოზე, დღეს, 10 ივლისს, 5 საათზე 3620

დამწუხრებული მშობლები: მამა ნესტორი და დედა ოლღა, მეუღლე ანეტა შვილებით: პატარა გოგით და მერიკოთი ლებანიძეები, დები: ნადია, ქრისტინე, ბაბილინა და პაშა; ბიძაშვილები: იულია და მისა ლებანიძე მეუღლით ეპრასითი; ბიძები: გიგო, ბუჭალა, კოსტა და ალფეზი გოშაძეები ოჯახითურთ იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ
**რუბენ ნესტორის ძე ლებანიძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება პარასკევს, 11 ივლისს, ბინიდან ნავთლუღი, კახეთის ქ. № 113. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე პარმენი, შვილები: სერგო, ალიოშა, ნიკალა და თამარა, რძალი ქატია, ქალი მართა კურტანიძეები, მული მართა ქმარშვილით, მაზლიშვილი სონა ქმრით და მძახლები: იაგორ და ნინა მესტვირიშვილები დავსტირით უდროოდ დაკარგულ
**ნინო ნიკოლოზის ასულ კურტანიძისას**
დაკრძალვა დღეს, 10 ივლისს, კუკიის სასაფლაოზედ. გამოსვენება ნაშუადღევის 4 საათზე ბინიდან, კალოუბნის ქ. № 22. 3622

ბანქორ გევო, ერვანდ, სერიოჟა ოგანოვები და შუშანიკა არუტინოვა იუწყებიან ძვირფას და დაუვიწყარ დედის
**სოფიო სერგოს ასულ ოგანოვას**
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 5 საათზე, ჟელიაბოვის ქ. № 24 (ყოფ. სოლომონოვის) დაკრძალვა ხოჯევანქის სასაფლაოზე. 3638

ღრმად დამწუხრებული ოლღა გრიგოლის ასული კანდელაკისა, ქმრით ფარნაოზ კანდელაკით, შვილებით: საშა, ელეონორა, მარგო და თამარით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 8 ივლისს, გარდაიცვალა პირველი საყვარელი მამა, მეორის სიმამრი და დანარჩენთა ბაბუა
**მრიშილ (მიშო) ივანეს ძე მაჩაბელაძე**
გამოსვენება დღეს, 5 საათზე, ბათუმის ქ. № 30, დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 3636

ტირაჟი—57.525 სახელმწიფო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 904